საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
№10 (148)
14 – 20 მარტი, 2012

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
info@geworld.net

4 პუტინი დაბრუნდა. რა ელის საქართველოს?

## «ოდნავ უკეთესი» თუ ალტერნატიული?

ალექსანდრე ჭაჭია: 2

**როგორია საქართველო ივანიშვილის «ოცნებაში»? როგორია ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების მისეული სტრატეგია? – ეს ჯერჯერობით გაუგებარია...**



«ხალხი უნდა დარწმუნდეს, რომ ახალი ძალა სხვაა – ალტერნატიულია, და იგი ქვეყანას სხვა გზით წაიყვანს»

იერუსალიმის პატრიარქი:



16

**საქართველოს ხელისუფლება «მესამე ძალის» ინსტრუმენტია**

## ერთი ძმა – მიშასთან, მეორე ძმა – ბიძინასთან



14

გამოიყენებენ თუ არა კახა ლომაიას მისივე ძმის – გიორგი ლომაიას წინააღმდეგ?

## «რაც «ნაციონალმა» ოლიგარქებმა ხალხს უკანონოდ წაართვეს, ყველაფერი უნდა დააბრუნონ»

15







12

მილიტარისტული ფუსფუსი კიდევ უფრო საეჭვო ხასიათს იძენს, თუ გავითვალისწინებთ, რომ სამეგრელოში მოსახლეობას „საიდუმლოდ“ ეუბნებიან ხელისუფლების წარმომადგენლები, „აფხაზეთი ომით უნდა დავიბრუნოთო“

## ანტიქრისტეს ხელის ბიჭი!

გელა ხოშტარია:

## არავინ იცის, ხვალ და ზეგ კიდევ ვის გადმოაგდებენ ფანჯრიდან და ვის ამოხდიან სულს ცემაში 6

## მიშა, მოგვეც სანახაობა,

ანუ «თქვენი სიმინდის ტაროებია ჩემთვის რევოლუცია» 13

## «არ მინდა, რომ ქართული არჩევნების ბედი ამერიკაში წყდებოდეს...»



8

ნინო ბურჯანაძე:

**თუ ნული პროცენტი მაქვს რეიტინგი და პულსი არ მესინჯება, როგორც ამას ხელისუფლება და ზოგიერთი ოპოზიციონერი ამბობს, მაშინ რა საჭიროა ამდენი ლაპარაკი ბურჯანაძეზე?**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ვფიქრობ, ივანიშვილის პოლიტიკური იმიჯი უფრო მიმზიდველი იქნებოდა, თუ არენაზე ახალ სახეებს გამოიყვანდა ქართული საზოგადოების ფართო ფენებიდან, რომლებიც თავისი წარსული საქმიანობით კომპრომეტირებული არ არიან. იგი ახალი ადამიანია პოლიტიკაში და ახალ ხალხთან ერთად უნდა მოსულიყო. მგონი, ხალხი ზუსტად ამას ელოდებოდა. თუ მას სათანადო კადრები არ ჰყავს, ანუ იგი არაა მზად დამოუკიდებელი პოლიტიკური მუშაობისთვის, როგორც ეს დღეს ჩანს, მაშინ ყველა უნდა გაეერთიანებინა – სრული ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრი და გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერი გამხდარიყო. მან აირჩია მესამე, ყველაზე ნაკლებეფექტიანი ვარიანტი.“

# «ოდნავ უკეთესი» თუ ალტერნატიული?

**ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ცნობილი პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია.**

## ალექსანდრე ჭაჭია: როგორია საქართველო ივანიშვილის «ოცნებაში»? როგორია ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების მისეული სტრატეგია? ეს ჯერჯერობით გაუგებარია...



**— ბატონო ალექსანდრე, თქვენ, ძალიან დიდი ხანია, არ გამოსულხართ ქართული პრესის ფურცლებზე. მეოთხე წელია, ჩვენი გაზეთი გამოდის და ეს პირველი ინტერვიუა თქვენთან. ბოლო დროს ქვეყანაში ბევრი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა მოხდა, რომელთა თაობაზეც მკითხველს უთუოდ დააინტერესებს თქვენი აზრი, მით უმეტეს, რომ, როგორც წესი, თქვენი პოლიტიკური პროგნოზები მართლდება.**

— ზუსტად ამიტომ აღარ ვაკეთებ პროგნოზებს — როდესაც ისინი აქტუალურია, მათ ყურს არავინ უგდებს, მაგრამ აღიარებენ მათ სიზუსტეს იმის შემდეგ, რაც ისინი რეალობად იქცევა. რა აზრი აქვს პროგნოზების კეთებას, თუ მათ არ ითვალისწინებენ...

**— ჩვენი ხელისუფლება ცნობილია იმით, რომ კვალიფიციური პროგნოზები და სამართლიანი შეფასებები მათ არ სჭირდებათ...**

— საქმე მხოლოდ ხელისუფლებაში როდია. ჩვენი ხელისუფლება არ არის დამოუკიდებელი და არ შეუძლია ერისა და სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე მიიღოს გადაწყვეტილებები. საქმე ჩვენს საზოგადოებაშია, რომელიც აღარაა ერთიანი, მოაზროვნე ეროვნული ორგანიზმი. ასეთი საზოგადოება ადვილად ტყუვდება, ადვილად ექვემდებარება მანიპულირებას; მას აღარ შესწევს უნარი, ეფექტური წინააღმდეგობა გაუწიოს ხელისუფლების დამღუპველ პოლიტიკას, არ ძალუძს, ჩამოაყალიბოს აქტიური, ეროვნული პოლიტიკური ძალა, რომელიც შეძლებს ქვეყანაში სიტუაციის რეალურად შეცვლას.

**— დღეს საქართველოში ყალიბდება პოლიტიკური პარტია ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით, რომელიც მონაწილეობას მიიღებს საპარლამენტო არჩევნებში და ასევე იმედოვნებს სრულ გამარჯვებას. როგორ შეაფასებთ მის პერსპექტივას?**

— იმისათვის, რომ საქართველოში დამაჯერებლად მოიგო საპარლამენტო არჩევნები, ანუ მიიღო ადგილების უმრავლესობა პარლამენტში, საჭიროა ოთხი მნიშვნელოვანი ფაქტორი: ლიდერის მაღალი პირადი ავტორიტეტი; სერიოზული ფინანსური სახსრები; ქვეყნის განვითარების ალტერნატიული პროგრამა; უმწიკვლო წარსულის მქონე თანამოაზრეთა კვალიფიციური გუნდი, რომლის წევრებიც რეგიონებში ავტორიტეტით სარგებლობენ. პირველი ორი ფაქტორი ივანიშვილს გააჩნია, მაგრამ მესამე და მეოთხე არ ჩანს.

**— თქვენ თქვით, რომ ივანიშვილს არ აქვს ალტერნატიული პროგრამა. ალბათ, ის მასზე მუშაობს და საზოგადოებას არჩევნების წინ წარუდგენს.**

— რა თქმა უნდა, წარუდგენს. მაგრამ, მისივე განცხადებებიდან გამომდინარე, მისი პროგრამა არ იქნება ალტერნატიული. თუ არ მივაქცევთ ყურადღებას ლირიკულ დემაგოგიას „ქართული ოცნების“ შესახებ, მაშინ დანალექში ჩვენ დავინახავთ იმავე საბაზისო ორიენტირებს, რომლებიც დღევანდელი ხელისუფლების საქმიანობას ახასიათებს: ქვეყნის შიგნით – უკიდურესად ლიბერალური კაპიტალიზმის იგივე მოდელი, რომელიც კრახს განიცდის მთელ მსოფლიოში და განსაკუთრებით დამღუპველია მცირე ქვეყნებისთვის; საგარეო პოლიტიკაში — აშშ-ის სატელიტის როლი, რომელიც გააგრძელებს ბრძოლას ამერიკული ინტერესებისთვის ავღანეთში, მზადაა ირანთან საომრად, ნატოში შესასვლელად, ანუ საქართველოს გადააქცევს აშშ-ისა და თურქეთის სამხედრო პლაცდარმად, რაც ავტომატურად რუსეთისა და ირანის მტრად გვაქცევს.

მისი განცხადებებიდან არ ჩანს, როგორ ხედავს ის საქართველოს როლს და ფუნქციას თანამედროვე მსოფლიოში. შევარდნაძე გულახდილად აცხადებდა, რომ საქართველომ უნდა შეასრულოს ტრანზიტული დერეფნის როლი, სააკაშვილი ირწმუნება, რომ საქართველოს დანიშნულებაა, გახდეს სამოთხე ტურისტებისთვის. ორივე ფუნქცია ქართველი ერის მოსამსახურე პერსონალად გადაქცევას გულისხმობს, ამიტომ განადგურდა განათლების სისტემა, აკადემიური მეცნიერება, თეატრებში სტრიპტიზი იდგმება, ტელევიზიით პორნოგრაფიას აჩვენებენ და ა. შ. და ეს გასაგებიცაა: განათლება, მეცნიერება და კულტურა მოსამსახურე პერსონალს არ სჭირდება. მაგრამ როგორია საქართველო ივანიშვილის „ოცნებაში“? როგორია ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების მისეული სტრატეგია? ეს ჯერჯერობით გაუგებარია.

**მეც, როგორც ბევრი სხვა საქართველოში, იმედიანად შევხვდი ივანიშვილის გამოსვლას პოლიტიკურ არენაზე, განსაკუთრებით მისი განცხადების შემდეგ იმის თაობაზე, რომ ის დიდხანს ემზადებოდა ამ ნაბიჯისთვის, ყველაფერი გათვალა და მზადაა მძიმე ბრძოლისთვის. ეს იყო სერიოზული ადამიანის განცხადება, რაც თავისთავად იშვიათობაა ქართულ პოლიტიკაში, განსაკუთრებით თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ამ ადამიანის ყიდვა შეუძლებელია. მაგრამ გამოხდა ხანი და აღმოჩნდა, რომ ჩამოყალიბებული პროგრამა მას არ აქვს, კადრები არ ჰყავს, მოქმედი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები არ გააჩნია, საკუთარი მოქალაქეობის საკითხიც კი არ ჰქონდა წინასწარ მოგვარებული. როგორ გავიგოთ ეს?**

კიდევ ერთი: მე ძალიან ვაფასებ გულახდილობას პოლიტიკაში. საერთოდ, ქართველებმა 20 წლის განმავლობაში იმდენი ტყუილი მოისმინეს შევარდნაძისგან, სააკაშვილისგან და მათი თანამზრახველებისგან, რომ გულახდილი და პატიოსანი სიტყვა სწყურიათ. ივანიშვილის პირველ გამოსვლაში იყო ეს მიმზიდველი გულახდილობა, მაგრამ შემდეგ ჩვენ გავიგეთ, რომ მის ხელში საქართველო შევა ნატოში და ამასთანავე აღიდგენს ტერიტორიულ მთლიანობას. დღეს თითოეული ადამიანი, თუნდაც 3 კლასის განათლებით, ხვდება, რომ ეს არის ორი ურთიერთგამომრიცხავი რამ. როდესაც 15 წლის წინ მე ვწერდი, რომ შევარდნაძე გვატყუებს, როცა გვპირდება ერთდროულად აფხაზეთის დაბრუნებას და ნატოში გაწევრიანებას-თქო, ძალიან ბევრ ბრიყვ ადამიანს შევარდნაძის სჯეროდა. შემდეგ ეს ბრიყვები სააკაშვილს უჯერებდნენ, მაგრამ დღეს ასეთი სულელები, მგონი, აღარ არსებობენ. ყველა ხვდება, რომ ნატოში შესვლის მცდელობაც კი აბსოლუტურად გამორიცხავს საქართველოს აღდგენას იმ სახით, როგორიც ის შევარდნაძემდე იყო. ეს ივანიშვილსაც ესმის. მაშ, რა საჭიროა ასეთი დაპირებები?

იმავე კატეგორიას განეკუთვნება ივანიშვილის დაპირება რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების აღდგენის თაობაზე. როგორ უთანხმდება ეს იმას, რომ იგი სააკაშვილივით უარს ამბობს რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენაზე რუსული სამხედრო ბაზების გაყვანამდე აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან, ანუ დიპურთიერთობები არ აღდგება არასოდეს? ხომ ნათელია, რომ დღეს არსებული რეალიები უნდა გავითვალისწინოთ და თვისობრივად ახალ საინტეგრაციო პროექტზე ვიმუშაოთ, რომელიც გაითვალისწინებს ყველა მხარის ინტერესებს. ხომ ყველასთვის გასაგებია, რომ სრულმასშტაბიანი დიალოგი დიპლომატიური ურთიერთობების გარეშე ვერ გაიმართება? მაშინ რისთვის გვპირდება ივანიშვილი ურთიერთობების აღდგენას რუსეთთან?

გარდა ამისა, მე უსიამოვნოდ განმაცვიფრა ივანიშვილის მიერ „საბჭოთა ოკუპაციის“ წლისთავის ირგვლივ გამართული ბაკქანალიის მხარდაჭერამ. საქმე ისაა, რომ ოკუპანტები არ აშენებენ უნივერსიტეტებს, სკოლებს, საბავშვო ბაღებს, სამეცნიეროკვლევით ინსტიტუტებს, ქარხნებსა და ფაბრიკებს, თეატრებსა და კულტურის სასახლეებს, საავადმყოფოებსა და პოლიკლინიკებს, ოკუპანტების დროს არ იზრდება შობადობისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებელი და არ მცირდება სიკვდილიანობა. ოკუპანტები ყველაფერს პირიქით აკეთებენ, სწორედ ისე, როგორც, ბოლო 20 წელია, „დამოუკიდებელ“ საქართველოში ვხედავთ. **შევარდნაძე-სააკაშვილის რეჟიმმა მიზნად დაისახა, საქართველო სატრანსპორტო დერეფნად და ტურისტულ ბაზად, ხოლო ქართველები მოსამსახურე პერსონალად ექცია: მზარეულების, ოფიციანტების, გუვერნანტკების, სტრიპტიზიორებისა და მეძავების ერად. ხოლო „საბჭოთა ოკუპანტი“ ლავრენტი ბერია მეორე „საბჭოთა ოკუპანტის“ – იოსებ სტალინის მხარდაჭერით სხვა ამოცანას ისახავდა: გადაექცია საქართველო განვითარებულ აგრარულ-ინდუსტრიულ ქვეყნად, ხოლო ქართველები — ინჟინრებისა და აგრონომების, ექიმებისა და მასწავლებლების, მეცნიერებისა და მსახიობების ერად, და წარმოუდგენლად მოკლე ვადაში შეძლო კიდეც ეს.**

თუ ჩვენ, უპასუხისმგებლო პოლიტიკოსების ნებით, გარე ძალების საამებლად უარს ვიტყვით ჩვენი ისტორიის ამა თუ იმ პერიოდზე, შავ საღებავს მივასხამთ ჩვენი წინაპრების ამა თუ იმ თაობას, ჩვენ არსებობას შევწყვეტთ, როგორც სრულფასოვანი ერი. ერი, უპირველეს ყოვლისა, არის ყველა თაობის ერთიანობა, რომელთაგან ყოველი ჩვენს პატივისცემას იმსახურებს. განსაკუთრებით ეს საბჭოთა პერიოდში ჩვენი მამებისა და პაპების მოღვაწეობას ეხება. მათ ააშენეს საქართველო, ქართველები ერთიან ერად შეკრეს, დაგვიტოვეს ერთიანი, განვითარებული, კულტურული ქვეყანა განათლებული და მატერიალურად უზრუნველყოფილი მოსახლეობით. ჩვენ შევარდნაძის, სააკაშვილისა და მათი ამერიკელი მრჩევლების ხელმძღვანელობით შევძელით, დაგვენგრია, გაგვეძარცვა და გაგვეყიდა ქვეყანა, ვაიძულეთ მოსახლეობის მესამედი, ემიგრაციაში წასულიყო, სხვები კი სიღარიბისთვის და მორალური გახრწნისთვის გავწირეთ. საბჭოთა პერიოდში საქართველო ქართული კულტურისა და ქართული ტრადიციების ქვეყანა იყო. სადაა დღეს ჩვენი ▶

**«ყველაზე საშიშია, რომ იგი შეიძლება თავისივე გარემოცვის მძევალი გახდეს, რომელიც დითირამბებს უმღერებს და დაარწმუნებს, რომ მასზე «სრულიად საქართველო» ლოცულობს. სრულიად საქართველო ღვთის წინაშეც კი არ ლოცულობს. თბილისელი მსახიობებისა და რეჟისორების აღფრთოვანება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მთელი ერი ივანიშვილს უკვე უჭერს მხარს»**

**„შევარდნაძე-სააკაშვილის რეჟიმმა მიზნად დაისახა, საქართველო სატრანსპორტო დერეფნად და ტურისტულ ბაზად, ხოლო ქართველები მოსამსახურე პერსონალად ექცია: მზარეულების, ოფიციანტების, გუვერნანტკების, სტრიპტიზიორებისა და მეძავების ერად. ხოლო „საბჭოთა ოკუპანტი“ ლავრენტი ბერია მეორე „საბჭოთა ოკუპანტის“ — იოსებ სტალინის მხარდაჭერით სხვა ამოცანას ისახავდა: გადაექცია საქართველო განვითარებულ აგრარულ-ინდუსტრიულ ქვეყნად, ხოლო ქართველები — ინჟინრებისა და აგრონომების, ექიმებისა და მასწავლებლების, მეცნიერებისა და მსახიობების ერად, და წარმოუდგენლად მოკლე ვადაში შეძლო კიდეც ეს.“**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ხალხი უნდა დარწმუნდეს, რომ ახალი ძალა სხვაა — ალტერნატიულია, და იგი ქვეყანას სხვა გზით წაიყვანს»

◀ ეროვნული კულტურა და ეროვნული ტრადიციები? სხვათა შორის, მმართველი კლასი, რომელიც დღეს საბჭოთა პერიოდს აფურთხებს, პირველ რიგში, სწორედ მას უნდა უმადლოდეს იმის გამო, რაც აქვთ: ისინი ხომ სწორედ იმის წყალობით გამდიდრდნენ, რომ მოიპარეს და გაყიდეს ის, რაც საბჭოთა პერიოდში შეიქმნა.

**— როგორ აფასებთ ივანიშვილის კოალიციის შემადგენლობას?**

— **ივანიშვილს ჰქონდა ყველა შანსი, გამხდარიყო საერთო ეროვნული ოპოზიციური ლიდერი. ამისთვის არ იყო აუცილებელი არსებული პოლიტიკური პარტიების შემოერთება, რომელთა უმრავლესობა მოსახლეობის თვალში დისკრედიტირებულია. მეტიც, კოალიციაში ამა თუ იმ პარტიის ჩართვა ავტომატურადართმევს ივანიშვილს ამ პარტიის მოწინააღმდეგე ამომრჩეველს, ივანიშვილმა კი, სამწუხაროდ, მოახერხა მოკავშირეებად აერჩია ის პარტიები, რომელთაც ყველაზე მეტი მოწინააღმდეგე ჰყავთ.** საერთოდ, პრაქტიკამ აჩვენა, რომ პარტიებისგან შემდგარ ბლოკებს ეფექტი არ მოაქვს არც არჩევნების მსვლელობისას და არც არჩევნების შემდეგ. პარლამენტში ეს ბლოკები იშლება, ყოველი პარტია იწყებს საკუთარ თამაშს და ხელისუფლებას ცალ-ცალკე ევაჭრება. გაიხსენეთ 1999 წელი, როდესაც წამყვანი ძალები შევარდნაძის „მოქალაქეთა კავშირი“ და ასლან აბაშიძის „აღორძინება“ იყო. ასლანის მხარეს იყო ფულიც და სახელისუფლო შესაძლებლობებიც, ასევე მოსახლეობის მძლავრი ოპოზიციური განწყობა. მე ვურჩევდი მას, დისკრედიტირებულ პარტიებთან კი არ შეექმნა ბლოკი, არამედ დაყრდნობოდა ფართო საპროტესტო ფენებს, საზოგადოებრივ სტრუქტურებს, შეეყვანა სიაში რეგიონული ელიტების ავტორიტეტული წარმომადგენლები. ეს ახალი რამ იყო პოლიტიკურ პრაქტიკაში, და ასლანმა ვერ გარისკა, არჩევანი პარტიათა ბლოკზე შეაჩერა. ბლოკმა „მოქალაქეთა კავშირთან“ არჩევნები წააგო, შემდეგ, უკვე პარლამენტში დაიშალა რამდენიმე ფრაქციად და პოლიტიკაშიც ვერაფერი არსებითი ვერ გააკეთა. დღეს ის აღარავის ახსოვს.

**ვფიქრობ, ივანიშვილის პოლიტიკური იმიჯი უფრო მიმზიდველი იქნებოდა, თუ არენაზე ახალ სახეებს გამოიყვანდა ქართული საზოგადოების ფართო ფენებიდან, რომლებიც თავიანთი წარსული საქმიანობით კომპრომეტირებული არ არიან. იგი ახალი ადამიანია პოლიტიკაში და ახალ ხალხთან ერთად უნდა მოსულიყო. მგონი, ხალხი ზუსტად ამას ელოდებოდა. თუ მას სათანადო კადრები არ ჰყავს, ანუ იგი არაა მზად დამოუკიდებელი პოლიტიკური მუშაობისთვის, როგორც ეს დღეს ჩანს, მაშინ ყველა უნდა გაეერთიანებინა — სრული ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრი და გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერი გამხდარიყო. მან აირჩია მესამე, ყველაზე ნაკლებეფექტიანი ვარიანტი.**

**— რა შეგიძლიათ თქვათ „ქართული ოცნების“ პირად შემადგენლობაზე, რამდენად ეფექტიანია იგი?**

— მათგან პირადად არავის ვიცნობ, ამიტომ არ შემიძლია ვიმსჯელო სავარაუდო ეფექტიანობის შესახებ მათი პირადი თვისებების მიხედვით. შემიძლია მხოლოდ ის ვთქვა, რომ ივანიშვილის ორგანიზაციული სტრუქტურების საქმიანობა უკმარისობის გრძნობას ტოვებს. მე ბევრად მეტს ველოდი. არჩევნებამდე, პრაქტიკულად, ნახევარი წელი დარჩა, მათ კი ჯერ კიდევ არ აქვთ ჩამოყალიბებული წინასაარჩევნო პროგრამა, არც აქტიური სტრუქტურები ჰყავთ ადგილებზე. თქვენ გგონიათ, რეგიონებში, სოფლებში იციან, ვინაა ივანიშვილი და რა სურს მას? მოსახლეობის ძირითად ნაწილს უნდა მიეწოდოს ეს ინფორმაცია და ასევე უნდა აიხსნას, რითაა ივანიშვილი მოქმედ პრეზიდენტზე უკეთესი და რით განსხვავდება მისი პარტია „ნაციონალური მოძრაობისგან“, მით უმეტეს, რომ მისი თანამებრძოლები სულ ცოტა ხნის წინ სააკაშვილის თანამებრძოლები იყვნენ.

ყოველ, თუნდაც ყველაზე ნაკლებად პოპულარულ ხელისუფლებას არჩევნებზე 20-პროცენტიანი რესურსი აქვს, დღევანდელ ხელისუფლებას კი, მგონი, 30 პროცენტზე ნაკლები არ უნდა ჰქონდეს. ივანიშვილს, როდესაც პირველი განცხადება გააკეთა, ელექტორალური მხარდაჭერა ძალიან მაღალი ჰქონდა — ალბათ, 25-30 პროცენტი. კოალიციის ფორმირების შემდეგ, რა თქმა უნდა, იგი შემცირდა, მაგრამ 20-პროცენტიანი ბაზა მას ყველა შემთხვევაში აქვს. დანარჩენისთვის უნდა იბრძოლონ. ბრძოლა კი არ ჩანს. **ყველაზე საშიშია, რომ იგი შეიძლება თავისივე გარემოცვის მძევალი გახდეს, რომელიც დითირამბებს უმღერებს და დაარწმუნებს, რომ მასზე „სრულიად საქართველო“ ლოცულობს. სრულიად საქართველო ღვთის წინაშეც კი არ ლოცულობს. თბილისელი მსახიობებისა და რეჟისორების აღფრთოვანება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მთელი ერი ივანიშვილს უკვე უჭერს მხარს.** აწ გარდაცვლილი ბადრი პატარკაციშვილიც კარგი ბიზნესმენი, მეცენატი იყო და ასევე უყვარდა თბილისელ პუბლიკას, ეკლესიის მხარდაჭერაც კი ჰქონდა, მაგრამ არჩევნებზე, თუ არ ვცდები, ხმების 7 პროცენტი მიიღო.

**მობილური ჯგუფების აქტიური მუშაობა დიდ ქალაქებში, რაიონულ ცენტრებში, სოფლებში, რეგიონული ინტელექტუალებისა და სოციალურად აქტიური მოქალაქეების გადმობირება, მუშაობა ქართველ ემიგრანტებთან რუსეთში, უკრაინაში, ევროპაში, იქ მხარდამჭერთა ჯგუფების შექმნა, ინტერნეტ სივრცის ათვისება, ბეჭდური პროპაგანდისტული პროდუქციის მასობრივი გამოშვება – აი, რა არის დღეს საკეთებელი. ყველა ქალაქელს, ყველა გლეხს დეტალურად უნდა აუხსნან, რით განსხვავდება ივანიშვილი და მისი გუნდი სააკაშვილისგან და მისი გუნდისგან და რას გაუკეთებს ივანიშვილი ამ გლეხს ისეთს, რასაც სააკაშვილი ვერ გასწვდება.** ამისთვის მოკლედ უნდა ჩამოყალიბდეს 10-15 ძირითადი დებულება, რომლებიც ჩვენს მოქალაქეებს დაარწმუნებს, რომ მათ ხმა უნდა მისცენ პოლიტიკურ ძალას, რომელიც ღრმად ეროვნულია, ძალუძს აღადგინოს და ააღორძინოს საქართველო, არ დაუშვას ერის გახრწნა, განავითაროს ტრადიციული კულტურა და ქვეყნის ისტორიული თვითმყოფადობა. მთავარია: **ხალხი უნდა დარწმუნდეს, რომ ახალი ძალა სხვაა — ალტერნატიულია, და იგი ქვეყანას სხვა გზით წაიყვანს.**

რა თქმა უნდა, თუ ივანიშვილი დაწერს ამ პროგრამაში იმას, რომ განაგრძობს ლიბერალური კაპიტალიზმის მშენებლობას, ავღანეთში ბრძოლას, მზადაა, ებრძოლოს ირანს, შევა ნატოში, დიპლომატიურ ურთიერთობებსაც კი არ აღადგენს რუსეთთან, მაშინ კოალიციის წარმატება არჩევნებზე არც ისე ბევრით ასცდება მის ახლანდელ 20-პროცენტიან რეიტინგს. „მიშა 2“ ან „ოდნავ უკეთესი“ არავის სჭირდება. ასეთი პერსპექტივისთვის ადამიანები არ გარისკავენ, ადგილობრივ ხელისუფლებასთან კონფლიქტზე არ წავლენ, გაყალბებას არ შეებრძოლებიან.

**— ბევრს საქართველოში არ ესმის ბიძინა ივანიშვილისთვის ქუჩის აქციების მიუღებლობა. რით შეიძლება ეს აიხსნას?**

— ამერიკელებს არ სურთ, დაუშვან, რომ მათ მიერ დანიშნული ხელისუფლება ხალხის აჯანყების გზით გადავარდეს. ეს მათი იმიჯისთვის მძიმე დარტყმა იქნება. მათ ის წარუმატებლობაც ეყოფათ, რომ იუშჩენკო უკრაინელმა ხალხმა გააძევა და „ოდნავ უკეთესი“ ტიმოშენკო ხელისუფლებაში არ მიუშვა. **თუ ამერიკელები ივანიშვილს ისევე აკონტროლებენ, როგორც მის პარტნიორებს კოალიციაში, მაშინ იგი არასოდეს მოუწოდებს ხალხს ქუჩაში გამოსვლისკენ. ეს გამორიცხულია.**

**— ახლახან სოროსის ფონდის მიერ ჩატარებული კვლევების თანახმად, საქართველოს მოსახლეობის 48 პროცენტი რუსეთთან ურთიერთობის აღდგენას ემხრობა, თუნდაც აშშ-თან პარტნიორობის გაწყვეტის ფასად. ივანიშვილს არ შეუძლია ეს არ გაითვალისწინოს, თუმცა მაინც განაგრძობს აშკარად პროამერიკულ პოზიციაზე დგომას. რატომ? იქნებ ეს ერთგვარი შენიღბვაა, ამერიკული მხარდაჭერის მოპოვების სურვილი? მით უმეტეს, რომ, როგორც ამბობენ, ივანიშვილს აქვს კავშირები რუსეთის ხელმძღვანელობასთან. ხელისუფლება იმასაც ამტკიცებს, რომ იგი „პუტინის პროექტია“.**

— ეს სისულელეა. რამდენადაც მე ვიცი, არც პუტინი და არც მედვედევი ივანიშვილს არ იცნობენ და რუსეთის სახელმწიფო სტრუქტურებს არაფერი აქვთ საერთო მის საქმიანობასთან. საერთოდაც, **პოლიტიკური თვალსაზრისით, რუსეთი საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში არანაირად არ მონაწილეობს. საქართველოში რაღაც პოლიტიკურ პროცესებს რუსეთი მხოლოდ ქართველი პოლიტიკოსების ავადმყოფურ წარმოსახვაში ხელმძღვანელობს. რეალურად ეს ასე არაა, რაც, სხვათა შორის, ცუდია საქართველოსთვის.** აშშ-ის მხრიდან მონოპოლიურმა პატრონატმა ჩვეულებრივ კოლონიად გადაგვაქცია. მოუსმინეთ ქართველ პოლიტიკოსებს, საზოგადო მოღვაწეებს: ყველა კამათობს იმაზე, თუ ვის მხარეს იქნება აშშ; ყველა ცდილობს, მოიპოვოს ამერიკის ელჩის კეთილგანწყობა, რამენაირად თავი მოაწონოს ვინმეს სახელმწიფო დეპარტამენტში, სხვადასხვა მხრიდან წონიან ობამას ყოველ სიტყვას, წერენ უზარმაზარ სტატიებს, რომლებშიც მისი სიტყვების ინტერპრეტაციას ახდენენ თავის სასარგებლოდ. ეს სასაცილო და ამაზრზენია.

**აშშ-ის მონოპოლიური გავლენა საქართველოზე, მის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე სრულ ბატონობად იქცა, რაც გვართმევს დიდი სახელმწიფოების ინტერესების გადაკვეთაზე ბალანსირების საშუალებას, მათი წინააღმდეგობების ჩვენი ქვეყნის ინტერესებისთვის გამოყენების შესაძლებლობას.** მსოფლიოში ცოტაა აბსოლუტურად დამოუკიდებელი სახელმწიფოები: აშშ, ჩინეთი, რუსეთი, ირანი, სამხრეთ კორეა, კუბა... ქვეყანათა უმრავლესობა, განსაკუთრებით პატარები, დამოკიდებულნი არიან დიდ სახელმწიფოებზე. მაგრამ საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის განსაკუთრებულობა ისაა, რომ აქ გადაიკვეთება ოთხი გიგანტის ინტერესები – აშშ-ის, რუსეთის, თურქეთის, ირანის. ჩვენ გვქონდა შანსი, ამ ინტერესების ბალანსზე სწორი პოლიტიკა აგვეგო. ეს იქნებოდა საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და ქართველი ერის გადარჩენის გარანტია, მაგრამ ჩვენმა ხელისუფლებამ ეს შანსი ხელიდან გაუშვა და, უკვე 20 წელია, ერთი ძალის ხელში მარიონეტის როლს ასრულებს. სწორედ ამ როლის შედეგია ტერიტორიების დაკარგვა, ხალხის გაღატაკება და საზოგადოების ზნეობრივი დეგრადაცია.

**— ამიტომ ბევრი თვლის, რომ არჩევნების შედეგი საქართველოში დამოკიდებულია აშშ-ის პოზიციაზე, იმაზე, თუ რომელ პოლიტიკურ ძალას დაუჭერენ მხარს ამერიკელები...**

— **ეს ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილის, უპირველეს ყოვლისა კი, მისი უმაღლესი ეშელონების კოლონიალურ ცნობიერებაზე მეტყველებს, მათთვის აუცილებელია გარეშე უფროსის ყოლა. თვით არჩევნებისთვის ამ ფაქტორს არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. პირიქით, ქართველი ერის უდიდესი ნაწილი ძალიან მტკივნეულად რეაგირებს გარედან ჩარევაზე.**

ამასთან დაკავშირებით შემიძლია შეგახსენოთ 1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, როდესაც შევარდნაძის კონკურენტი ჯუმბერ პატიაშვილი იყო. მაშინ შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, სახელმწიფო მდივანმა, თავდაცვის მინისტრმა, რუსეთის ხელმძღვანელობამ პრეზიდენტ ელცინის, პრემიერ ჩერნომირდინის, საგარეო საქმეთა მინისტრ კოზირევის, თავდაცვის მინისტრ გრაჩოვის სახით, უპრეცენდენტოდ თავხედური და უცერემონიო მხარდაჭერა გაუწიეს შევარდნაძეს — პირდაპირ მოუწოდეს საქართველოს მოსახლეობას, ხმა მიეცათ მისთვის. საბოლოო ჯამში, როგორც მოგეხსენებათ, თითქმის ყველა რეგიონში პატიაშვილმა ხმათა 60-70 პროცენტი მიიღო, ხოლო შევარდნაძემ — 20-25 პროცენტი, მაგრამ ადგილობრივმა ხელისუფლებამ, პოლიციასა და უშიშროებასთან ერთად, თავხედურად ამოატრიალა ციფრები, ცესკომ აკადემიკოს ი. კილურაძის ხელმძღვანელობით კი შევარდნაძე ხმების 70%-ით გამარჯვებულად გამოაცხადა. მე მაშინ პატიაშვილის შტაბს ვხელმძღვანელობდი და კარგად მახსოვს ხალხის აღშფოთება, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ არ გვქონდა არც გამოცდილება, არც ფინანსური სახსრები იმისთვის, რომ ადგილებზე ხმათა დაცვის უზრუნველყოფა მოგვეხდინა, შევწინააღმდეგებოდით ფალსიფიკაციის ტექნოლოგიებს, რომლებიც მაშინ ზურაბ ჟვანიას გუნდმა გამოცადა და შემდეგ წარმატებით იყენებდა ყველა მომავალ არჩევნებზე. მეტიც, ჩვენ არც ერთმა პოლიტიკურმა პარტიამ არ დაგვიჭირა მხარი, ყველას ვაშინგტონიდან და მოსკოვიდან მოსული მითითებების დარღვევის ეშინოდა. მაშინ მივხვდი, რომ ჩვენთან დამოუკიდებელი, ეროვნულად ორიენტირებული პარტიები არ არსებობს.

**ივანიშვილს თვისობრივად განსხვავებული მდგომარეობა აქვს. მას გააჩნია ფინანსური შესაძლებლობები არჩევნების პროცესზე როგორც ტექნიკური, ასევე ფიზიკური კონტროლისთვის. გარდა ამისა, ე.წ. მსოფლიო თანამეგობრობა უკვე აღარ კონტროლდება მხოლოდ შეერთებული შტატების მიერ. რუსეთს, წამყვან ევროპულ ქვეყნებს და თურქეთსაც კი აქვს თავისი, განსაკუთრებული ხედვა საქართველოს მიმართ. ამიტომ მასობრივი გაყალბებები იარაღის ჟღარუნით, როგორც ამას ჟვანია და კვირაია აკეთებდნენ, დღეს შეუძლებელია, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ ივანიშვილის კოალიციას ექნება ამომრჩეველთა უდიდესი ნაწილის რეალური მხარდაჭერა. ეს კი ჯერჯერობით არ ჩანს.**

(გაგრძელება იქნება)

ესაუბრა
**ირაკლი თოდუა**

**«აშშ-ის მონოპოლიური გავლენა საქართველოზე, მის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე სრულ ბატონობად იქცა, რაც გვართმევს დიდი სახელმწიფოების ინტერესების გადაკვეთაზე ბალანსირების საშუალებას, მათი წინააღმდეგობების ჩვენი ქვეყნის ინტერესებისთვის გამოყენების შესაძლებლობას»**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პუტინის დაბრუნება კრემლში რუსეთის მოქმედებას საერთაშორისო არენაზე მეტ სიხისტესა და რელიეფურობას შესძენს. ჩვენთვის, ალბათ, მნიშვნელოვანია, არ აღმოვჩნდეთ რელსებზე მაშინ, როდესაც რუსული ჯავშანმატარებელი აჩქარებას დაიწყებს, რაც ახლო პერსპექტივაში აუცილებლად მოხდება. დღეს აქტუალური იმის დადგენა კი არ არის, რა მოუვა ამ მატარებელს მომავალში: ლიანდაგიდან გადავარდება თუ დანიშნულების ადგილამდე მშვიდობიანად ჩააღწევს; დღეს მთავარია, რომ მან ჩვენ არ გადაგვიაროს.**



## ილია მეორემ ვლადიმერ პუტინს რუსეთის პრეზიდენტად არჩევა მიულოცა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ილია II-მ ვლადიმერ პუტინს რუსეთის პრეზიდენტად არჩევა მიულოცა. მილოცვის ტექსტში ნათქვამია:

**„მის აღმატებულებას, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს, ბატონ ვლადიმერ ვლადიმერის ძე პუტინს.**

**თქვენო აღმატებულებავ, ბატონო პრეზიდენტო!**

**მიიღეთ ჩვენი მილოცვა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მაღალ თანამდებობაზე თქვენს არჩევასთან დაკავშირებით. ვფიქრობთ, თქვენი დიდი გამოცდილება ხელს შეუწყობს მშვიდობისა და კეთილდღეობის განმტკიცებას თქვენს სახელმწიფოში.**

**რუსები და ქართველები ერთმორწმუნე ერებია, რაც გვაახლოებს, მაგრამ ვერც საქართველო და ვერც ჩვენი ეკლესია ვერასდროს შეეგუება ჩვენი სამშობლოს წიაღიდან აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოწყვეტას.**

**თუმცა ვფიქრობთ, ყველა სირთულის მიუხედავად, რუსეთსა და საქართველოს შორის სავსებით შესაძლებელია კეთილი ურთიერთობების აღდგენა, რაც მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუკი იზეიმებს ისტორიული სამართლიანობა.**

**დარწმუნებულნი ვართ, რომ ადრე თუ გვიან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა დამყარდება, მაგრამ კარგი იქნება, რომ ეს თქვენი მმართველობის პერიოდში მოხდეს.**

**გისურვებთ ჯანმრთელობას, თქვენს ქვეყანას კი — შემდგომ აყვავებას.“**



# პუტინი დაბრუნდა. რა ელის საქართველოს?

**ახლოვდება ნატოს ჩიკაგოს სამიტი, რომელსაც სააკაშვილის ხელისუფლება ამდენ იმედს, ილუზიასა და ფანტაზიას უკავშირებს. პროპაგანდისტული მანქანა ნელ-ნელა იქოქება; გასულ კვირას მან ახალი განსახილველი თემა მიიღო. პარასკევს ამერიკელმა სენატორმა რიჩარდ ლუგარმა წარმოადგინა კანონპროექტი ნატოს გაფართოების შესახებ, რომელიც საქართველოს უშუალოდ ეხება.**

ეს, როგორც ჩანს, არის **მორიგი ტესტი ობამას ადმინისტრაციისთვის: თუ ის აქტიურად დაუჭერს მხარს ნატოში საქართველოს სწრაფ ინტეგრაციას, ამით მოსკოვს დაუპირისპირდება, ხოლო თუ ლუგარის კანონპროექტის ტორპედირებას შეეცდება, ოპონენტები მას წინასაარჩევნოდ ეროვნული ინტერესების ღალატში დაადანაშაულებენ. ცხადია, ეს ორი სავარაუდო შედეგი ერთმანეთის თანაზომადი არ არის, თუმცა სიტუაცია ნებისმიერ შემთხვევაში საინტერესოა; მასში, როგორც სარკის ნამსხვრევში, შეიძლება დავინახოთ საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა, ობამას ადმინისტრაციის გეოპოლიტიკური „დღის წესრიგი“ და იმ დამაჯერებელი გამარჯვების საიდუმლო, რომელიც ვლადიმერ პუტინმა რუსეთში მოიპოვა.**

### გზა ჯანდაბამდე საგზაო რუკაზე

რიჩარდ ლუგარის კანონპროექტი, სხვა ყველაფერთან ერთად, ითვალისწინებს აშშ-ის კანონმდებლობაში იმის დაფიქსირებას, რომ ნატოში გაწევრიანების მოსურნე ოთხივე სახელმწიფო (ბოსნია-ჰერცოგოვინა, მაკედონია, ჩერნოგორია და საქართველო) განიხილება, როგორც „ნატოს ასპირანტი“. **ის შეიცავს მოწოდებას პრეზიდენტ ობამას მიმართ, ნატოს ჩიკაგოს სამიტზე ამ ქვეყნების ალიანსში გაწევრიანების მკაფიო „საგზაო რუკა“ წარმოადგინოს. ის მოითხოვს კონგრესში მოხსენების წარდგენას იმ ძალისხმევაზე, რომელსაც აშშ მიმართავს, რათა ნატოს შემდგომი გაფართოება უფრო ადვილი გახადოს, და, აგრეთვე, მოხსენებას პოლიტიკაზე, რომელსაც აშშ საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობას უზრუნველყოფის მიზნით ატარებს.** სენატორი ლუგარი, რომელიც ნატოს გაფართოების აქტიური ლობისტია, გამოთქვამს იმედს, რომ ამერიკელი კანონმდებლები მისი კანონპროექტის განხილვას ჩიკაგოს სამიტამდე (20-21 მაისი) მოასწრებენ.

**ნებისმიერი ნაბიჯი, რომელიც საქართველოს ნატოსთან რეალურად დააახლოებს, მოსკოვთან დაპირისპირებას გამოიწვევს. ობამას ჰიპოთეტური გამოსვლა ჩიკაგოს სამიტზე საქართველოსთვის „საგზაო რუკის“ წარდგენით, აშკარად ასეთი ნაბიჯების რიცხვს მიეკუთვნება. მართალია, ამერიკელ კანონმდებლებს არ შეუძლიათ, ობამას ამის გაკეთება აიძულონ, მაგრამ ლუგარის კანონპროექტი, თუკი მას მიიღებენ, თეთრ სახლს დამატებით ვალდებულებებს დააკისრებს და მანევრის სივრცეს შეუზღუდავს.**

ეს სიტუაცია ერთობ მოაგონებს აშშ-ის 2012 წლის თავდაცვის ბიუჯეტის 1242-ე მუხლთან („საქართველოს რესპუბლიკასთან თავდაცვის სფეროში თანამშრომლობა“) დაკავშირებულ პრობლემას; თეთრი სახლისთვის მანევრის სივრცის შეზღუდვის მცდელობას ადგილი მაშინაც ჰქონდა. 1242-ე მუხლი, მისი მოთხოვნების სრული რეალიზების შემთხვევაში, ობამას ადმინისტრაციას (საკმაოდ სწრაფად) არ დაუტოვებდა მოქმედების სხვა ვარიანტს, საქართველოსთვის შეიარაღების მიწოდების გარდა (ალტერნატივა კანონის მოთხოვნის უგულებელყოფა და მისგან გამომდინარე შედეგები იყო), რაც ისევ და ისევ აშშ-რუსეთის დაპირისპირებას გააღვივებდა. ობამამ ოპონენტების ეს „გარღვევა“ იმით მოიგერია, რომ ბიუჯეტს საგანგებო შენიშვნა დაურთო, რომელშიც აღნიშნა, რომ ამ მუხლის შესრულება შეიძლება არასავალდებულოდ ჩათვალოს. ამჯერად კი მას, როგორც ჩანს, ლუგარის ინიციატივის ტორპედირება მოუწევს, რადგან იმ შემთხვევაში, **თუ კანონი ამა თუ იმ ფორმით დაავალდებულებს აშშ-ის ხელისუფლებას, მუდამ აქტიურად იზრუნოს საქართველოს ნატოში გაწევრიანებაზე, ეს კონფრონტაციას მოსკოვთან გარდაუვალს გახდის.**

ახლა კი „გადავახვიოთ ფური“ და წარმოვიდგინოთ, რომ გავიდა ერთი წელი და ოვალურ კაბინეტში ბარაკ ობამას ნაცვლად მიტ რომნი ზის. მართალია, დღეს ის მოქმედ პრეზიდენტს რეიტინგებში თითქმის უიმედოდ ჩამორჩება, მაგრამ დროებით დავუშვათ, რომ მოხდა სასწაული და რომნიმ არჩევნები მოიგო. ამ კანდიდატის დღევანდელი განცხადებებით თუ ვიმსჯელებთ, ის რუსეთთან დაკავშირებით გაცილებით ხისტად იმოქმედებდა. მაგალითად, მწვავედ გააკრიტიკებდა 4 მარტს ჩატარებულ არჩევნებს და პუტინს ლამის არალეგიტიმურ მმართველად გამოაცხადებდა. მართალია, მსგავსი განცხადებების ანალიზის დროს წინასაარჩევნო კონიუნქტურა უნდა გავითვალისწინოთ, თუმცა რომნი, დიდი ალბათობით, მართლაც იქნებოდა უფრო ხისტი და არც ლუგარის საკანონმდებლო ინიციატივას დაბლოკავდა.

აქ ჩვენ ძალიან საინტერესო კითხვას მივუახლოვდით: **რატომ არ სცადა ვაშინგტონმა რუსეთში „ფერადი რევოლუციის“ რეალური ხელშეწყობა და რატომ შეხვდა ასე მშვიდად პუტინის გაპრეზიდენტებას, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი კომენტატორი (და, სხვათა შორის, სააკაშვილის ხელისუფლებაც) მისგან გაცილებით აქტიურ მოქმედებას ელოდა; წარმატების შემთხვევაში ხომ კრემლში პუტინზე გაცილებით უფრო სუსტი, დამყოლი, ვაშინგტონისთვის მეტად კომფორტული მმართველი დაბინავდებოდა?** მაგრამ **ობამას ადმინისტრაციამ არ გარისკა, როგორც ჩანს, იმიტომ, რომ ამ პროექტის ჩავარდნის ალბათობა მაღალი იყო, ხოლო მოსალოდნელი შედეგი — მძიმე.** იმისთვის, რომ გავიგოთ, თუ რა ფსონზე მიდიოდა საუბარი სინამდვილეში 4 მარტს, უმჯობესი იქნება, ლუგარი თავისი კანონპროექტით სენატის დერეფანში დავტოვოთ და პირდაპირი რეისით პეკინში გავემგზავროთ.

### ბალადა წითელ დრაკონზე

თანამედროვე გეოპოლიტიკური თამაში არ არის ჭადრაკი; მასში ორზე მეტი მოთამაშე მონაწილეობს, ის უფრო პოკერს, ან ბრიჯს მოგაგონებს. სხვათა შორის, ყველა თანამედროვობის დატოვების შემდეგ დენ სიაოპინი მხოლოდ ერთს — პოსტს ვერ შეელია და ჩინეთის ბრიჯის ფედერაციის თავმჯდომარედ დარჩა. დენს უყვარდა ეს თამაში, რომელიც სტრატეგიულ ალღოს ავითარებს.

კრიტიკულ მომენტში, როდესაც ბევრს მოეჩვენა, რომ ვაშინგტონი რუსულ შიდაპოლიტიკურ თამაშში აქტიურად ჩაერევა და პუტინს შესაძლებლობების მთელი სპექტრის გამოყენებით დაუპირისპირდება, 30 იანვარს გაზეთ „ჟენმინ ჟიბაო“-ში (ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ოფიციალური ორგანო) ერთი მოკლე წერილი გამოქვეყნდა. მოდით ვნახოთ, რას წერს ამხანაგი დან სიუი პეკინის უნივერსიტეტიდან... სათაური: **„ჩინეთმა და რუსეთმა ევრაზიული ალიანსი უნდა შექმნან“.** ციტატები: **„ჩინეთმა და რუსეთმა, რომლებიც ერთიან ინტერესებს მისდევენ და მსოფლიოში მნიშვნელოვანი მისია აკისრიათ, ერთობლივად უნდა შეაკავონ აშშ-ის ზეწოლა სუსტ ქვეყნებზე და შებოჭონ მისი სტრატეგიული ამბიციები იმპერიის შექმნის მიმართულებით“, „ჩინეთმა უნდა შეცვალოს საერთაშორისო საქმეების გადაწყვეტის წესი, რომელიც მხოლოდ ეკონომიკურ ინტერესებსა და მშვიდობიან მიზნებს ეფუძნება და ქვეყნის მომავალი განვითარება სტრატეგიული სიმაღლიდან დაგეგმოს. ზღვაზე შეტევის პარალელურად, ჩვენ უნდა დავიკავოთ ერა-** ▶

**თუ კანონი ამა თუ იმ ფორმით დაავალდებულებს აშშ-ის ხელისუფლებას, მუდამ აქტიურად იზრუნოს საქართველოს ნატოში გაწევრიანებაზე, ეს კონფრონტაციას მოსკოვთან გარდაუვალს გახდის**

მსოფლიო

## მოსადის ექს-შეფი ისრაელს განზე გადგომას ურჩევს

**ისრაელის სადაზვერვო სამსახურის, მოსადის ყოფილი შეფის — მეირ დაგანის აზრით, როდესაც ირანთან პრობლემის მოგვარების თვალსაზრისით ყველა მიდგომა ამოწურული არ არის, ისრაელის მხრიდან თეირანზე სამხედრო იერიშის განხორციელება არასწორი იქნება.** დაგანმა ირანის ხელისუფლებას რაციონალური რეჟიმი უწოდა. მისი თქმით, მაჰმუდ აჰმადინეჯადი დასავლური გაგებით რაციონალური პოლიტიკოსი არ არის, მაგრამ იგი ყველა თავისი ქმედების შესაძლო შედეგებს ითვალისწინებს. მისივე თქმით, თეირანის პროგრესირებადი ბირთვული სისტემის მხოლოდ ირან-ისრაელის საქმედ ქცევა შეცდომა იქნება. უკეთესი იქნება, თუ ამ პრობლემის მოგვარებისას ისრაელი გვერდზე გადგება და ამერიკელებს მუშაობას აცდის.

## აშშ პუტინთან თანამშრომლობისთვის მზადაა

**აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, ჰილარი კლინტონის განცხადებით, აშშ მზადაა, ითანამშრომლოს რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულ კანდიდატთან — ვლადიმერ პუტინთან.** აშშ-ის პრეზიდენტობის შესაძლო რესპუბლიკელმა კანდიდატმა მიტ რომნიმ კი რუსული არჩევნები „დემოკრატიული პროცესების დაცინვად“ შეაფასა. „ბარაკ ობამას ადმინისტრაციამ იმ მნიშვნელოვან დარღვევებზე, რომელიც ხმის მიცემის პროცესის დროს დაფიქსირდა, არაფერი თქვა“, — აცხადებს მიტ რომნი.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რატომ არ სცადა ვაშინგტონმა რუსეთში „ფერადი რევოლუციის“ რეალური ხელშეწყობა და რატომ შეხვდა ასე მშვიდად პუტინის გაპრეზიდენტებას, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი კომენტატორი (და, სხვათა შორის, სააკაშვილის ხელისუფლებაც) მისგან გაცილებით აქტიურ მოქმედებას ელოდა; წარმატების შემთხვევაში ხომ კრემლში პუტინზე გაცილებით უფრო სუსტი, დამყოლი, ვაშინგტონისთვის მეტად კომფორტული მმართველი დაბინავდებოდა? მაგრამ ობამას ადმინისტრაციამ არ გარისკა, როგორც ჩანს, იმიტომ, რომ ამ პროექტის ჩავარდნის ალბათობა მაღალი იყო, ხოლო მოსალოდნელი შედეგი — მძიმე.**

◀ **ზიის დასავლეთი ნაწილი, სივრცის დროზე გაცვლის მიზნით, და ამერიკელების შეკავების სტრატეგიას წინ აღვუდგეთ“**. შესაძლოა, სწორედ ეს არის გასაღები, რომელიც ობამას რუსული სტრატეგიის გაგებაში დაგვეხმარება. მოსკოვში წარუმატებლობის შემთხვევაში (აქ იგულისხმება რეალური შეტევა პუტინის პოზიციებზე და არა ის ვოდევილი, რომელსაც ადგილი ჰქონდა) ვაშინგტონი, ძალიან დიდი ალბათობით, მართლაც მიიღებდა ორი გიგანტის „ევრაზიულ ალიანსს“, მთელი იმ პერსპექტივით, რომელსაც ამხანაგი დან სიუი ასეთი მრისხანე პოეტურობით აღწერს.

დავუშვათ, რომ დან სიუის წერილი „ჟენმინ ჟიბაო“-ში „შემთხვევით გაიპარა“ და ის ერთი ჩვეულებრივი „ქორია“, ისევე, როგორც ეროვნული თავდაცვის უნივერსიტეტის პროფესორი, გენერალ-მაიორი ჩჟან ჩიონგი თავისი ცნობილი ციტატით: **„ჩინეთი ორჭოფობის გარეშე დაიცავს ირანს, თუნდაც ეს მესამე მსოფლიო ომის დასაწყისი გახდეს“**, მაგრამ რა ვუყოთ კიდევ ერთ (ეშმაკი დეტალებშია) ინფორმაციას ჩინეთიდან China.org.cn-ზე, რომელსაც, ოფიციალურად, სახელმწიფო საბჭოს პრესკანცელარია მართავს, აქტიურად განიხილება ჯერაც ფორმულირების სტადიაში მყოფი კანონპროექტი „ავიამზიდების შესახებ“, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არ აქვს. მან, მათ შორის, სამართლებრივი საფუძველი უნდა ჩაუყაროს საწარმოო საშუალებების მობილიზაციას ავიამზიდების შექმნისთვის, ეს კი შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ **პეკინი ქმნის წინაპირობებს ავიამზიდების პროგრამის ფორსირებისთვის**. რა ქნას ახლა ბარაკ ობამამ? პერლ-ჰარბორში დაჯდეს, დაელოდოს ჩინეთ-რუსეთის სტრატეგიული ალიანსის შექმნას და იმკითხაოს იმაზე, თუ რა ნაყოფს გამოიღებს რუსეთის ბუნებრივი რესურსებისა და სამხედრო ტექნოლოგიების შერწყმა ჩინეთის „გლობალური ფაბრიკის“ შესაძლებლობებთან? **ობამას, რა თქმა უნდა, შეეძლო გაერისკა და პუტინთან მწვავე კონფრონტაციაში შესულიყო, მაგრამ წარუმატებლობა ამ შემთხვევაში აშშ-ისთვის გლობალური მასშტაბის მარცხს, რუსეთ-ჩინეთის ალიანსის ფორმირებას მოასწავებდა. სავარაუდოდ, ამიტომ თეთრი სახლი რუსულ არჩევნებთან დაკავშირებით მხოლოდ რამდენიმე სიმბოლური ჟესტით შემოიფარგლა, რომლებიც ქართველი კომენტატორების ნაწილმა რატომღაც მოსკოვში რევოლუციის მოახლოების უტყუარ ნიშნად ჩათვალა.** საინტერესოა, როგორ მოიქცეოდა ობამას ადგილას მიტ რომნი?



შესაძლოა, 4 მარტს ვლადიმერ პუტინმა მოიგო არა მხოლოდ საპრეზიდენტო არჩევნები, არამედ ვაშინგტონსა და პეკინს შორის თავისუფალი მანევრის და, შესაბამისად, ევრაზიაში, მასშტაბური პროაქტიური თამაშის დაწყების შესაძლებლობა, რამაც რუსეთის ისედაც დიდი გეოპოლიტიკური წონა კიდევ უფრო გაზარდა. ამ თამაშის სივრცე და ძირითადი პრინციპები პუტინმა ჯერ კიდევ არჩევნების წინ წარმოადგინა თავის ცნობილ წერილში „ევრაზიული კავშირის“ შესახებ. სხვათა შორის, ეს სტატია არ დაიბეჭდებოდა, ამ იდეის პრეზენტაციისთვის სათანადო გეოპოლიტიკური წინაპირობები რომ არ შექმნილიყო.

**ობამას, რა თქმა უნდა, შეეძლო გაერისკა და პუტინთან მწვავე კონფრონტაციაში შესულიყო, მაგრამ წარუმატებლობა ამ შემთხვევაში აშშ-ისთვის გლობალური მასშტაბის მარცხს, რუსეთ-ჩინეთის ალიანსის ფორმირებას მოასწავებდა. სავარაუდოდ, ამიტომ თეთრი სახლი რუსულ არჩევნებთან დაკავშირებით მხოლოდ რამდენიმე სიმბოლური ჟესტით შემოიფარგლა, რომლებიც ქართველი კომენტატორების ნაწილმა რატომღაც მოსკოვში რევოლუციის მოახლოების უტყუარ ნიშნად ჩათვალა**

ზოგიერთი კომენტატორის დღევანდელი შელოცვები იმის თაობაზე, რომ პუტინი დღეს დასუსტებულია, ამიტომ იძულებული იქნება, ოპოზიციის ყველა კაპრიზი შეასრულოს და დასავლეთთან საუბრის დროს უფრო დამთმობი გახდეს, შესაძლოა, საკუთარი თავის მოტყუებაა. სიტუაციის დაკვირვებას უფრო იმ ვარაუდისკენ მივყავართ, რომ **პუტინმა 4 მარტს კარტ-ბლანში მიიღო როგორც რუსეთის შიგნით, ისე (ცხადია, გონივრულ ჩარჩოებში) მის ფარგლებს გარეთ აქტიური მოქმედებისთვის. საქართველოს საკუთარი საგარეო პოლიტიკის დაგეგმვა, მათ შორის ამ ფაქტორის გათვალისწინებით მოუწევს.**

## „რაცა გნებავს თავისა შენისათვის“

7 მაისს რუსეთის პრეზიდენტის ინაუგურაცია გაიმართება. ბარაკ ობამა და ვლადიმერ პუტინი ერთმანეთს ჩიკაგოს ნატოს სამიტამდე ორიოდე დღით ადრე კემპ-დევიდში, „დიდი რვიანის“ სამიტზე შეხვდებიან. „გადატვირთვის“ ახალი ეტაპისთვის ათვლის წერტილი სწორედ ეს შეხვედრა გახდება. **მთელი მსოფლიო ცდილობს იმის ამოცნობას, თუ როგორი იქნება პუტინის პირველი ნაბიჯები საერთაშორისო არენაზე, მათ შორის — პოსტსაბჭოთა სივრცეში. საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვანია, ამ თვალსაზრისით ერთგვარ საცდელ პოლიგონად არ იქცეს; ახლა მკვეთრი მოძრაობების დრო, ალბათ, არ არის. დღეს ჩვენ რუსეთთან რაიმე ფორმით კონფრონტაციისთვის არანაირი რესურსი არ გვაქვს.**

ზესახელმწიფოების საგარეო პოლიტიკა არ ჰგავს გემის მოძრაობას, რომლის კურსი შეიძლება საკმაოდ სწრაფად 180 გრადუსით შეიცვალოს, ის უფრო მატარებლის მოძრაობას მოგაგონებს; მას თანმიმდევრულობა და მემკვიდრეობითობა ახასიათებს, თუმცა შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ **პუტინის დაბრუნება კრემლში რუსეთის მოქმედებას საერთაშორისო არენაზე მეტ სიხისტესა და რელიეფურობას შესძენს. ჩვენთვის, ალბათ, მნიშვნელოვანია, არ აღმოვჩნდეთ რელსებზე მაშინ, როდესაც რუსული ჯავშანმატარებელი აჩქარებას დაიწყებს, რაც ახლო პერსპექტივაში აუცილებლად მოხდება. დღეს აქტუალური იმის დადგენა კი არ არის, რა მოუვა ამ მატარებელს მომავალში: ლიანდაგიდან გადავარდება თუ დანიშნულების ადგილამდე მშვიდობიანად ჩააღწევს; დღეს მთავარია, რომ მან ჩვენ არ გადაგვიაროს.**

არის ერთი ძველი დიალოგი, რომელიც შეიძლება განვიხილოთ როგორც ფუნდამენტი საქართველოს წარმატებული საგარეო პოლიტიკისთვის. როდესაც შაჰმა ვახტანგ გორგასალს უთხრა: **„ითხოვე ჩემგან, რაცა გნებავს თავისა შენისათვის“,** ქართველთა მეფემ უპასუხა: **„მნებავს, რათა იყოს მშვიდობა შენ შორის და კეისრისა“**, შესაძლოა ამ სიტყვების დაკვირვება დაგვეხმარება იმ პოზიციის მოძებნაში, რომელიც უნდა დაიკავოს საქართველომ გზაგასაყარზე დიდ აღმოსავლეთსა და დიდ დასავლეთს შორის. არის კიდევ ერთი გამონათქვამი, რომელიც, მართალია, ოტო ფონ ბისმარკს ეკუთვნის, მაგრამ ამ იდეაზე დაფუძნებულ პოლიტიკას საქართველოს წარმატებული მმართველები მის დაბადებამდე გაცილებით ადრე მისდევდნენ: **„გერმანიას თითოეულ მეზობელ ქვეყანასთან უფრო კარგი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს, ვიდრე მეზობელ ქვეყნებს ერთმანეთთან აქვთ“.**

არც გორგასლის და არც ბისმარკის ფრაზა არ არის ლოზუნგი ან ბრჭყვიალა სიტყვების რახარუხი; ეს პრინციპებია, რომელთაც დღესდღეობით ძალიან დავშორდით. არადა, ქვეყნის გამთლიანება და ქართული სახელმწიფოს რამდენადმე ხანგრძლივი არსებობა ამ პრინციპების გათვალისწინების გარეშე, პრაქტიკულად, წარმოუდგენელი ჩანს.

**დიმიტრი მონიავა**

**პუტინმა 4 მარტს კარტ-ბლანში მიიღო როგორც რუსეთის შიგნით, ისე (ცხადია, გონივრულ ჩარჩოებში) მის ფარგლებს გარეთ აქტიური მოქმედებისთვის. საქართველოს საკუთარი საგარეო პოლიტიკის დაგეგმვა, მათ შორის ამ ფაქტორის გათვალისწინებით მოუწევს**

# მეუფე სერაფიმე: 9 მაისს ქერჩში გავემგზავროთ და თანამემამულეების საფლავები მოვილოცოთ

ბორჯომისა და ბაკურიანის მიტროპოლიტი მეუფე სერაფიმე საზოგადოებას ქერჩში დაღუპული ქართველების საფლავების მოლოცვას და მათი ხსოვნის პატივისცემას სთხოვს



როგორც „ობიექტივის“ პირდაპირ ეთერში მეუფე სერაფიმემ აღნიშნა, ქერჩში ათი ათასობით ქართველის საფლავია. ეს ადამიანები სამშობლოს დასაცავად იბრძოდნენ და ქართველი ერი ვალდებულია, მათ ხსოვნას პატივი მიაგოს.

**„იმ ხალხმა საქართველოსთვის გაწირა თავი. მერე რა, რომ საბჭოთა კავშირის სახელით იბრძოდნენ. ფაშისტებს რომ გაემარჯვათ, საქართველოც განადგურდებოდა. ჩვენი ვალია, არ დავივიწყოთ ეს ადამიანები. მოვუწოდებ ყველას, 9 მაისს, ფაშიზმზე გამარჯვების დღეს, ქერჩში დიდი დელეგაციით გავემგზავროთ და მათი საფლავები მოვილოცოთ.**

**ბოლო 20 წელიწადია, მათი ხსოვნის პატივსაცემად საქართველოდან არავინ ჩასულა. 2005 წლის 9 მაისს მხოლოდ სასულიერო დელეგაციამ მოვახერხეთ ჩასვლა. საბედნიეროდ, ქერჩში დაღუპული ქართველების შთამომავლებისა და იქ მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების წყალობით, ამ ქალაქში წმიდა გიორგის სახელობის ტაძრის აშენება შევძელით. მოდით, ერთად ჩავიდეთ და ამ ტაძარში ქერჩში დაღუპული ქართველების სულებისთვის ვილოცოთ!“** — განაცხადა მეუფე სერაფიმემ.

# ჰენრი კისინჯერი: პუტინი დასავლეთის წინააღმდეგი არ არის, ის რუსი პატრიოტია!

**„მე არ ფიქრობ, რომ პუტინი ანტიდასავლურად არის განწყობილი. პირველ რიგში, ის რუსი პატრიოტია, რომელიც თავს დამცირებულად გრძნობს იმის გამო, რაც 1990-იან წლებში რუსეთში ხდებოდა“,** — განაცხადა აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა ჰენრი კისინჯერმა ამერიკის ტელეარხ CNN-თან ინტერვიუში.



ცნობისათვის: კისინჯერს სახელმწიფო მდივნის პოსტი აშშ-ის ორი პრეზიდენტის — რიჩარდ ნიქსონისა და ჯერალდ ფორდის — ადმინისტრაციებში ეკავა. პუტინი კისინჯერს დაახლოებით 20-ჯერ შეხვდა. უკანასკნელად მათი შეხვედრა 2012 წლის იანვარში შედგა.

ამერიკა

## მიტ რომნიმ ვაიომინგის შტატიც მოიგო

**აშშ-ში რესპუბლიკელების წინასაარჩევნო მარათონში კვლავ მიტ რომნიმ გაიმარჯვა. ის ასევე ლიდერად დასახელდა გუამისა და ჩრდილოეთ მარიანის კუნძულებზე. წარმატებები მასაჩუსეტსის შტატის ყოფილმა გუბერნატორმა კანზასის შტატში ჩატარებულ ამომრჩეველთა შეკრებაზეც მოიპოვა.** ექსპერტების ვარაუდით, კამპანიის წარუმატებელი მიმდინარეობის მიუხედავად, ბარაკ ობამას მთავარი კონკურენტი საპრეზიდენტო არჩევნებზე სწორედ მიტ რომნი გახდება. იმისთვის, რომ რესპუბლიკელებმა ყრილობაზე ერთიანი კანდიდატი აირჩიონ, პრეტენდენტს, სულ მცირე, 1144 ამომრჩევლის ხმა სჭირდება. დღეისათვის სურათი ასეთია – მიტ რომნის 454 ხმა აქვს, რიკ სანტორუმს — 217, ნიუტ გინგრიჩს – 107, ხოლო რონ პოლს – 47. აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნები 6 ნოემბერს გაიმართება.

## ესპანეთს მოუსავლიანობა ემუქრება

**ესპანეთის ზოგიერთ რეგიონში ძლიერი გვალვებია. მსგავსი რამ ესპანეთში ბოლო 65 წლის განმავლობაში არ ახსოვთ.** კატალონიაში ნახევარი წელია წვიმა არ მოსულა და როგორც მეტეოროლოგები აღნიშნავენ, არც უახლოეს პერიოდშია ქვეყანაში ნალექი მოსალოდნელი. ფერმერებმა მოსავლის უდიდესი ნაწილი უკვე დაკარგეს. არ გამოირიცხება, რომ ძლიერმა გვალვებმა კატალონიაში ტყის ხანძრები გამოიწვიოს. კატალონიის ექსტრემალური სამსახურები უკვე მუშაობის საგანგებო რეჟიმზე გადავიდნენ.

საქართველო და მსოფლიო
სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ნელ-ნელა საქართველო იქცევა ციხეებისა და საავადმყოფოების სახელმწიფოდ, კრიმინალებისა და ავადმყოფების ქვეყნად, იმიტომ, რომ ამ პოლიტიკის პირობებში მალე, ფაქტობრივად, არ დარჩება ადამიანი, რომელიც ან წარსულში არ იყო ნასამართლევი, ან ახლა არ იხდის სასჯელს, ან მომავალში არ მოხვდება ციხეში."**

გელა ნიკოლეიშვილი:

# არავინ იცის, ხვალ და ზეგ კიდევ ვის გადმოაგდებენ ფანჯრიდან და ვის ამოხდიან სულს ცემაში



## ხელისუფლება უკვე ფიზიკური განადგურებით, მოკვლით ემუქრება მოქალაქეებს

ციხეებში არსებულ მდგომარეობასა და ადამიანის უფლებების კუთხით ბოლო დროს შექმნილ ვითარებაზე „საქართველო და მსოფლიოს" ესაუბრება ადვოკატი და უფლებადამცველი გელა ნიკოლეიშვილი.

**— ბატონო გელა, ერთადერთი სფერო, რაზეც დღესდღეობით ხელისუფლება თავის წინასაარჩევნო პიარკამპანიას არ აწყობს და ამით ქულების დაწერას არ ცდილობს, ადამიანის უფლებებია. თქვენი აზრით, რითაა ეს განპირობებული და საერთოდ, რა მდგომარეობა გვაქვს ბოლო დროს ამ მიმართულებით?**

— ამ შემთხვევაში, ალბათ, უფრო ნიშანდობლივია, სასჯელაღსრულებით სისტემაში შექმნილ ვითარებაზე ვისაუბროთ, ვინაიდან სწორედ სასჯელაღსრულებითი სისტემაა ის ურთულესი მიმართულება, რომელშიც ყველაზე მეტად იგრძნობა ამ რეჟიმის სიმძიმე და სიმკაცრე, რითაც მოსვლის დღიდან გამოირჩეოდა ეს ხელისუფლება. არ მინდა, ზედმეტად რადიკალური ვიყო, მაგრამ პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ დღესდღეობით ამ სისტემის ყველა რგოლში ტენდენცია არის ისეთი, რომ დღითიდღე სულ უფრო მეტია პრობლემები და ვლინდება ისეთი ფორმით, ისეთი სახით, რომ ხშირად გაკვირვებული ვრჩებით ხოლმე უფლებადამცველები.

ერთის მხრივ, ეს ყველაფერი გასაგებიცაა, — ახლოვდება არჩევნები, ხელისუფლებას სულ უფრო მეტად სჭირდება დაშინებული ადამიანები, რომლებიც გაცილებით ადვილი სამართავი იქნებიან, და ამ დაშინების საუკეთესო საშუალებაა ციხე ან ციხით დამუქრება; ასევე **ხელისუფლებას სჭირდება ის, რომ მისმა მომხრეებმა, მისმა წარმომადგენლებმა თავი იგრძნონ ყოვლისშემძლეებად, ჰქონდეთ იმის განცდა, რომ არავინ დასჯით უკანონო ქმედებისთვის და აქედან გამომდინარე „ნაცმოძრაობა" ყველანაირად ცდილობს, წააქეზოს ძალოვანი სტრუქტურები — ჯარი იქნება ეს, პოლიცია თუ სპეცრაზმი...**

ამის ნათელი მაგალითია იგივე ის ვანდალური ფაქტი, რაც მოხდა ხაშურის პოლიციის განყოფილებაში, — ადამიანი დაიღუპა თუ მოკლეს, გაურკვეველია და ამ დროს, ფაქტობრივად, არავის პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა. იმ სიმბოლურ გათავისუფლებას სამსახურიდან და ეჭვმიტანილი თანამშრომლის გადაყვანას კადრების განკარგულებაში დასჯას ვერ დავარქმევთ, იმიტომ, რომ ეს ნამდვილად არაფერია იმასთან შედარებით, რასაც მსგავსი დანაშაული ითვალისწინებს კანონით. ის კი არა, დარწმუნებული ვარ, ხვალ და ზეგ იმ თანამშრომელს სადმე უკეთეს ადგილას გადაიყვანენ და დააწინაურებენ კიდეც.

რაც შეეხება თქვენს კითხვას, რატომ არ იყენებს ხელისუფლება პიარისთვის ადამიანის უფლებების დაცულობის თემას, ეს ძალიან მარტივია, — უბრალოდ, ამ მიმართულებით, ამ კუთხით იმდენადაა სააკაშვილის რეჟიმი გაშიშვლებული, რომ ამაზე დროის და მით უფრო ფინანსური რესურსის ხარჯვა უაზრობად მიაჩნიათ, ანუ ხელისუფლება უკვე ერთგვარად შეგუებულია იმ აზრს, რომ ამ საკითხში ის წაგებულია და ეს არ არის მისი თემა, ამიტომაც გაურბის „ნაცმოძრაობა" ამაზე საუბარს, რაც სავსებით ბუნებრივია...

**— სხვათა შორის, ხაშურში მომხდარ ფაქტზე მერაბიშვილმა უცნაური განცხადება გააკეთა, თქვა, რომ უფრო გამჭვირვალე უნდა გახდეს პოლიციის შენობაში მისული ნებისმიერი სტატუსის მქონე ადამიანის გადაადგილება, რათა მისი უსაფრთხოება იყოს დაცული. ეს ყველაფერი ერთგვარ მობოდიშებას ჰგავდა — ოღონდ ეს გვაპატიეთ და მეტი აღარ განმეორდება...**

— ეს ფაქტი სადმე სხვაგან რომ მომხდარიყო, ვთქვათ, ქუჩაში ან რომელიმე დაწესებულებაში, დარწმუნებული ვარ, ხელისუფლება ამას საკუთარი პიარისთვის გამოიყენებდა და იმ პოლიციელს, რომელმაც მკვლელობა ჩაიდინა, სამაგალითოდ დასჯიდა, მაგრამ ამ შემთხვევაში მათ ეს არ გააკეთეს და რატომ: უბრალოდ, საქმე ეხება შუშის შენობას და მის პრესტიჟს, კულტს, რომელიც გაფეტიშებული ჰყავს ხელისუფლებას. ამით **სააკაშვილის რეჟიმმა, ფაქტობრივად, პირდაპირ უთხრა პოლიციას, რომ მათ აქვთ ყველაფრის უფლება და რაც უნდა გააკეთონ, თუნდაც ადამიანი მოკლან, პასუხს არავინ მოსთხოვთ.**

შეიძლება ითქვას, ეს არის ერთგვარი წაქეზება, ბიძგის მიცემა ძალოვნებისთვის, რომ ადვილად დაარღვიონ კანონი და გასაგებია, ამით რაც ხდება, — **ხელისუფლება უკვე იქამდე მივიდა, რომ ფიზიკური განადგურებით, მოკვლით ემუქრება საკუთარ მოქალაქეებს; მოკლედ, ამათ ყველაფერი უნდა გააკეთონ არჩევნების მოსაგებად, ესაა მათი მიზანი და ამისთვის გააფთრებული იბრძვიან.** აქეთკენ იყო მიმართული ისიც, რომ შემოიღეს კანონი, რომლის თანახმად, მსჯავრდებულს უფლება აქვს, არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს; ამით ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, გაინაღდა ხმების სულ ცოტა 10-15 პროცენტი და დარწმუნებული ვარ, ასეთ კანონებს მომავალშიც არაერთს მიიღებენ, თუ ჩათვლიან, რომ მათი გამარჯვებისთვის ეს აუცილებელია.

**— ციხეების საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ორი თვის წინ დადებული მონაცემის თანახმად, ოფიციალურად საქართველოში 25 ათასამდე მსჯავრდებულია. მას შემდეგ თუ შეიცვალა რამე, ანუ თუ გაიზარდა პატიმართა რაოდენობა, შემცირდა ან იგივე დარჩა?**

— რამე ოფიციალურ წყაროზე, დოკუმენტზე დაყრდნობით ვერ ვიტყვი, რომ შემცირდა ან გაიზარდა, ვინაიდან ამ მონაცემებში ჩვენ არავინ გვახედებს, მაგრამ გარეგნული ნიშნებით შემიძლია ვთქვა, რომ მსჯავრდებულთა რაოდენობა ყოველდღიურად იზრდება და რატომ: მთელი ქვეყნის მასშტაბით, მაქსიმუმ 10-15 პატიმარი შეიძლება გამოვიდეს ციხიდან სასჯელის მოხდით ან შეწყალებით. შესვლით კი, ყოველთვიურად რამდენიმე ასეული ადამიანი ხვდება საპყრობილეში. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, როცა რამდენიმე ათეული გამოდის, ასეული კი შედის, მსჯავრდებულთა რაოდენობის ზრდის ტენდენცია არის ძალიან სწრაფი და, რა თქმა უნდა, კარგია, რომ ახალი ციხეები შენდება, მაგრამ, მეორე მხრივ, ვერანაირი ციხის აშენების ტემპი ვერ მიჰყვება ამ ტენდენციას. კი, რაღაც პერიოდით ეს განმუხტავს სიტუაციას, მაგრამ მერე ისევ იქნება ახალი ციხეების აშენება საჭირო. ასე რომ, **ნელ-ნელა საქართველო იქცევა ციხეებისა და საავადმყოფოების სახელმწიფოდ, კრიმინალებისა და ავადმყოფების ქვეყნად, იმიტომ, რომ ამ პოლიტიკის პირობებში მალე, ფაქტობრივად, არ დარჩება ადამიანი, რომელიც ან წარსულში არ იყო ნასამართლევი, ან ახლა არ იხდის სასჯელს, ან მომავალში არ მოხვდება ციხეში.**

**— თქვენი აზრით, არჩევნების მოახლოებასთან ერთად ეს ყველაფერი უფრო მწვავე ხასიათს მიიღებს?**

— რა თქმა უნდა, ამაში დარწმუნებული ვარ. ამ ეტაპზე, ალბათ, ჯერ კიდევ არ უთითებენ პატიმრებს, ვის მისცენ ხმა, იმიტომ, რომ არ უნდათ, იჩქარონ და გამოჟონოს ინფორმაციამ, მაგრამ **არჩევნების წინა დღეებში ისინი აამუშავებენ ისეთ ბერკეტებს, რომ მსჯავრდებულთა აბსოლუტური უმრავლესობა იძულებული იქნება, მხარი დაუჭიროს „ნაციონალურ მოძრაობას". ანალოგიურად მოუწევთ პრობაციონერებს, მათ ახლობლებს, ოჯახის წევრებს და საბოლოოდ ეს იქნება მძევლად აყვანილი მოქალაქეების მიერ გაკეთებული არათავისუფალი არჩევანი.**

აქედან გამომდინარე, თუ არ შეიცვალა საარჩევნო გარემო, არ გააქტიურდა საერთაშორისო საზოგადოება და არ მოხდა კონტროლი პენიტენციარულ სისტემაზე, ხელისუფლებას, ფაქტობრივად, გარანტირებული აქვს გამარჯვება და, პირველ რიგში, ოპოზიციამ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ ეს არ მოხდეს.

**— თქვენ თქვით, რომ მსჯავრდებულები იძულებულნი არიან, ხმა მისცენ „ნაცმოძრაობას". ვთქვათ და ყველამ ერთხმად განაცხადოს პროტესტი და უარი თქვას მითითების შესრულებაზე, როგორ ფიქრობთ, რას უზამენ მათ?**

— ვერაფერს, მაგრამ ამ ადამიანებს არწმუნებენ, რომ მათი ხმები მკაცრად გაკონტროლდება. ასევე **ემუქრებიან, რომ რომელიმე კორპუსიდან, სადაც, ვთქვათ, ასი პატიმარია, ხელისუფლებამ მხოლოდ ოთხმოცი ხმა თუ მიიღო, იმ დანარჩენი ოცი მსჯავრდებულის გამო, რომლებმაც არ შემოხაზა ხუთიანი, ყველას სცემენ. აი, ეს არის ამათი დაშინების მეთოდი და გასდით კიდეც, — ვერც ერთი პატიმარი ვერ ბედავს ამაზე ხმამაღლა საუბარს; პირიქით, რომ ჰკითხოთ, ძალიან კარგად არიან და კარგადაც ექცევიან. ხოლო ვინც ბედავს საუბარს და გვიყვება, რა უბედურებაც იქ ტრიალებს, თან გვთხოვს, რომ ეს არ გავახმაუროთ, არ ვაცნობოთ მედიას და ა.შ.**

**— გამოდის, რომ მსჯავრდებულების სახით „ნაცმოძრაობას" სერიოზული ელექტორატი ჰყავს. თქვენ ოპოზიცია ახსენეთ და რა მექანიზმები აქვს მას იმისთვის, რომ სასჯელაღსრულებითს დაწესებულებებში სიტუაცია მეტნაკლებად აკონტროლოს?**

— ერთადერთი ყველაზე რეალური საშუალება, ალბათ ისაა, რომ საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციები უფრო მეტად გაააქტიურონ, თუმცა, რა თქმა უნდა, ამით მისი სრული განეიტრალება ვერ მოხერხდება...

**— და არის დღეს ოპოზიცია ციხეებში არსებული მდგომარეობით დაინტერესებული?**

— სამწუხაროდ, ოპოზიციის წარმომადგენლები მხოლოდ მაშინ ინტერესდებიან ამ საკითხით, როცა ვიღაცას კლავენ, აწამებენ, სცემენ და ეს ყველაფერი ხდება გარკვეული ვნებათაღელვის საგანი. ანუ, თუ ფაქტს არ აქვს დიდი რეზონანსი, არავის აინტერესებს, იმიტომ, რომ ასეთი თემით მანიპულირება არ არის მომგებიანი. მოკლედ, ეს საკითხი ოპოზიციურ სპექტრში, ფაქტობრივად, მიჩუმათებულია და არავინ საუბრობს ამაზე. ამიტომაცაა, რომ ხელისუფლება, რასაც უნდა, იმას აკეთებს. მან იცის, რომ მის ოპონენტებს ეს სფერო მისთვის ექსკლუზიურად აქვთ ჩაბარებული და, რაც უნდა მოხდეს, ხმის ამომღები არავინაა...

**— გარკვეულწილად ეს ყველაფერი, ალბათ, თვითონ მსჯავრდებულების ბრალიცაა, რადგან არც ერთი მათგანი, არც მათი ოჯახის წევრები თავიანთ პრობლემებზე ღიად არ საუბრობენ. ამას ბედავენ მხოლოდ ისინი, ვისაც უკვე მოუკლეს ახლობელი და დასაკარგი არაფერი აქვთ...**

— სამწუხარო სწორედ ისაა, რომ, ვისაც მოუკლეს, ზოგი მათგანიც არ საუბრობს. მაგალითად, ქომერიძის ოჯახი. ვერაფრით დაითანხმეს ეს ხალხი, რომ ერთი-ორი სიტყვა მაინც ეთქვათ. არ ვამბობ, რომ ისინი დააშინეს და დაატერორეს, მაგრამ არაა გამორიცხული, მოესყიდათ, ანუ შეიძლება გარკვეული თანხა მისცეს და უთხრეს, გაჩუმდითო; ამათთვის ეს ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ როგორ შეიძლება, ასეთ დროს გაჩუმდე, არ მესმის. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამით არა მარტო დანაშაულს ფარავ, საფრთხეში აგდებ სხვა მსჯავრდებულებსაც, იმიტომ, რომ არავინ იცის, ხვალ და ზეგ კიდევ ვის გადმოაგდებენ ფანჯრიდან და ვის ამოხდიან სულს ცემაში.

**— ისე, ცოტა არ იყოს უცნაური ლოგიკაა: ხელისუფლება მილიონებს ხარჯავს თავის წინასაარჩევნო პიარკამპანიაში და ამ დროს ერთ რიგით პოლიციელს ვერ იმეტებს დასასჯელად. არადა, ამის პრეცენდენტი რომ შექმნილიყო, „ნაცმოძრაობა" ხომ სერიოზულ ქულებს დაიწერდა ხალხის თვალში?**

— გეთანხმებით, მაგრამ ორი მიზეზია, რის გამოც ამას არ აკეთებენ: ერთი ის, რომ, როგორც გითხარით, ამით იმ გაკერპებული შუშის შენობების რეპუტაცია შეილახება და მეორე, წინასაარჩევნო პერიოდია და ეს შეიძლება გარკვეულ უკანდახევად ჩაეთვალოს ხელისუფლებას. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ის არც კი ფიქრობს რაიმე კომპრომისსა და უკანდახევაზე, პირიქით, **ამ ხელისუფლების პოლიტიკა არის ის, რომ სულ უფრო მეტი მართვის სადავეები ჰქონდეს ხელში, რაც შეიძლება მკაცრად აკონტროლებდეს საზოგადოებას და ერთპიროვნულად წარმართავდეს ყველა პროცესს. ამ თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, იდეალური ვარიანტი ისაა, რომ ძალოვანი სტრუქტურები იყვნენ თავიანთ ნებაზე მიშვებული.** ასე რომ, ხელისუფლებას ახლა არაფერში აწყობს პოლიციის მიმართ სიმკაცრის გამოჩენა, მით უფრო კი თანამშრომლის დასჯა, რაც ბევრისთვის დამაფიქრებელი შეიძლება აღმოჩნდეს.

**— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ, თქვენი აზრით, სანამდე შეიძლება ეს რეჟიმი გაგრძელდეს? რამდენად დიდია ალბათობა, რომ ერთ მშვენიერ დღეს საზოგადოება აფეთქდეს?**

— თუ ასე გაგრძელდება, დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ ეს გარდაუვალია. საერთოდ, ძალადობრივ მეთოდებზე დამყარებული რეჟიმები მანამდე ინარჩუნებენ ამ სისტემას, სანამ საზოგადოებაში მოთმინების ძაფი გაწყდება და უამრავი მაგალითი ვიცით ასეთი. აგერ პინოჩეტის რეჟიმი 20 წელი არსებობდა, ბოლოს კი იძულებული გახდა, თვითონ ჩაეტარებინა დემოკრატიული არჩევნები. ახლახან კიდევ ე. წ. არაბული გაზაფხული ვიხილეთ და ვნახეთ, როგორ დაასრულეს იქ ავტორიტარულმა რეჟიმებმა არსებობა. ჩვენს შემთხვევაშიც ზუსტად ასეა: სანამდეც გასდით, ინარჩუნებენ ძალაუფლებას, ხოლო როდემდე შეიძლება ასე გაგრძელდეს, ეს უკვე ჩვენზეა დამოკიდებული. მოკლედ, ყველა ხალხს, ყველა საზოგადოებას ჰყავს ის ხელისუფლება, რომელსაც იმსახურებს. რეალურად დღეს ჩვენ ამ ხელისუფლებას ვიმსახურებთ. ხვალ და ზეგ დავიმსახურებთ უკეთესს? — უკეთესიც გვეყოლება, მაგრამ ამისთვის ჯერ პირველ რიგში, საჭიროა ძირეული ცვლილებები...

ესაუბრა **ჯაბა ჭყანია**

სააკაშვილს არ შეუძლია დასავლეთს ღია წინააღმდეგობა გაუწიოს, მას ,,თავისუფალი ფრენისთვის“ საკმარისი რესურსი არ აქვს. ის არ არის თავზეხელაღებული, მამაცი ლათინოამერიკელი ან აფრიკელი პოლკოვნიკი, რომელმაც სასწორზე შეიძლება საკუთარი სიცოცხლე შეაგდოს.



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ჩვენ პრობლემა გვაქვს, ჰიუსტონ», ანუ მთვარის მეორე მხარე

**„Houston, we’ve had a problem,“ — „აპოლო-13“-ის ეს ისტორიული სიგნალი, საქართველოში შექმნილ მდგომარეობას, ალბათ, ყველაზე კარგად აღწერს. ჩვენ მართლაც სერიოზული პრობლემა გვაქვს და ამას უკვე არა მხოლოდ ჰიუსტონში, არამედ მთელ პლანეტაზე ხედავენ. როგორც ჩანს, მიხეილ სააკაშვილი ძალიან სწრაფად კარგავს კონტროლს საკუთარ თავზე, ,,აპოლო-13“-ვით კურსს ასცდა და აშკარად ღია კოსმოსისკენ მიექანება.**



**სააკაშვილის გარემოცვას, შესაძლოა, უღირს დაფიქრება იმაზე, რომ ფიგურანტს, დროებით მაინც, გარესამყაროსთან კონტაქტი შეუზღუდოს, უპირველესად კი, უცხო ქვეყნების წარმომადგენლებთან, რადგან ის ბოლო დროს ლამის რეალური დროის რეჟიმში საქართველოს თავს ჭრის**

აბსოლუტურად გაუაზრებელი მუქარები პარლამენტში და შემდგომი გაქცევა დარბაზიდან, რის უფლებას საკუთარ თავს პალმიდან ახლახან ჩამომძვრალი დიქტატორებიც კი არ აძლევენ. **სომოსა-უმცროსი უმსხვილესი კალიბრის არამზადა და გამოჩენილი შიზოფრენიკი იყო, მაგრამ ისიც კი არ ემუქრებოდა დეპუტატებს პარლამენტის დარბაზში და მართული ოპოზიციის წარმომადგენლებთან, თუნდაც ფორმალურად, სავსებით ცივილურ დიალოგს აწარმოებდა**. უცნაური წიაღსვლები იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დაბრუნებაზე, რომელსაც ისრაელის ხელისუფლების უსაზღვრო გაკვირვება და იერუსალიმის პატრიარქის გამანადგურებელი ინტერვიუ მოჰყვა, რომელშიც შემდეგი ფრაზებიც იყო: **„წარმოდგენა არ მაქვს, რაზე საუბრობს სააკაშვილი... საქართველოს ხელისუფლება გახდა ინსტრუმენტი მესამე ძალების ხელში“.** გაუგებარი განცხადებები ბაქოში, აზერბაიჯანთან ერთად „ევრო-2020“-ის ჩატარებაზე და ამ ქვეყნის სპორტული ჩინოვნიკების თანმდევი დამცინავი განცხადებები.

**კაზბეკ ტუაევი**, აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრი: **„რა ქვეყანაა ასეთი საქართველო ჩვენთან ერთად ევროპის ჩემპიონატი რომ ჩაატაროს?.. ჩვენთან შედარებით საქართველო სუსტი და ღარიბია. მათ უნდათ, რომ მოგვეტმასნონ, ჩვენ კი ეს არ გვჭირდება“.**

**კენულ ნურულაევა**, „ბაქო-2020“-ის (ანუ ოლიმპიური განაცხადის) ორგკომიტეტის აღმასრულებელი დირექტორი: **„ეს მიხეილ სააკაშვილის სურვილია... აზერბაიჯანს ჯერ არაფერი გადაუწყვიტავს“.**

ის, ვისაც აზერბაიჯანულ რეალიებთან თუნდაც მცირედი შეხება ჰქონია, ალბათ, დაგვეთანხმება, რომ იქაური ჩინოვნიკები არასოდეს იტყვიან რაღაც ისეთს, რაც ოფიციალური ბაქოს პოზიციას 100 ან თუნდაც 50 პროცენტით ეწინააღმდეგება.

კიდევ ერთხელ გადავიკითხოთ ტუაევის ცინიკური განცხადება. საქართველოზე ასეთ ტონალობაში, მაშინაც კი, როდესაც ძალიან გვიჭირდა, კავკასიაში არავის უსაუბრია, თუმცა მიხეილ სააკაშვილმა ამის მიღწევაც მოახერხა.

„Houston, we’ve had a problem...“ ჟანგბადი ილევა, კონტროლი იკარგება და არავინ იცის, სად მიფრინავს დათარსული „აპოლო-13“; ყურსასმენში კი, აზრიანი საუბრის ნაცვლად, მხოლოდ „ბა-ბა-ბა-ბა“ გაისმის, რითაც სააკაშვილმა თავისი საპარლამენტო ბენეფისი დაამშვენა. **ძნელი სათქმელია, მივა თუ არა საქმე ეკვადორის გამოცდილების გაზიარებამდე; 1997-ში ამ ქვეყნის პარლამენტმა პრეზიდენტი აბდალა ბუკარამი თანამდებობიდან შემდეგი ფორმულირებით: „სახელმწიფოს მეთაურის მოვალეობის შესრულებისთვის გონებრივი შესაძლებლობების არქონა“ გაათავისუფლა** (ბეტმენის კოსტუმში გამოწყობილი ბუკარამი ამ დროს ტელესტუდიაში იჯდა და ქვეყნის არნახულ აღმავლობაზე საუბრობდა), თუმცა **სააკაშვილის გარემოცვას, შესაძლოა, უღირს დაფიქრება იმაზე, რომ ფიგურანტს, დროებით მაინც, გარესამყაროსთან კონტაქტი შეუზღუდოს, უპირველესად კი, უცხო ქვეყნების წარმომადგენლებთან, რადგან ის ბოლო დროს ლამის რეალური დროის რეჟიმში საქართველოს თავს ჭრის.**

ეს არ ჰგავს ჩვეულებრივ სეზონურ გამწვავებას; საერთო სურათი გაცილებით მძიმე ჩანს და, ალბათ, საინტერესო იქნება დაფიქრება იმაზე, თუ რამ განაპირობა სააკაშვილის ბოლოდროინდელი უცნაური ქცევა. **გამორიცხული არაა, რომ პრობლემის პირველწყარო მის სურვილებსა და ობიექტურ რეალობას შორის არსებულ გადაულახავ კონფლიქტშია, უფრო ზუსტად კი იმაში, რომ დღეს სააკაშვილი იძულებულია შეასრულოს ის როლი, რომლის შესრულება ცოცხალი თავით არ სურს.**

ვინაიდან საავტორო გვერდის ფორმატი შესაძლებლობას მაძლევს, მიმდინარე პროცესებს დროდადრო სუბიექტური შეფასება მივცე, ამით ვისარგებლებ და ორიოდე საკუთარ ვერსიას შემოგთავაზებთ, ყოველგვარი „ალბათ“, „შესაძლოა“ და „როგორც ჩანს“ გარეშე. მაშ ასე, რამდენიმე ვარაუდი:

## „სააკაშვილი უნდა წავიდეს“

— ეს მკაფიოდ ჩამოყალიბებული მესიჯი თბილისში პირველად ნიკოლა სარკოზიმ ჩამოიტანა სწორედ იმ დღეს, როდესაც ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში ჩართვის შესახებ განაცხადა (ეს შემთხვევითი დამთხვევა არ იყო). ადრე ამ გზავნილის ამოკითხვა სხვადასხვა ბუნდოვანი მინიშნებების მიღმა შეიძლებოდა, თუმცა სარკოზის შესრულებით მან ისეთი ფორმულის სახე მიიღო, რომელიც სხვა ინტერპრეტაციას გამორიცხავს. იმ დღეს, 7 ოქტომბერს, სააკაშვილმა სარკოზი აეროპორტში არ გააცილა, რაც თავისთავად უპრეცედენტოა, თუმცა, დაუზუსტებელი ინფორმაციით, ამის გაკეთების შესაძლებლობა „ნაცმოძრაობის“ ლიდერს შოკურთან მიახლოებულმა ფსიქოლოგიურმა მდგომარეობამ არ მისცა. **30 იანვარს კი იგივე ფორმულა ბარაკ ობამამ გაუმეორა, რაც ირიბად დადასტურდა „ვაშინგტონ პოსტის“ სარედაქციო საბჭოს არაორაზროვანი წერილით** (მსგავსი პუბლიკაციები 99% შემთხვევაში თეთრი სახლის პოზიციას გამოხატავს).

**იმისთვის, რომ დასავლეთის, კერძოდ კი აშშ-ის, პროექტი პირობითი სახელით „ვარდისფერი საქართველო“ გადარჩეს, სააკაშვილი უნდა წავიდეს, რადგან მისი დარჩენა ხელისუფლებაში ამ პროექტის შემდგომ გაგრძელებას პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის.** ქვეყნის თითქმის ყველა რესურსი და უცხოური დახმარება (მატერიალური იქნება ის, პოლიტიკური თუ სხვა), ფაქტობრივად, ხმარდება ხელისუფლების პოზიციების გამყარებას მის, სტრატეგიული თვალსაზრისით, უიმედო ბრძოლაში საზოგადოებასთან, რაც მეტად არარაციონალურია. ამას 2003-ში (სინამდვილეში კი უფრო ადრე) დაწყებული პროექტი სრული კრახისკენ მიჰყავს.

შეიძლება გაჩნდეს კითხვა: რატომ არ აფიქსირებენ დასავლური ქვეყნების წარმომადგენლები ამ პოზიციას საჯაროდ? უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ეს აღქმული იქნება როგორც ჩარევა უცხო, ფორმალური თვალსაზრისით, დემოკრატიული და პროდასავლური ქვეყნის საქმეებში, რაც სასურველი მაინც და მაინც არ არის. თუ დასავლელი მაღალჩინოსნები ამ თემაზე ხმამაღლა ისაუბრებენ ან კიდევ, **თუ სააკაშვილი გამოვა და იტყვის, რომ პოლიტიკიდან მიდის, მის მიერ შექმნილი სისტემა და მმართველი პარტია მომენტალურად ჩამოიშლება, ქვეყნის მართვის ბერკეტებზე კონტროლი დაიკარგება და საქართველოში შეიძლება მასშტაბური დესტაბილიზაცია დაიწყოს, რაც დასავლელი პარტნიორების გეგმებში სულაც არ შედის.** ამიტომ ის ადამიანები, რომლებიც დღეს დაბეჯითებით მოითხოვენ სააკაშვილისგან დააფიქსიროს საბოლოო პოზიცია შესაძლო გაპრემიერებასთან და, ზოგადად, ხელისუფლებაში დარჩენასთან დაკავშირებით, მკაფიო პასუხს თავიანთ კითხვებზე ვერასოდეს მიიღებენ.

**სააკაშვილს არ შეუძლია დასავლეთს ღია წინააღმდეგობა გაუწიოს, მას „თავისუფალი ფრენისთვის“ საკმარისი რესურსი არ აქვს. ის არ არის თავზეხელაღებული, მამაცი ლათინოამერიკელი ან აფრიკელი პოლკოვნიკი, რომელმაც სასწორზე შეიძლება საკუთარი სიცოცხლე შეაგდოს.** გავრცელებული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ „სააკაშვილი ყველაფერზე წავა და სისხლსაც დაღვრის“, ერთ ფაქტორს არ ითვალისწინებს: თუ ფიგურანტს ეცოდინება, რომ არსებობს თუნდაც მცირე ალბათობა იმისა, რომ სხვისი სისხლის დაღვრას შეიძლება მისი სისხლის თუნდაც ერთი წვეთის დაღვრა მოჰყვეს, ის საბედისწერო ესკალაციას არ დაიწყებს. მარტივად რომ ვთქვათ, **სააკაშვილი სისხლისღვრაზე წასვლას ვერ გაბედავს.**

შეიძლება ერთობ კონსპიროლოგიურად გაიჟღეროს, თუმცა დღეს, გამალებული პოლიტიკური ბრძოლის იმიტაციის საფარქვეშ, ფაქტობრივად, ხელისუფლების ფარული, ეტაპობრივი გადაცემა მიმდინარეობს, რის შესახებ მმართველ ჯგუფში მხოლოდ ხუთიოდე ადამიანმა თუ იცის. დაბალი რანგის „ნაცებს“ ამ ინფორმაციას, ცხადია, არავინ გაუმხელს. თუმცა მალე აზრი იმის თაობაზე, რომ „სააკაშვილი დასრულდა და ივანიშვილი დაიწყო“ ხელისუფლების ქვედა ეშელონებში სულ უფრო ფართოდ გავრცელდება. ყველაზე სახალისო კი ახლო პერსპექტივაში იმ მოღვაწეების დაკვირვება გახდება, რომლებიც „სააკაშვილის ნავში“ ბოლომდე დარჩებიან.

**რა თქმა უნდა, სააკაშვილს აქვს იმედი, რომ მოხდება „რაღაც“ და ის ამ სცენარისგან თავის დაღწევას და ხელისუფლებაში დარჩენას შეძლებს, თუმცა, ამავე დროს, მისთვის ძალზე მნიშვნელოვანია ხელშეუხებლობის გარანტიები, რომელსაც ვერ მიიღებს, თუ დასავლელ პარტნიორებს დაუპირისპირდება.**

ამასთანავე, ის იძულებულია, ძალიან ფრთხილად იმოქმედოს საკუთარი გარემოცვის იმ წევრებთან ურთიერთობაში, რომლებმაც თამაშის წესები არ იციან და უკან დასახევი გზა მოჭრილი აქვთ.

ხელისუფლება, ერთი შეხედვით, გააფთრებით ებრძვის ივანიშვილს, თუმცა ამ (ერთობ ფსიქოპატური) აქტიურობის ოდნავ დაკვირვებული ანალიზი ცხადყოფს, რომ ის არ არის მიმართული ოპონენტის იმიჯის და პოლიტიკური ინფრასტრუქტურის კრიტიკული წერტილების წინააღმდეგ, არამედ მხოლოდ მეორეხარისხოვანი მიმართულებებით და, ამ მხრივ, სიტუაცია 2003 წლის წინასაარჩევნო პერიოდს ჰგავს.

**ახალი არაფერი ხდება, ხელისუფლების კონტროლირებად გადაცემას ადგილი 2003-შიც ჰქონდა და მას, ბონუსის სახით, საკმაოდ შთამბეჭდავი სპექტაკლი დაემატა, თუმცა ედუარდ შევარდნაძეს სუსტი ფსიქიკა არ ჰქონდა, საკუთარი ემოციების გაკონტროლება შეეძლო და ჩანაფიქრის განხორციელება ზედმეტი პრობლემების გარეშე მოახერხა.** სააკაშვილი კი სხვა ტიპის პიროვნებაა, მას ასეთი თამაშის წარმოება უჭირს და, შესაძლოა, აქედან მოდის ყოვლისმომცველი შინაგანი კონფლიქტი, რომელიც უცნაურ განცხადებებსა და ქმედებებში ვლინდება. **იქმნება მყარი შთაბეჭდილება, რომ მიხეილ სააკაშვილი საკუთარ თავზე კონტროლს ვეღარ ინარჩუნებს.**

„Houston, we’ve had a problem“, როგორ გესმით ჩვენი, ჰიუსტონ, გვიპასუხეთ... თუმცა ყურსასმენში ისევ „ბა-ბა-ბა-ბა“ ისმის, რომელიც საპასუხო „What the hell is going on?“-ს (რა ჯანდაბა ხდება მანდ?) ახშობს.

ცხადია, ყოველივე თქმული მხოლოდ სუბიექტური ვარაუდია, რომელიც პროცესების დაკვირვებას და საქმეში ასე თუ ისე ჩახედულ ადამიანებთან აზრთა არაფორმალურ გაცვლას ეფუძნება. **შეგვიძლია ისევ „პირველ ჩვენებას“ დავუბრუნდეთ და ჩავთვალოთ, რომ ბრძოლა სავსებით რეალურია და სააკაშვილი ყველა რესურსის მობილიზებით სკამის ჩაბღაუჭებას ლამობს. თუმცა, საბოლოო ჯამში, რა მნიშვნელობა აქვს, თუ რას ვერ უძლებს ის — რეალურ ბრძოლას თუ მოჩვენებითს; მთავარია, რომ სულ უფრო მეტი უცხოელი მისი განცხადებების შემდეგ საქართველოს აგდებით უყურებს და ხელებს ასავსავებს.**

არჩევნებამდე დარჩენილ პერიოდში შეიძლება კიდევ ბევრი სკანდალური, ძალიან უცნაური სცენა ვიხილოთ. მართალია, საქმე წითელი ღილაკის დაჭერამდე და ბირთვული რაკეტების გაშვებამდე, მათი უქონლობის გამო, არ მივა, მაგრამ ბევრი უსიამოვნო, აბსოლუტურად მოულოდნელი რამ მართლაც შეიძლება მოხდეს. ასე რომ, პრობლემა ნამდვილად გვაქვს ჩვენც, ვაშინგტონსაც, ჰიუსტონსაც, სააკაშვილის გარემოცვასაც და კიდევ ვინ მოთვლის, — ვის.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„როდესაც ჩემი შეხვედრა იყო დაგეგმილი 26 მაისის შემდეგ ბატონ ფულესთან, ევროკომისართან, სააკაშვილმა ეს გაიგო და სასწრაფოდ გამოფრინდა ბრიუსელში თავისი თვითმფრინავით, ჩამასწრო ფულესთან და ნახევარი საათით ადრე შეუვარდა კაბინეტში, ბურჯანაძე არ მიიღო, მე მიმიღეო. სასაცილოა ეს ყველაფერი. ფულეს დაუდეს 40-გვერდიანი ფაილი, არ მიიღო ბურჯანაძე იმიტომ, რომ ქვეყნის დაქცევას აპირებს და, თუ მიიღებ, ეს მის მხარდამჭერად გამოჩნდებაო.“

**ნინო ბურჯანაძე:**

# არ მინდა, რომ ქართული არჩევნების ბედი ამერიკაში წყდებოდეს...

**„სახალხო კრების“ აღმასრულებელი საბჭოს წევრები ბიძინა ივანიშვილს შეხვდნენ, მაგრამ გამოქვეყნდა შეხვედრის მხოლოდ ის ნაწილი, რომელშიც „ქართული ოცნების“ ლიდერი საუბრობდა. ერთობ უცნაურად გამოიყურებოდა თავად ფაქტიც, როდესაც ივანიშვილმა „სახალხო კრების“ წევრებს, ცნობილ ადამიანებს, რომელთაც საზოგადოება პატივს სცემს, განუცხადა, თქვენ დაგელაპარაკებით, ოღონდაც ნინო ბურჯანაძეზე უარი თქვითო.
ამას რომ პრესაში გაეჟონა, ბიძინა ივანიშვილს განცხადება უნდა გაეკეთებინა — ამას მე როგორ ვიკადრებდიო. ამის ნაცვლად კი თვითონ გამოაქვეყნეს ინფორმაცია.
ამ უცნაურ შეხვედრასა და სხვა აქტუალურ თემებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრა „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიან საქართველოს“ თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე.**



**«თუ ნული პროცენტი მაქვს რეიტინგი და პულსი არ მესინჯება, როგორც ამას ხელისუფლება და ზოგიერთი ოპოზიციონერი ამბობს, მაშინ რა საჭიროა ამდენი ლაპარაკი ბურჯანაძეზე?»**

**— ქალბატონო ნინო, როგორი განწყობა დაგეუფლათ, როდესაც გაიგეთ, რომ ბიძინა ივანიშვილი „სახალხო კრებასთან“ ურთიერთობას თქვენ გარეშე გეგმავს?**

— ამ შეხვედრაზე, რამდენადაც ვიცი, ასე პირდაპირ არ თქმულა. შეიძლება, ჩვენი აღმასრულებელი საბჭოს ღირსეული წევრები შეგნებულად არ ამბობენ. ისინი მოვიდნენ „ქართული ოცნებიდან“ და მხოლოდ პოზიტივზე ისაუბრეს. ეს ადამიანები მოტივირებული არიან, რომ საერთო საქმე გამოვიდეს და ამის გამო მათ ძალიან ბევრი რამის გვერდზე გადადება შეუძლიათ. უფრო ვფიქრობ, რომ მათი პირველივე სიტყვებიდან გამომდინარე, ბიძინა ივანიშვილმა ძალიან კარგად დაინახა, რომ ეს არ არიან ის ადამიანები, რომლებთანაც ის ხშირ შემთხვევაში მიჩვეულია ურთიერთობას.

**— თუმცა გავიხსენოთ პრესსპიკერ მაია ფანჯიკიძის ორშაბათის განცხადება. მან თქვა, ჩვენ გავნაგრძობთ ურთიერთობას „სახალხო კრებასთან“, ოღონდ ბურჯანაძის გარეშეო. მაშ, ეს რაღაა?**

— დიახ, ეს სრულიად გაუგებარია. სიმართლე გითხრათ, „სახალხო კრების“ შუა და დაბალ რგოლებში ინტენსიურად მუშაობენ ივანიშვილის წარმომადგენლები ადამიანების გადასაბირებლად. ამასთან დაკავშირებით საკმაოდ დელიკატურად გავაკეთე განცხადება და აღმოჩნდა, რომ ამ განცხადებამ ბიძინა ივანიშვილის წყენა გამოიწვია. თუ ის ხვდება, რომ ეს საწყენია, მაშინ აუკრძალოს თავის აქტივისტებს როგორც კრების, ასევე პარტიის რიგითი წევრების გადაბირება, ფულის შეთავაზება. განცხადება განა იმიტომ გავაკეთე, რომ მარტო დარჩენის გვეშინია, ჩვენმა წევრებმა ძალიან კარგად იციან, რომ სწორედ ის გზაა სწორი, რომელსაც „სახალხო კრება“ ადგას. ისევე, როგორ თავის დროზე შევატყობინე გაზეთის მეშვეობით ბიძინა ივანიშვილს, რომ სინამდვილეში მას სულაც არ ჰქონდა 44 რაიონში ორგანიზაციები და მერე, პირველი უარყოფის მიუხედავად, დადასტურდა, რომ მართალს ვამბობდი. შეგახსენებთ, რომ სულ ერთი კვირის წინ შეგვატყობინეს, პირველი ფილიალი გავხსენით და ახლა ვიწყებთ მუშაობასო. ესე იგი, როცა ამბობდნენ, რომ 44 ოფისი უკვე მუშაობსო, ეს ასე არ ყოფილა და მე ვიყავი მართალი. ამავე მოტივით შევეცადე, ბიძინა ივანიშვილისთვის მიმეწვდინა ხმა, რომ, **კი არ უნდა შეეცადო, უკვე არსებული რესურსი გადაიბირო, ახალი რესურსი უნდა მოიზიდო; ის ადამიანები, რომლებიც არიან ნეიტრალურები, ვინც შეშინებულნი სახლში სხედან, ვინც ჯერ არ მოქმედებენ, — ესაა ძალიან მნიშვნელოვანი.**

ბუნებრივია, ამ მეთოდებით ვერავინ გაბედავს ნონა გაფრინდაშვილთან, რეზო ესაძესთან, ელიზბარ ჯაველიძესთან, ლუკა კურტანიძესთან, სოსო ჯაჭვლიანთან, გია ბურჯანაძესთან და ირაკლი ბათიაშვილთან ლაპარაკს, მაგრამ მინიშნებები, რომ „სახალხო კრება“ კია კარგი, მაგრამ ბურჯანაძეა ცუდი, უარყოფითად მხოლოდ ამის მთქმელებს ახასიათებთ, იმიტომ, რომ ნებისმიერ ერთიან და მონოლითურ გუნდში, მით უმეტეს ისეთში, რომელზეც ამბობ, რომ ნამდვილად ებრძვის ხელისუფლებას, ამ ტიპის განხეთქილების შეტანა სწორედ ხელისუფლების წისქვილზე წყლის დასხმაა და მეტი არაფერი. მე ძალიან ვამაყობ, ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში ესაა პირველი მაგალითი, როდესაც შეიქმნა ერთიანი მონოლითი „სახალხო კრების“ სახით და გადაიტანა ამდენი ზეწოლა, ამდენი წნეხი, ცილისწამება, შავი პიარი, ფიზიკური ზეწოლა, მორალურს და ემოციურს რომ თავი დავანებოთ, და მაინც, ადამიანები ვერც გატეხეს, ვერც გადაიბირეს, ვერც მოისყიდეს, ვერც შეაშინეს. ეს მონოლითური ერთობა უფრო ძლიერდება ნებისმიერი ასეთი ქმედების დროს. ჩემთვის, უბრალოდ, გაუგებარია ერთი მარტივი რამ: **რატომ ებრძვიან ბურჯანაძეს და არა სააკაშვილს? მე მგონია, რომ დღეს ოპოზიციური ძალები უნდა ებრძოლონ სააკაშვილს. იმ ტონით საუბარი, რომლითაც ზოგიერთებმა უფლება მისცეს თავს, ბურჯანაძეზე ელაპარაკათ, სააკაშვილზე არ მომისმენია და ვფიქრობ, ხალხი ამ ტონით საუბარს სწორედ სააკაშვილზე ელის.**

**— მეტ რადიკალიზმსაც ელის... სიტყვა რადიკალიზმმა მოიტანა და, თუ არ ვცდები, თინა ხიდაშელი თქვენი სტუდენტი იყო.**

— დიახ, კობა დავითაშვილიც. ირაკლი ოქრუაშვილიც. ირაკლი ალასანიაც.

**— ისე, ერთიანად შემოვიდნენ ამ პოლიტიკურ მინდორზე და სტუდენტობაშიც ასეთები იყვნენ?**

— არა. ნამდვილად შემიძლია გითხრათ, რომ კარგი სტუდენტები იყვნენ, ძალიან მონდომებულები, მოტივირებულები. ნამდვილად საინტერესო იყო მათთან ლექციების წარმართვა იმიტომ, რომ ზოგადად ძალიან საინტერესო კურსი იყო. იქ იყვნენ გაცილებით უფრო წარმატებული ადამიანები, ვიდრე ესენი. არის მათი ყოფილი თანაკურსელი, რომელიც ლონდონის წამყვანი ბანკის ვიცე-პრეზიდენტია, ერთი კიდევ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საკმაოდ პრესტიჟულ თანამდებობაზეა და ა.შ., არიან წარმატებული ადვოკატები. აჩიკო კბილაშვილიც ჩემი სტუდენტია, სხვათა შორის. ასე რომ, როგორც სტუდენტები, ისინი საკმაოდ საინტერესო ადამიანები იყვნენ და იმედის მომცემნი. კარგ პროფესიონალებად ნამდვილად ჩამოყალიბდნენ, რაშიც, ვთვლი, ჩემი პოზიტიური წვლილიცაა. რაც შეეხება პიროვნულ თვისებებს, მე ნამდვილად ვერ შევძლებდი, სერიოზული ზეგავლენა მომეხდინა.

**— ყველა ადამიანი მოქმედებს ისე, როგორც მიზანშეწონილად მიიჩნევს. გასაოცარი სხვა რამ არის: როდესაც შენ არ გინდა აჭარაში მურმან დუმბაძე, როდესაც არ გინდა ნინო ბურჯანაძე და ჯიუტად აცხადებ, რომ ჩვენი რეიტინგი მაღალია და უფრო მაღალი იქნება ოქტომბრისთვისო, რეალურად ეს რეიტინგები სანდოა? ის ჯგუფი, რომელიც წინააღმდეგია დამატებითი ოპოზიციური ძალების შემოერთებისა, თავად ვერც ერთ არჩევნებში ბარიერს ვერ გადალახავს. ეს რა არის? პოლიტიკური პრაგმატიზმის სრული დაკარგვა, ვერმორევა რაღაც სუბიექტური დამოკიდებულებების თუ დავალებაა ასეთი? თუმცა სააკაშვილისა და ივანიშვილის პროგრამებშიც ძირეული განსხვავებები არ ჩანს.**

**— პროგრამაში კი არა, აქ უფრო ღრმა პრობლემაა — მოქმედების მანერასა და სტილშიც მსგავსებაა. გაკეთდა განცხადება, რომ დემოკრატია დამყარდება თურმე იმით, თუ ერთ ან ორ მინისტრს საჯაროდ დაიჭერენ. ჩვენ ეს უკვე გავლილი გვაქვს და ვიცით, ამ ტიპის დემოკრატიამ სადამდე მიგვიყვანა. მმართველი პარტიისგან ვხედავთ ხელისუფლების მონოპოლიზაციის მცდელობას და ახლა ვხედავთ, რომ არის ოპოზიციის მონოპოლიზაციის მცდელობაც, როდესაც აშკარად იკვეთება მესიანისტური ნიშნები, რომ შენ უნდა გადაწყვიტო, ერთმა პიროვნებამ, ვინ უნდა იყოს პოლიტიკაში და ვინ არა, ვინ უნდა გაიწიოს, ვინ — გაიკრიფოს, ვის აქვს სამშობლოს სიყვარულის უფლება და ვის არა. რეიტინგებს რაც შეეხება, ეს მართლაც ძალიან სასაცილოა.**

თუ ამ რეიტინგებს მივყვებით, ვთქვათ მაშინ, რომ სააკაშვილი უპირობო ლიდერი ყოფილა. ყველა გამოკითხვით, მათ შორის ბიძინა ივანიშვილის დავალებით გაკეთებული გამოკითხვების შედეგებითაც, მიხეილ სააკაშვილის ნდობის ხარისხია 67 თუ 72 პროცენტი და მაშინ ვაღიაროთ, რომ მიხეილ სააკაშვილის რეიტინგი ასეთი ყოფილა! ეს ხომ არავის სჯერა, თუმცა დიდი სიამოვნებით იჯერებენ იმას, რის ხალხისთვის ჩაგონებას, ამდენი ხანია, ცდილობს ხელისუფლება, რომ ბურჯანაძეს აქვს 0% რეიტინგი. თუ 0% მაქვს რეიტინგი და პულსი არ მესინჯება, როგორც ამას ხელისუფლება და ზოგიერთი ოპოზიციონერი ამბობს, მაშინ რა საჭიროა ამდენი ლაპარაკი ბურჯანაძეზე? რატომ მიდიან იმ ადამიანებთან, ვინც ბურჯანაძის პარტიაში ირიცხებიან? ეს პარტია თუ ურეიტინგოა და „სახალხო კრებას“ თუ მხარდამჭერები არ ჰყავს, მაშინ ეს ხალხი არც თქვენ გამოგადგებათ, ბატონებო, და რატომ არის ასეთი თავგადაკლული ნადირობა ამ ხალხზე, ვერ გავიგე!

ლოგიკურად ორი დასკვნის გამოტანა შეიძლება: ან არის ვალდებულება, რომ ბურჯანაძე არ უნდა იყოს, ან არის შიში ბურჯანაძის, როგორც ძლიერი პოლიტიკური ფიგურის, რომლის გვერდითაც ძალიან ბევრი ვერ ინავარდებს ისე, როგორ ახლა არიან განავარდებულები. არასდროს ვლაპარაკობ და არ ვიღებ გადაწყვეტილებას მოუმზადებლად ან თუ არ მაქვს მყარი საფუძველი. სხვა — ვერც ფული, ვერც შანტაჟი და მუქარა აზრს ვერ შემაცვლევინებს. რა თქმა უნდა, ამ თვალსაზრისით, ბურჯანაძესთან ურთიერთობა ძალიან ბევრი ადამიანისთვის შეიძლება იყოს არაკომფორტული.

**— რაღაც ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ნინო ბურჯანაძემ იურისპრუდენცია კი ასწავლა თავის სტუდენტებს, მაგრამ ხეზე ასვლა არ ასწავლა, პოლიტიკას ვგულისხმობ. ეს ეტყობა მათ ნაბიჯებს. იმდენად არაფრთხილი გამონათქვამე-** ►

**«შევეცადე, ბიძინა ივანიშვილისთვის მიმეწვდინა ხმა, რომ, კი არ უნდა შეეცადო, უკვე არსებული რესურსი გადაიბირო, ახალი რესურსი უნდა მოიზიდო»**

„ერთ-ერთი პოლიტიკოსი ივანიშვილის კოალიციიდან აცხადებს, რომ დღეს საქართველოს არჩევნების ბედი წყდება ამერიკის შეერთებულ შტატებში. რატომ? ჩვენ ამერიკის შტატი გავხდით და ვერ გავიგეთ? არ მინდა, მთლად კოლონია დავარქვა. და კიდევ: არ მინდა, რომ ქართული არჩევნების ბედი წყდებოდეს ან ამერიკაში, ან რუსეთში, მინდა, რომ საქართველოში წყდებოდეს და ყველაფერს გავაკეთებ, ასე რომ იყოს!“

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბია, გაუაზრებელი ხანდახან, დამატებით უამრავ შეკითხვას ბადებს.**

— მე ვასწავლე მათ საერთაშორისო სამართალი. ის, რომ ტყუილი არ უნდა თქვა და ტყუილს მოკლე ფეხები აქვს, მივიჩნიე, რომ მშობლებს უნდა ესწავლებინათ. ყველაზე ცუდი ის არის, რომ დღეს ჩემს წინააღმდეგ ოპოზიცია იყენებს იმავე მეთოდებს, რა მეთოდებსაც სააკაშვილი იყენებდა. შეიძლება, უფრო მცირე მოცულობით, რადგან ოპოზიციას არ აქვს ის შესაძლებლობები, რაც სააკაშვილს, მაგრამ პირველი დღიდან ჩემი ოპოზიციაში მოსვლისა, ოპოზიცია ებრძოდა ბურჯანაძეს და არა სააკაშვილს. არაერთხელ გამიკეთებია განცხადება, რომ გამოვაცხადოთ მორატორიუმი ერთმანეთის კრიტიკაზე მანამ, ვიდრე სააკაშვილის ხელისუფლებას არ მოვიშორებთ და, როდესაც მივაღწევთ თავისუფალ და დამოკრატიულ არჩევნებს, მოდით, მერე გავხსნათ ერთმანეთის წინააღმდეგ ცეცხლი, მერე შეგვიძლია ვაკრიტიკოთ ერთმანეთი, მაგრამ არა მანამ, ვიდრე სააკაშვილია ხელისუფლებაში.

**ადამიანურად იყო ჩემთვის საწყენი, პოლიტიკას რომ თავი დავანებოთ, ბიძინა ივანიშვილის მიერ ასეთი უსამართლო კრიტიკა ჩემ მიმართ, როდესაც მან სიტყვა-სიტყვით გაიმეორა ის ბრალდებები, რომლებიც დიდი პიარ-კამპანიის შედეგად ჩამოაყალიბეს, რომ ბურჯანაძე არის პრორუსული და მას ხელისუფლების მხოლოდ ქუჩიდან შეცვლა სურს.**

სააკაშვილმა ძალიან ბევრი ფული და ენერგია დახარჯა იმაში, რომ ეს კლიშეები დაემკვიდრებინა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ. ბიძინა ივანიშვილმა, წესით, ძალიან კარგად უნდა იცოდეს ჩემი გამონათქვამები, თუმცა, მე როგორც გავიგე, ის უფრო ახლოს მეგობრობდა ბოკერიასთან და მერაბიშვილთან. მე არ მინახავს, მაგრამ, რადგან პოლიტიკაში მოვიდა, ჩემი გამონათქვამები წაკითხული მაინც ხომ უნდა ჰქონდეს? დამისახელონ ერთი პრორუსული გამონათქვამი ან ერთი ანტიდასავლური. როგორც ჩანს, ისიც არ უნდათ, გაიხსენონ, რასაც „სახალხო კრება“ დაარსების დღიდან ამბობდა, რომ ხელისუფლება სწორედ არჩევნების გზით უნდა შეიცვალოს, მაგრამ თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნებით, რაც შეუძლებელია დღევანდელი ხელისუფლების ხელში. **ხელისუფლებას ჯერ უნდა გამოვგლიჯოთ არჩევნების მართვის ბერკეტი ხელიდან, ჩავატაროთ დემოკრატიული არჩევნები და მხოლოდ შემდეგ იქნება რეალური ხელისუფლების ცვლილება.**

იმისათვის, რომ დღეს შევძლოთ ვითარების გარდატეხა და ხელისუფლების დამარცხება არჩევნების გზით, საჭიროა შეიქმნას ერთიანი ეროვნული ოპოზიციური ფრონტი, დამოუკიდებლად იმისა, ვის მოსწონს რუსეთი, ამერიკა, ევროპა, ქართული ფასეულობები, რაც უზრუნველყოფს არჩევნებში სააკაშვილის დამარცხებას, შემდეგ 6 თვის განმავლობაში იმ ცვლილებების განხორციელებას, რაც დაკავშირებულია საარჩევნო გარემოს რეალურ ცვლილებასთან და უკვე 6 თვის შემდეგ კონკურენტულ გარემოში თითოეულ ჩვენგანს გვექნება საკუთარ იდეოლოგიაზე საუბრის შესაძლებლობა. მე ჩემს იდეოლოგიაზე ვილაპარაკებ, „ქართულმა ოცნებამ“ თავისი თქვას და შემდეგ თავად ხალხმა აირჩიოს ის ხელისუფლება, რომელსაც მართვის სადავეებს ჩააბარებს. სამი კვირის წინ გავაკეთე განცხადება და დღეს უკვე „სახალხო კრებამ“ ეს ოფიციალურ წინადადებად ჩამოაყალიბა სხვა პოლიტიკური ძალების მიმართ, რომ **ჩვენ მზად ვართ, პირადი ამბიციები გვერდზე გადავდოთ, რადგან ის თანამდებობასთანაა დაკავშირებული. ქვეყნის სიყვარულს კი ვერავინ ამიკრძალავს. ქვეყნისთვის სასიკეთო საქმე რომ ვაკეთო, ამას ვერავინ ამიკრძალავს, ამის უფლება საკუთარი თავისთვის სააკაშვილსაც კი არ მიუცია, რომელსაც დიქტატორს ვეძახით.** აქედან გამომდინარე, ეს იყო სრულიად უპრეცენდენტო წინადადება. ვნახოთ, რა პასუხი იქნება ამ წინადადებაზე. ესაა იმ ადამიანების წინადადება, რომლებსაც გული შესტკივათ ქვეყანაზე.

**— საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ ზაზა ხატიაშვილმა თავის ბოლო ინტერვიუში განაცხადა: ბრიუსელში მქონდა უამრავი შეხვედრა ევროპარლამენტარებთან და სხვადასხვა სტრუქტურის ხელმძღვანელებთან. იქ საერთოდ არ იციან, ვინაა ბიძინა ივანიშვილი, იქ იციან, ვინ არის ნინო ბურჯანაძე და მას აღიქვამენ რეალურ ოპოზიციადო.**

— ძალიან მადლობელი ვარ ზაზა ხატიაშვილის ამ სიტყვების გამო. ის ძალიან საინტერესო და მებრძოლი პიროვნებაა და ამას როდესაც ის ამბობს, ესე იგი, ამის თქმის რეალური საფუძველი აქვს. მე ძალიან კარგად ვიცი, როგორ მხვდებიან დასავლეთში, განსხვავებით ქართული პოლიტიკური ელიტისგან. თუ არ მიცნობენ, მეუბნებიან, რომ მათთვის პატივია ჩემთან ურთიერთობა და, თუ მიცნობენ, ასევე დიდ პატივისცემას მიდასტურებენ, მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილმა მილიონები დახარჯა, რათა ბურჯანაძის წინააღმდეგ შავი პიარი აეგორებინა. მისი ლაქიები, რომელთაგან ზოგი საელჩოში მუშაობს და ზოგიც აქედან ჩადის, ფაილებით ხელში დადიოდნენ, სადაც ტყუილები და სიბინძურეები ეწერა ბურჯანაძეზე. ერთი ძალიან საინტერესო მაგალითიც შემიძლია მოგიტანოთ. **როდესაც ბატონი გილაური ბრიუსელში ბრძანდებოდა, ერთ-ერთ ძალიან მნიშვნელოვან ერთსაათიან შეხვედრაზე პირველი 20 წუთი საუბრობდა, თუ როგორი საშინელი ადამიანია ბურჯანაძე, როგორ ვაპირებ ქვეყნის გადატრიალებას, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ ევროპარლამენტის ერთ-ერთი დეპუტატი ადგა და უთხრა: „თქვენ ჩვენ შეურაცხყოფას გვაყენებთ. თუ თქვენ მართლა თვლით, რომ ბურჯანაძეს აქვს 0% რეიტინგი, გაუგებარია, რატომ ხარჯავთ ამდენ დროს ასეთ მნიშვნელოვან შეხვედრაზე ბურჯანაძეზე სალაპარაკოდ. დღეს დავრწმუნდი, რომ ბურჯანაძე ნამდვილად არის თქვენთვის ძალიან საშიში კონკურენტი, რომ მას ნამდვილად მაღალი რეიტინგი აქვს, ალბათ, ისეთივე, როგორი მხარდაჭერა და პატივისცემაც მას ევროკავშირში აქვს და საქართველოში რომ ჩამოვალ, მას აუცილებლად შევხვდებიო“.**

ამ შეხვედრის შემდეგ ამ ქალბატონმა დამირეკა და მთხოვა, სამი კვირის შემდეგ დელეგაციის ვიზიტია საქართველოში და მინდა შეგხვდეთ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობთ, მე შორიდან გიცნობთ და ძალიან მინდა თქვენთან აზრის გაცვლა-გამოცვლაო. ასე რომ, ასეთი ფაქტები ჩემთვის უცხო არაა. მინგარელის კაბინეტთან რიგში რომ ჩადგა ლამის ჩვენი ერთი მინისტრი, იცოდა, რომ ჩემი შეხვედრა იყო დაგეგმილი და ეჩვენა, ბურჯანაძე არ მიიღოთო. ეს იწვევს უკურეაქციებს, ეს ადამიანები ეუბნებიან, რომ ეს არ არის თქვენი გადასაწყვეტი, ჩვენ ვის შევხვდებით და ვის არაო. ალარაფერს ვამბობ იმაზე, რომ, **როდესაც ჩემი შეხვედრა იყო დაგეგმილი 26 მაისის შემდეგ ბატონ ფულესთან, ევროკომისართან, სააკაშვილმა ეს გაიგო და სასწრაფოდ გამოფრინდა ბრიუსელში თავისი თვითმფრინავით, ჩამასწრო ფულესთან და ნახევარი საათით ადრე შეუვარდა კაბინეტში, ბურჯანაძე არ მიიღო, მე მიმიღეო. სასაცილოა ეს ყველაფერი. ფულეს დაუდეს 40-გვერდიანი ფაილი, არ მიიღო ბურჯანაძე იმიტომ, რომ ქვეყნის დაქცევას აპირებს და, თუ მიიღებ, ეს მის მხარდაჭერად გამოჩნდებაო.**

**— პრორუსულობაზე ლაპარაკმა უკვე ლამის ანეკდოტური ხასიათი მიიღო. დღეს უკვე მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებზე ჩამოკიდება, როდესაც შენს გვერდით ამხელა მეზობელია და რომლის რეიტინგი და მსოფლიოში გავლენა მხოლოდ იზრდება და არ კლებულობს, ეს სააკაშვილის ტერმინოლოგიით რომ ვისარგებლოთ, წასულ მატარებელზე შეხტომის სურვილს ჰგავს.**

— ერთ-ერთი პოლიტიკოსი ივანიშვილის კოალიციიდან აცხადებს, რომ დღეს საქართველოს არჩევნების ბედი წყდება ამერიკის შეერთებულ შტატებში. რატომ? ჩვენ ამერიკის შტატი გავხდით და ვერ გავიგეთ? არ მინდა, მთლად კოლონია დავარქვა. მე კიდევ **არ მინდა, რომ ქართული არჩევნების ბედი წყდებოდეს ამერიკაში ან რუსეთში, მინდა, რომ საქართველოში წყდებოდეს და ყველაფერს გავაკეთებ, ასე რომ იყოს! ჩემთვის მიუღებელია რუსეთიდან დასმული კაცი საქართველოს მმართველად. პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ ასევე მიუღებელია ამერიკიდან ან ნებისმიერი სხვა სახელმწიფოდან დასმული ლიდერი. ჩემი ქვეყნის ლიდერი უნდა იყოს ქართველების მიერ არჩეული, თუნდაც ჩვენ ვცდებოდეთ ლიდერების არჩევაში. როგორც ჩანს, ეს მწარე გამოცდილებაც გასავლელი გვაქვს.**

— დღეს გამოვიდა ინფორმაცია კოალიცია „ქართული ოცნებიდან“, რომ ისინი ქირაობენ სერიოზულ ამერიკულ პიარკომპანიებს. ეს უკვე შემთხვევითი არაა და კარგად ჩამოყალიბებულ ტაქტიკას ჰგავს. ისეთი პირი უჩანს, რომ ისინი მართლაც ცდილობენ, შტატებში მოიგონ არჩევნები.

**— ქვეყანა არის უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში და გადარჩენა სჭირდება. ნამდვილად არ მინდა, ოქტომბერში იმ მდგომარეობაში აღმოვჩნდეთ, რომ შემოვტრიალდე და გნებავთ, თქვენი გაზეთის, გნებავთ, სხვა გაზეთის, საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით ნიშნი მოვუგო საკუთარ ხალხს და ვუთხრა, ხომ გეუბნებოდით, მე ვიყავი სწორი და ყველა დანარჩენი ცდებოდით. ეს რომ არ მოხდეს, აუცილებელია ერთიანი ეროვნული ფრონტი, წინააღმდეგ შემთხვევაში „ქართული ოცნება“ გავა საპატიო მეორე ადგილზე.**

როცა მე ამას ვამბობდი ბატონ ალასანიასთან დაკავშირებით ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს, მაშინ ლამის ჩამქოლეს, რომ არა ბურჯანაძე, ამ არჩევნებს მოვიგებდითო. რას გვაძლევდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მოგება, ეს ცალკე თემაა, მაგრამ ფაქტი ფაქტად დარჩა.

ესაუბრა
**ნანა დევდარიანი**



# აუცილებელია ერთიანი ეროვნული ფრონტი, წინააღმდეგ შემთხვევაში «ქართული ოცნება» გავა საპატიო მეორე ადგილზე

**«ქვეყნისთვის სასიკეთო საქმე რომ ვაკეთო, ამას ვერავინ ამიკრძალავს, ამის უფლება საკუთარი თავისთვის სააკაშვილსაც კი არ მიუცია, რომელსაც დიქტატორს ვეძახით»**

## სარკოზი და ოლანდი ნათესავები არიან

**გენეალოგიის ფრანგმა სპეციალისტმა ჟან-ლუი ბოკარნომ პოლიტიკოსთა გენეალოგიური ხის შესწავლისას ქვეყნის პრეზიდენტობის ორ მთავარ კანდიდატს — ნიკოლა სარკოზისა და ფრანსუა ოლანდს საერთო წინაპარი აღმოუჩინა.** სარკოზისა და ოლანდის საერთო წინაპარი გლეხი, სახელად კლოდ ლაბული-ბურტი მე-17 საუკუნეში საფრანგეთის ალპებში ცხოვრობდა. გლეხს ორი ვაჟი ჰყავდა: კლოდი, რომლის შთამომავალიც სარკოზია და პიერი — ოლანდის წინაპარი. ამრიგად, შეურიგებელი მეტოქეები გარე ბიძაშვილები გამოდიან. სწავლულმა მსგავსი კავშირი აღმოაჩინა პოლიტიკოსთა მეუღლეებს შორისაც — კარლა ბრუნისა და ვალერია ტრიერვეილის საერთო წინაპარი ანტუან ბარატინი იყო.

## სირიაში მსხვერპლს ორი გაუნათლებელი ითვლის

**სირიაში 2011 წლის მარტიდან მიმდინარე დაპირისპირების შედეგად მსხვერპლის რაოდენობამ 8,5 ათას ადამიანს მიაღწია. ინფორმაციას ამის შესახებ ლონდონში მდებარე უფლებების დამცველი ორგანიზაცია „ადამიანის უფლებების დაცვის სირიული მონიტორინგის ცენტრი“ ავრცელებს.** ორი კვირის წინ ეს ორგანიზაცია აცხადებდა, რომ დაღუპულთა რაოდენობა 7,6 ათასი იყო. მიუხედავად იმისა, რომ დასავლური მედია აქტიურად ეყრდნობა და იყენებს ამ ორგანიზაციის მონაცემებს, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენელი ალექსანდრე ლუკაშევიჩი ამ ორგანიზაციის კომპეტენციის დონეს ეჭვქვეშ აყენებს. სამინისტროს ინფორმაციით, ამ ორგანიზაციაში მხოლოდ ორი ადამიანი მუშაობს — ხელმძღვანელი და მდივან-მთარგმნელი. ამავე დროს, ხელმძღვანელ რამი აბდურახმანს სრული საშუალო განათლებაც კი არ გააჩნია.

## კირიბატი იძირება

**წყნარი ოკეანის კუნძულებზე მდებარე კირიბატის სახელმწიფოს მოსახლეობა ფიჯიზე გადასახლდება.** კირიბატის კუნძულები წყალში იძირება და 100 000 მოსახლის გადასახლება გარდაუვალია. კირიბატის პრეზიდენტი ანოტე ტონგი ფიჯის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებას აწარმოებს მიწის ან კუნძულის შეძენასთან დაკავშირებით, რათა სახელმწიფო კირიბატმა გეოგრაფიული მდებარეობა შეიცვალოს და ოკეანემ მოსახლეობას საფრთხე არ შეუქმნას.

ნაც-რეალობა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ნავთობპროდუქტების ბაზარზე რამდენიმე კომპანიის განუკითხავი დომინირება ქვეყნის ეკონომიკას აზარალებს. სოფლის მეურნეობა ძირითადად დიზელზე მუშაობს. მისი ძირითადი შემომტანი „სოკარია“. საქართველოში დიზელი რატომღაც ბენზინზე ძვირია, რაც ყოვლადგაუმართლებელია, რადგან მისი წარმოება ბენზინზე იაფი ჯდება, დაბეგვრაც ნაკლებია. ხელისუფლებას ნამდვილად რომ უნდოდეს საქმის გამოსწორება, მერწმუნეთ, მონოპოლია არც ერთ სფეროში არ იარსებებდა.**

# განუკითხაობა ნავთობპროდუქტების ბაზარზე

**საქართველოს მოსახლეობა თვეში მოიხმარს დაახლოებით 60 მილიონ ლიტრ საწვავს, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველთვიურად 24 მილიონი ლარით გვძარცვავენ!**

**ნავთობპროდუქტების ქართული ბაზარი მსოფლიო ტენდენციებიდან აშკარად ამოვარდნილია. სიტუაცია, რბილად რომ ვთქვათ, პარადოქსულია: იმპორტის გაიაფება საცალო ბაზარზე პროდუქციის გაიაფებას არ განსაზღვრავს. მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასმა ისტორიულ მაქსიმუმს 2008 წლის აგვისტოში მიაღწია: ერთი ბარელი ნავთობის ფასი 147-150 დოლარს გაუტოლდა. შემდეგ ფასმა კლება დაიწყო და ამჟამად ბირჟებზე 100-110 დოლარის ფარგლებში მერყეობს.**

საპირისპირო პროცესების მოწმენი გავხდით ქართულ ბაზარზეც: 2008 წლის მაის-აგვისტოში იმპორტირებული 1 ბარელი ნავთობის ფასი 176-დან 160 დოლარამდე (9%-ით) შემცირდა, ხოლო საცალო ქსელში 1 ბარელი პრემიუმის ფასი 207-დან 236 დოლარამდე (14%-ით) გაიზარდა. 2008 წლის აგვისტო-ოქტომბერში 1 ბარელი იმპორტირებული ნავთობის ფასი ადგილობრივ ბაზარზე 56%-ით შემცირდა, ხოლო 1 ბარელი პრემიუმის ფასი საცალო ქსელში – მხოლოდ 9,5%-ით; რეგულარის ფასი კი საერთოდ არ შეცვლილა. 2009 წლის ივნის-ივლისში იმპორტირებული 1 ბარელი ნავთობის ფასი 16%-ით შემცირდა, მაგრამ საცალო ქსელში 1 ბარელი პრემიუმის ფასი 14%-ით გაიზარდა.

ფასთა ზრდა ქართულ ბაზარზე 2010 წელსაც გაგრძელდა და ისტორიულ მაქსიმუმს შარშან მიაღწია. უკეთესობას ვერც მიმდინარე წელს ველირსეთ.

რა დგას ამ პარადოქსის მიღმა?

## „მემწვანილის სინდრომი“ – ნავთობპროდუქტების ბაზარზე

ნავთობპროდუქტების ქართულ ბაზარზე დაახლოებით 50-მდე კომპანია მოქმედებს, მაგრამ სიტუაციას, ძირითადად, ხუთი აკონტროლებს: „ვისოლი“, „სოკარი“, „ლუკოილი“, „რომპეტროლი“ და „ეკოჯორჯია“. 2011 წლისთვის საქართველოს სადილერო ბაზარზე ნავთობის 72%-ს, ხოლო დიზელის 61%-ს აზერბაიჯანის სახელმწიფო კომპანია „სოკარ პეტროლიუმ ჯორჯია“ ფლობდა. სადისტრიბუციო ბაზარზე კომპანია „ვისოლი“ ლიდერობს. ბაზრის მონოპოლიზაცია შეუიარაღებელი თვალითაც აშკარაა. საკითხავი მხოლოდ ისღა რჩება, აქვს თუ არა ადგილი კარტელურ გარიგებებს. თუკი ფაქტობრივი სიტუაციით ვიმსჯელებთ, ნამდვილად აქვს. **ნავთობპროდუქტების ბაზრის აგენტები შუბლზე ძარღვგაწყვეტილი მემწვანილეებივით იქცევიან – ფასს სინქრონულად აწესებენ.** კანონი კი ცვედანის როლშია: 2005 წელს კანონმა „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ ადრე მიღებული კანონი „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ ძალადაკარგულად გამოაცხადა. შედეგიც შესაბამისი მივიღეთ: მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას მწვანე შუქი აენთო.

**მერაბ ჯანიაშვილი, „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის“ გამგეობის წევრი:**

– სისხლის სამართლის კოდექსში შემორჩა მუხლები, რომლებიც კარტელური გარიგებებისათვის დასჯას ითვალისწინებს. ამ მუხლების გამოყენების უფლება აქვს მხოლოდ ფინანსურ პოლიციას. 2005 წლიდან მოყოლებული არც ერთი ასეთი საქმე არ განხილულა. ოთხი-ხუთი კომპანია ფლობს ბაზრის თითქმის 90%-ს და ფასებს საკუთარი სურვილის მიხედვით აწესებს. შეიკრიბებოდნენ, იმსჯელებდნენ, მერე აკეთებდნენ განცხადებას: „ჩვენ გადავწყვიტეთ, გავაძვიროთ ბენზინი ხუთი თეთრით!“. ბენზინის ბაზარზე: ერთი კვირის მანძილზე ბენზინი ორჯერ ძვირდება. წესით, ცვლილება ორთვიან ინტერვალში უნდა მოხდეს – ამის მარაგები ნამდვილად გააჩნიათ. ქსელში ნებისმიერი ხარისხისა და წარმომავლობის საწვავის ერთსა და იმავე ფასში რეალიზაციაც კარტელური გარიგებების არსებობაზე მიუთითებს. გნებავთ, „ჯენტლმენური შეთანხმება“ დაარქვით, სახელს რა მნიშვნელობა აქვს?! ნორმალურ ქვეყნებში ფასს ბაზარი არეგულირებს. ჩვენთან საბაზრო ეკონომიკის პრინციპებიც და კონკურენციაც მკვდარია.




## ორ პრეზიდენტს შორის საუბრის ნაწილი საწვავის მაფიას და «შავი ოქროთი» საკუთარი ჯიბეების გასქელებას ეხებოდა

ნავთობპროდუქტების ბაზარზე რამდენიმე კომპანიის განუკითხავი დომინირება ქვეყნის ეკონომიკას აზარალებს. სოფლის მეურნეობა ძირითადად დიზელზე მუშაობს. მისი ძირითადი შემომტანი „სოკარია“. საქართველოში დიზელი რატომღაც ბენზინზე ძვირია, რაც ყოვლად გაუმართლებელია, რადგან მისი წარმოება ბენზინზე იაფი ჯდება; დაბეგვრაც ნაკლებია. **ხელისუფლებას ნამდვილად რომ უნდოდეს საქმის გამოსწორება, მერწმუნეთ, მონოპოლია არც ერთ სფეროში არ იარსებებდა.**

## ძარცვის ტექნოლოგია

**ბექა კემულარია, „სოლიდარობა ეროვნული ინტერესებისათვის“ ხელმძღვანელი:**

— **მკაცრად გასაიდუმლოებულია, რა ფასად ყიდის საწვავს აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია „სოკარი“, მის მიერ საქართველოში დაფუძნებულ კომპანია „სოკარზე“;** ნებისმიერ შემთხვევაში, — მსოფლიო ფასებზე უფრო იაფად. აზერბაიჯანული ბენზინი ევროსტანდარტებს არ აკმაყოფილებს; იგი დაშვებულზე 50-ჯერ უფრო მეტად აბინძურებს გარემოს. საწვავის უსამართლოდ მაღალი ფასები შეგვიძლია ელემენტარული კალკულაციით დაგიდასტუროთ: შესასყიდი ფასი დღეის მდგომარეობით შეადგენს 930 დოლარს (1534 ლარი); ამას დავუმატოთ ტრანსპორტირების ღირებულება (40 ლარი), აქციზის გადასახადი (250 ლარი); ხარჯი, რომელიც, მსოფლიოში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, არ აღემატება თვითღირებულების 10%-ს (157 ლარი) და მოგება (თვითღირებულების 5% – 78 ლარი). გავითვალისწინოთ, აგრეთვე, დღგ, ანუ ზემოთ ჩამოთვლილი თანხების ჯამის 18% (370 ლარი). ჯამში ვღებულობთ ერთი ტონა ბენზინის სარეალიზაციო ფასს – 2431 ლარს. 1 ტონა (1000 კგ) შეადგენს 1350 ლიტრ ბენზინს. სარეალიზაციო ფასის დასადგენად 2431 ლარი გავყოთ 1350 ლიტრზე, რაც უდრის 1,80 ლარს. რეალურად, ბენზინს 2,20 ლარად ყიდიან. მოსახლეობას თითოეულ ლიტრზე ჯიბიდან აცლიან 40 თეთრს, რაც თვეში შეადგენს ათეულ მილიონობით ლარს. **საქართველოს მოსახლეობა თვეში მოიხმარს დაახლოებით 60 მილიონ ლიტრ საწვავს, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველთვიურად 24 მილიონი ლარით გვძარცვავენ!**

ნავთობპროდუქტების ბაზრის ხელში ჩასაგდებ თამაშებში საქართველოს ხელისუფლებაც მონაწილეობს. აზერბაიჯანში საწვავის რეალიზატორია „სოკარის“ შვილობილი კომპანია „აზპეტროლი“. საქართველოში კი საწვავის ბაზრის 80%-ს თავად „სოკარი“ დაეპატრონა, რასაც უშუალოდ მიხეილ სააკაშვილმა შეუწყო ხელი. 2004 წლის მარტში აზერბაიჯანში შედგა პრეზიდენტების შეხვედრა დახურულ კარს მიღმა. ორ წელიწადში აზერბაიჯანიდან საწვავის იმპორტის ექსკლუზიური უფლება გადაეცა „სოკარ ენერჯი ჯორჯიას“, რომლის 51%-იანი წილის მფლობელია „აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანია“. რაც შეეხება დანარჩენ ნაწილს, იმ მომენტში 24,5% ეკუთვნოდა ყოფილ ეკონომიკის მინისტრ ვანო ჩხარტიშვილს, ხოლო 4,5% – კომპანია „პერტო ტრანსს“. ეს ბადებს სერიოზულ ეჭვს, რომ **ორ პრეზიდენტს შორის საუბრის ნაწილი საწვავის მაფიას და „შავი ოქროთი“ საკუთარი ჯიბეების გასქელებას ეხებოდა.**

**საგულისხმო ინფორმაცია:**

უკვე მიმდინარეობს მუშაობა ახალ ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობაზე. იმედი ვიქონიოთ, რომ მოვლენები კონსტრუქციული მიმართულებით განვითარდება და დემოკრატიულ სტანდარტებთან მისადაგებული საკანონმდებლო ნორმები „შავი ოქროს კერპის“ გარშემო მავანთა როკვას წერტილს დაუსვამს.

**მედეა გოგსაძე**

## «სუპერიარაღი» ირანის წინააღმდეგ

**ირანთან სამხედრო დაპირისპირების შემთხვევაში, აშშ-მა, შესაძლოა, ახალი „სუპერიარაღი“ გამოიყენოს. როგორც აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების გენერლის, გერბერტ კარლაილის დასკვნაშია აღნიშნული, ეს იარაღი გახდება ძლიერი ბომბი, რომელიც 13600 კილოგრამს იწონის და შეუძლია გახვრიტოს ბუნკერი, რომლის ბეტონის სისქეც 65 მეტრამდეა.** კარლაილი აცხადებს, რომ იარაღი, რომელსაც ასეთი მაღალი შეღწევადობის უნარი აქვს, აშშ-ის სამხედრო-საჰაერო არსენალში 2011 წელს გამოჩნდა და სპეციალურად იმ ქვეყნებზე დარტყმისთვის შეიქმნა, რომლებიც თავიანთ ბირთვულ ობიექტებს მიწის ქვეშ ღრმად მალავენ. „ბომბი მაღალი შეღწევადობით — ეს არის სუპერიარაღი. ჩვენ ვაგრძელებთ მის სრულყოფას. თუ საჭირო გახდება, ჩვენ მას აუცილებლად გამოვიყენებთ“, — აღნიშნა კარლაილმა.

## ნიკოლა სარკოზი წავა

**საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი აცხადებს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხების შემთხვევაში პოლიტიკიდან წავა.** ბოლოს ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები მოწმობს, რომ სარკოზის მოწინააღმდეგეს სოციალისტ ფრანსუა ოლანდს ამომრჩეველთა უფრო მეტი რაოდენობა უჭერს მხარს, ვიდრე მას და, არჩევნები ახლა რომ ტარდებოდეს, სარკოზი მას პირველივე ტურში წააგებდა ოლანდთან რამდენიმეპროცენტიანი სხვაობით.

**მაქვს ინფორმაცია, თუ რა ხრიკებისა და მაქინაციების დაგეგმვას აპირებს ხელისუფლება, ამიტომაც მინდა მივმართო სამეგრელოს მოსახლეობას: გაფრთხილდით! არ აღმოჩნდეთ ბრიყვის როლში, რადგან უკვე აპირებენ, განთესონ თავიანთი აგენტურა ქართულ ოპოზიციურ სპექტრში, მაგრამ ეს არამც და არამც არ უნდა დავაშვებინოთ.**

რეგიონი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

კახა მიქაია:

# როლანდ ახალაია ისევ რჩება მთავარ ფიგურად სამეგრელოში...

# შიშის დაძლევის გარეშე სააკაშვილის დამარცხება გამორიცხულია

**ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება საზოგადოებრივი მოძრაობის „დაიცავი საქართველო“ და არასამთავრობო ორგანიზაციის „ამომრჩეველთა ლიგა“ წარმომადგენელი კახა მიქაია.**



**— ბატონო კახა, როგორია თქვენი დამოკიდებულება ბიძინა ივანიშვილისა და მისი კოალიციის „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“ მიმართ?**

— გარკვეულწილად ვიზიარებ ივანიშვილისა და კოალიციის გზას იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენ უნდა ვიყოთ ზომიერად აქტიური, მაგრამ მე მაქვს კითხვა: სანამდე? ზომიერი აქტიურობა არ არის ის გზა, რომლითაც სააკაშვილი წავა ხელისუფლებიდან. მე ვთვლი, რომ მთავარ პოლიტიკურ ძალას, რომელიც ყალიბდება ივანიშვილის კოალიციის სახით, უნდა მიეცეს საშუალება, ბოლომდე ჩამოყალიბდეს და ბოლომდე გაერკვეს, თუ ვინ არის სააკაშვილი.

**— თქვენ თვლით, რომ ისინი ბოლომდე არ არიან გარკვეულნი?**

— ვფიქრობ, რომ ჯერჯერობით არ არიან გარკვეულნი. მე ნიშნის მოგებით არ ვლაპარაკობ. მე დღესაც ვთვლი, რომ ივანიშვილი და მისი კოალიცია არის მთავარი ალტერნატივა სააკაშვილისა. მე დიდი იმედი მაქვს, რომ არჩევნების მოახლოებასთან ერთად „ქართული ოცნებაც“ და მთელი ოპოზიციური სპექტრიც გადავა მოქმედების აქტიურ ფაზაში და ეს აქტიურობა მიგვიყვანს იქამდე, რომ ჩვენ არჩევნებს მოვიგებთ არჩევნებამდე.

**— შესაძლებელია თუ არა, რომ თქვენ აღმოჩნდეთ ამ კოალიციაში?**

— არა აქვს მნიშვნელობა, მე რომელ პარტიაში ან რომელ კოალიციაში ვიქნები, მე ვარ მთელ საქართველოსთან. პარტიულობაზე თუ ვიმსჯელებთ, მე არ ვყოფილვარ ზვიად გამსახურდიას კოალიციაში, მე არ ვყოფილვარ „მრგვალი მაგიდის“ წევრი, მაგრამ ყველამ იცის ჩემი დამოკიდებულება ბატონ ზვიადისადმი და უზენაესი საბჭოსადმი, ამიტომაც **ჩემთვის და ჩემი მეგობრებისათვის არ არის პარტიულობა განმსაზღვრელი: სადაც იქნება ფრონტის ხაზი, იქ ვიქნებით.** ახლა მთავარია, თუ რა მდგომარეობაშია ოპოზიცია, და ვინც სვამს კითხვას, სააკაშვილი წავა თუ არა ხელისუფლებიდან, ის პოლიტიკაში საერთოდ არ უნდა იყოს. სააკაშვილმა პირდაპირ განაცხადა, რომ ის არსად წავა. ამასთან, არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ის უფრო მეტად აგრესიული და საშიში გახდება, ამიტომაც ამ საშიშ ხელისუფლებას საზოგადოება აქტიურობით უნდა დაუპირისპირდეს და უშიშარი უნდა გახდეს. შიშის დაძლევის გარეშე სააკაშვილის დამარცხება გამორიცხულია. თუ არჩევნებამდე ბიძინა ივანიშვილმა და მისმა კოალიციამ საზოგადოებაში არ შექმნეს იმის განცდა, რომ შიში გატეხილია და შეგვიძლია სააკაშვილის დამარცხება, მარტო არჩევნების დღეს საარჩევნო ყუთებთან მისვლით არაფერი გამოვა.

**— ბატონო კახა, რამდენადაც ცნობილია, თქვენ ახლადშექმნილი „ამომრჩეველთა ლიგის“ წევრიც გახდით...**

— დიახ. მინდა გითხრათ, რომ ეს ლიგა ემსახურება ამომრჩეველთა გააქტიურებას. ამ ლიგაში გაწევრიანება შეუძლია ყველა ადამიანს, ყველა ამომრჩეველს. მთავარია, ამომრჩევლებისგან წამოვიდეს ინიციატივა. ხელისუფლებამ უნდა დაინახოს, რომ ის, არჩევნების გაყალბების შემთხვევაში, პასუხს აგებს, ამიტომაც მოვუწოდებთ ყველას, რომ გაერთიანდნენ ამ ორგანიზაციაში. ამ მიზნით ამომრჩეველთა ლიგის ორგანიზაციები ჩამოყალიბდება ყველა რეგიონში, ყველა ქალაქში. ამომრჩეველმა უნდა დაიცვას საკუთარი არჩევანი, მთავარი მესიჯი უნდა გავუგზავნოთ ხელისუფალთ, რომ ჩვენი არჩევანის გაყალბებას არ ვაპატიებთ.

**— ბატონო კახა, ახლა რაც შეეხება ჩვენი რეგიონის პრობლემებს: გავრცელებული ვერსიით, მას შემდეგ, რაც სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი გახდა გურამ მისაბიშვილი, საოლქო პროკურორ როლანდ ახალაიას პოზიციები შეირყა. თქვენც ასე ფიქრობთ?**

— რა თქმა უნდა, არა. ხელისუფლების ვერტიკალს მიხეილ სააკაშვილი ინარჩუნებს. აქ ბევრი რამ არ არის დამოკიდებული არც მისაბიშვილზე, არც გოროზიაზე და არც ახალაიაზე. რაც შეეხება მათ დამოკიდებულებას, რომ მისაბიშვილმა დაასუსტა ახალაიაო, არ არის მართალი. გურამ მისაბიშვილი, შევარდნაძის ცნობილი კადრი, ქურდებისა და ნარკომანების მეგობარი, სენაკში ძალზე კორუმპირებული პიროვნებაა. ის სენაკში შარტავას ძეგლის წინ „ნაცმოძრაობის“ მიტინგებს არბევდა, მერე შევარდნაძის სადღეგრძელოებს სვამდა და მიხეილ სააკაშვილს აგინებდა. ეს კაცი როგორ იქნება როლანდ ახალაიასათვის საშიში? სააკაშვილის ხელისუფლება სულ რამდენიმე პიროვნებაზე დგას, ესენი არიან: მერაბიშვილი, ადეიშვილი, ბოკერია და ახალაიები. ახალაიები შედიან ხელისუფლების კოჰორტაში. ორ კორუმპირებულ კლანს — გოროზიასა და ახალაიას შორის დაპირისპირება დამთავრდა იმით, რომ ახალაიებმა გაიმარჯვეს. პირდაპირ უთხრა როლანდ ახალაიამ მიხეილ სააკაშვილს: ან — მე, ან — გოროზიაო. სააკაშვილმა დააკმაყოფილა ახალაიას მოთხოვნა, ამიტომ მე მეღიმება იმაზე, რომ მისაბიშვილი ახალაიას უპირისპირდებაო. როლანდ ახალაიას მიხეილ სააკაშვილმა დაავალა, რომ სრულად გააკონტროლოს არჩევნების პროცესი სამეგრელოში, რათა სამეგრელო გახდეს მაგალითი მთელი საქართველოსთვის, თუ როგორ შეუძლია ხელისუფლებას დაამარცხოს და გაანადგუროს ოპოზიცია.

**— ბატონო კახა, ხალხი იმასაც ამბობს, რომ მისაბიშვილი ახალაიას კადრებს თავისი კადრებით ცვლის და არჩევნების წინ სავსებით შესაძლებელია, პრეზიდენტმა ახალაია სამეგრელოს მოაშოროსო. როგორ ფიქრობთ, რამ გამოიწვია მსგავსი მითქმა-მოთქმა?**

— როლანდ ახალაია ოდიოზური ფიგურაა. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მსგავსი ეჭვის გაჩენა თვით როლანდ ახალაიას აძლევს ხელს. ახალაიებმა ამჟამად გვერდზე გაწიეს ვანო მერაბიშვილი და თავად არიან წინა პლანზე. ახლა ახალაიები აგროვებენ ე. წ. ნებაყოფლობით რეზერვს. ეს არის პოლიტიკური თამაში. ასე რომ, როლანდ ახალაია ისევ რჩება მთავარ ფიგურად სამეგრელოში. ეს ჭორი იმიტომ სჭირდებათ, რომ ხალხის ყურადღება სხვა რამეზე გადაიტანონ და არჩევნები განზე დარჩეს. მოსახლეობისათვის რა მნიშვნელობა აქვს, მისაბიშვილი მოუგებს ახლაიას თუ პირიქით?!

**— ბატონო კახა, თქვენი აზრით, რა ხრიკებისა და მაქინაციების მოწყობას აპირებს ხელისუფლება საარჩევნოდ?**

— მე მართლაც მაქვს ინფორმაცია, თუ რა ხრიკებისა და მაქინაციების დაგეგმვას აპირებს ხელისუფლება, ამიტომაც მინდა მივმართო სამეგრელოს მოსახლეობას: გაფრთხილდით! არ აღმოჩნდეთ ბრიყვის როლში, რადგან უკვე აპირებენ, განთესონ თავიანთი აგენტურა ქართულ ოპოზიციურ სპექტრში, მაგრამ ეს არამც და არამც არ უნდა დავაშვებინოთ. ამიტომაც მივმართავ ყველა პოლიტიკური პარტიისა თუ მოძრაობის ლიდერებს: შეხედეთ, ვინ არის თქვენ გვერდით, გაარკვიეთ, ვინ მოვა არჩევნების წინ თქვენთან და კარგად დაფიქრდით, ვისთან გაქვთ საქმე. საქმე კი გვაქვს დიდ ბოროტებასთან და ჩვენ უნდა მოვუგოთ მას, ქვეყანა რომ გადავარჩინოთ.

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდი**

# «სახალხო კრების» აღმასრულებელი საბჭოს განცხადება

**ვაცნობიერებთ რა, რომ ქვეყანაში ყოველდღიურად ძლიერდება ავტოკრატული რეჟიმი, რაც შეუძლებელს ხდის რეალურად თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას, „სახალხო კრება“ ერთმნიშვნელოვნად აცხადებს, რომ ხელისუფლება არ შეცვლის საარჩევნო გარემოს, ვინაიდან სწორედ თავისუფალი და დემოკრატიული საარჩევნო გარემოა უპირველესი საფრთხე ნებისმიერი ავტოკრატი და დიქტატორი მმართველისათვის. ამიტომ აუცილებელია, წარიმართოს სერიოზული პოლიტიკური ბრძოლა თავისუფალი საარჩევნო და დემოკრატიული გარემოს მოსაპოვებლად.**



„სახალხო კრება“, როგორც ეროვნულ და დემოკრატიულ ფასეულობებზე დაფუძნებული, ზეპარტიული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია, რომლის მიზანიც არის ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი სისტემური ცვლილებების მიღწევა, თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების მოპოვება, მიმართავს ყველა ოპოზიციურ ძალას, პირველ რიგში, „ქართულ ოცნებას“, რომლის პოლიტიკურ არენაზე გამოჩენას დიდი იმედით შეხვდა ქართული საზოგადოება, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რიგით მოქალაქეებს: გაერთიანდეთ ერთიანი ფრონტით ქვეყნის დამნაშავე ხელისუფლებისაგან გასათავისუფლებლად და ქვეყნის გადასარჩენად!

ამ მიზნით, „სახალხო კრებაში“ წარმოდგენილი პოლიტიკური პარტიები, საჭიროების შემთხვევაში, მზად არიან, პირველები წავიდნენ დათმობაზე და ამ ეტაპზე უარი თქვან პირად ამბიციებზე, მათ შორის საპარლამენტო და ნებისმიერ სხვა თანამდებობაზე. დღეს უმთავრესია ხელისუფლების ჩამოშორება საარჩევნო პულტიდან, ხოლო შემდეგ ქართველი ხალხი გადაწყვეტს, თუ რომელ პოლიტიკოსს, რომელ პოლიტიკურ ძალას აირჩევს და ჩააბარებს ქვეყნის მართვის სადავეებს.

„სახალხო კრება“ კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, რომ მსოფლიო პოლიტიკურ ისტორიაში არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, ავტოკრატულ და დამნაშავე რეჟიმს ნებაყოფლობით რომ დაეთმოს ხელისუფლება დემოკრატიული ძალებისათვის. საქართველოშიც, დღეს არსებული რეალობიდან გამომდინარე, მშვიდობიანი გამარჯვების ერთადერთი ფორმულა ერთიანი, ძლიერი ოპოზიციური ფრონტის შექმნაა.

ერთიანი ოპოზიციური ფრონტის მთავარი მიზანი უნდა იყოს 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ხელისუფლების დამარცხება და კონსტიტუციური უმრავლესობის მოპოვება, რის შემდეგაც ექვსი თვის ვადაში, ვადამდელი არჩევნების დანიშვნამდე, გატარდება ყველა საჭირო საკანონმდებლო და პოლიტიკური ცვლილება საარჩევნო გარემოს რეალური გაუმჯობესებისა და კონკურენტული გარემოს შექმნისათვის, ესენია:

1.პოლიციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დეპოლიტიზაცია და ჩამოშორება საარჩევნო პროცესისაგან;

2.სასამართლოს დამოუკიდებლობა;

3.ბიზნესის გათავისუფლება ხელისუფლების ზეწოლისაგან;

4.ცვლილებები ცენტრალური საარჩევნო კომისიის ფორმირებასა და საარჩევნო კანონმდებლობაში;

5.მოსახლეობის აღწერა და რეალური საარჩევნო სიების ჩამოყალიბება;

6.მედიის გათავისუფლება ზეწოლისა და ტერორისაგან;

7.პოლიტიკური და უკანონო პატიმრების უპირობო გათავისუფლება.

ზემოთ ჩამოთვლილი ცვლილებების გატარების შემდეგ, ქვეყანაში უნდა ჩატარდეს თავისუფალი, გამჭვირვალე და სამართლიანი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები.

„სახალხო კრება“ აცხადებს, რომ ჩვენ გამოვრიცხავთ რომელიმე პოლიტიკურ ორგანიზაციასთან შეერთებას, მით უფრო — შერწყმას.

ჩვენი მიზანია, ყველანი გავერთიანდეთ რეჟიმთან საბრძოლველად!

„სახალხო კრება“ კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, რომ დღეს არ არის ოპოზიციურ ძალებს შორის დაპირისპირებისა და ხელოვნური ბარიერების შექმნის დრო. დღეს ყველა რეალურად ოპოზიციური ძალის მიზანი უნდა იყოს დამნაშავე რეჟიმთან ბრძოლა და არა ბრძოლა პოლიტიკურ კონკურენტებთან.

„სახალხო კრება“ სრული პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ ერთიანი ოპოზიციური ფრონტია დღეს გამარჯვების რეალური შანსი და, თუ ამ შანსს ხელიდან გავუშვებთ, წაგებული დარჩება ჩვენი სამშობლო, მთელი მისი მოსახლეობა და ქვეყანაში დიდი ხნით გამყარდება დიქტატურა!

გავერთიანდეთ!

ყველანი — დამნაშავე რეჟიმის წინააღმდეგ!

ეს არის დღეს ქვეყნის გამარჯვების ერთადერთი ფორმულა.

**2012 წლის 12 მარტი,**
**თბილისი**

რეპლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვინ იხეირა აგვისტოს ომით? ქართველმა მოხელეებმა, რომლებმაც იარაღის შესყიდვაზე მოითბეს ხელი; რუსმა სამხედროებმა, რომლებმაც მოწინააღმდეგის თანამედროვე ტექნოლოგიები და დანადგარები მიიღეს; აფხაზეთმა და სამხრეთ ოსეთმა, რომლებმაც 17 წლის განმავლობაში ნანატრ აღიარებას მიაღწიეს; ამერიკელებმა და სხვა მოკავშირეებმა, რომლებმაც თითქმის უდანაკარგოდ მოუსინჯეს კბილი რუსეთს... ეს სია გრძელია, წაგებული კი მხოლოდ ქართველი ხალხი და საქართველო დარჩა.**



# სააკაშვილი — ანტიქრისტეს ხელის ბიჭი!

**2008 წლის აგვისტოს ელვისებურ ომს საქართველოსთვის არა მარტო ტერიტორიების, არამედ მილიარდი დოლარის იარაღის დაკარგვაც მოჰყვა. ახლა რუსული „ჟანგიანი ტანკებით“ გაზიდული სამხედრო ტექნიკა და შეიარაღება მოსკოვის სიახლოვეს, სამხედრო-კვლევითი ინსტიტუტის პოლიგონზე დგას. ბელგიის, ისრაელის, თურქეთის, პოლონეთის, უკრაინის, იტალიის წარმოების დანადგარებს თუ სატრანსპორტო საშუალებებს რუსი სამხედრო სპეციალისტები გულისყურით სწავლობენ. ყველაზე მეტი იარაღი კი ამერიკული წარმოებისაა.**

ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, როგორი „კმაყოფილია“ ჩვენი „სტრატეგიული პარტნიორი“ — აშშ, რომელმაც ჯექსონ-ვენიკის შესწორება სწორედ იმიტომ მიიღო გასული საუკუნის 70-იან წლებში, რომ რუსეთში მაღალი ტექნოლოგიები ვერ შესულიყო! სხვათა შორის, ეს ყბადაღებული შესწორება, არაერთი დაპირების მიუხედავად, ამერიკის შეერთებულ შტატებს დღესაც არ გაუუქმებია, მაგრამ სააკაშვილის წყალობით ყველა ამერიკული სამხედრო სიახლე 5 დღეში სრულიად უფასოდ რუსებმა ჩაიბარეს.

2008 წლის თებერვალში საქართველოს ხელისუფლებამ გამალებით დაიწყო იარაღის შეძენა. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართულებით გამოყენებული იქნა კომბინირებული სისტემა ამერიკული ელემენტების ბაზაზე, რომელიც საშუალებას იძლეოდა, მოესმინათ ან ჩაეხშოთ მობილური კავშირი, გამოეყენებიათ ამერიკული კოსმოსური სადაზვერვო ძალების დაჯგუფების კოსმოსური დაზვერვის ხედვითი მასალა; მოდერნიზებული ტანკები T-72, რომლებზეც ისრაელის წარმოების სამიზნეებია, ამომცნობი სისტემები („საკუთარი-სხვა“), პოლონური მონიტორები. ნადავლს შორის ინგლისური „ლენდ როვერია“. მასზე დამონტაჟებულია მოძრავი სამეთაურო პუნქტი. მისი საშუალებით საომარი მოქმედებისას როგორც მეთაურებთან, ისე რიგით სპეცრაზმელებთანაც იყო შესაძლებელი დაკავშირება, თანამგზავრიდან ბრძოლის მიმდინარეობის მთლიანი სურათის მიღება. მასში არის ელემენტები, რომლის საშუალებითაც რაკეტსაწინააღმდეგო სისტემასთან ინტეგრირებაა შესაძლებელი. მერე რა, რომ საქართველოს არასოდეს ჰქონია საკუთარი თანამგზავრები და იგი არ შედის ამერიკის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემაში!

**რუსულმა დაზვერვამ ჯერ კიდევ 2008 წლის თებერვალში, ომამდე ექვსი თვით ადრე გაარკვია, რომ ქართული მხარე განსაკუთრებულ ყურადღებას კავშირგაბმულობას და საბჭოთა ტექნიკის მოდერნიზაციას უთმობდა.**

სულ ცოტა ხნის წინ ნათელი გახდა, რომ საქართველო ამერიკულ იარაღს ვეღარ მიიღებს. აღარც უკრაინელები მოიკლავენ თავს ქართველების დახმარებით. იქაურ რადას დღემდე ვერ გაურკვევია, სად წავიდა უკრაინული იარაღისთვის გადახდილი ქართული ფული. **„ნარინჯისფერი“ უკრაინა რომ „ვარდისფერ“ საქართველოს იარაღით ამარაგებდა, ეს რუსებმა მაშინვე შეიტყვეს, როგორც კი ბრძოლის ველზე უკრაინული კომპლექსი „ბუკი“ აღმოაჩინეს. „ამ რთულ დანადგარზე რომ იმუშაო, სულ ცოტა, საშუალო-ტექნიკური განათლება უნდა გქონდეს, მეთაურს კი ჰაერსაწინააღმდეგო უმაღლესი სასწავლებელი უნდა ჰქონდეს დამთავრებული. საქართველოში ასეთი სასწავლებლები არ არის, სამაგიეროდ არის კიევში“,** — აცხადებდნენ ისინი.

რაკეტებიც „უკრსპეცექსპორტმა“ მიაწოდა ქართულ მხარეს. თუმცა ცხინვალის ებრაული კვარტალი, ბედის ირონიით, სწორედ ისრაელში წარმოებული რაკეტებით განადგურდა. დაბომბვას გამანადგურებლებით სუ-25 ახორციელებდნენ, რომლის მოდერნიზაციაც ასევე ისრაელში მოხდა.

იარაღით ვაჭრობა რომ ერთობ სარფიანი ბიზნესია, ეს საყოველთაოდ ცნობილია. არც ის არის დაფარული, რომ საქართველომ ამერიკელი გამომძიებლების ყურადღება მიიპყრო იარაღის შესყიდვებში კორუფციული გარიგებების გამო. ერთ-ერთმა ბრალდებულმა დევიდ ალგერისმა ბრალი აღიარა. მან დაადასტურა, რომ **2008 წლის თებერვალში მას ისრაელიდან გაყიდვების აგენტი დაუკავშირდა, რომელმაც საქართველოს მთავრობასთან 14 მილიონი ერთეული M-855 ტიპის ვაზნის მიყიდვაზე გააფორმა ხელშეკრულება. ამ აგენტმა ისრაელში ვაზნები 3,9 მილიონ დოლარად შეიძინა, ხოლო საქართველოს მთავრობას 4,7 მილიონად მიჰყიდა.** ალგირესს საკომისიოს სახით 112 ათასი ერგო. ივლისში იმავე აგენტმა საქართველოს მთავრობას 7,2 მილიონის ღირებულების საბრძოლო მასალა მიჰყიდა. ალგირესმა 57,6 ათასი დოლარი მიიღო. **კვების ინდივიდუალური რაციონის საქართველოსთვის მიყიდვაში დახმარების საფასურად მან 15 ათასი დოლარი აიღო. ალგირესი ადასტურებს, რომ ყველა შესყიდვაში ქართველი მოხელეები ქრთამს იღებდნენ. ისიც ძალიან საინტერესოა, რომ 4,7 მილიონი დოლარის ღირებულების ვაზნები ქართულ არმიას 2008 წლის აგვისტოს ომში საერთოდ არ გამოუყენებია!**

თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს, **სააკაშვილი ქართული ჯავშანმანქანებითა და „კატიუშას“ ანალოგებით იწონებს თავს, „ლაზიკასა“ და „დიდგორს“ უკეთებს რეკლამას და ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ იგი მათ გამოყენებას ჟენევაში მოლაპარაკებებზე არ აპირებს!**

ერთი მილიარდის შეიარაღება რუსულ არმიას 2008 წელს დიდი ძალისხმევის გარეშე ჩაუვარდა ხელში. რამდენი პამპერსი და სასმელი წყალი მოუვიდოდა საქართველოს ამ ერთ მილიარდში, ნამდვილად აუცილებელ სოციალურ პროგრამებზე რომ არაფერი ვთქვათ! **ვინ იხეირა აგვისტოს ომით? ქართველმა მოხელეებმა, რომლებმაც იარაღის შესყიდვაზე მოითბეს ხელი; რუსმა სამხედროებმა, რომლებმაც მოწინააღმდეგის თანამედროვე ტექნოლოგიები და დანადგარები მიიღეს; აფხაზეთმა და სამხრეთ ოსეთმა, რომლებმაც 17 წლის განმავლობაში ნანატრ აღიარებას მიაღწიეს; ამერიკელებმა და სხვა მოკავშირეებმა, რომლებმაც თითქმის უდანაკარგოდ მოუსინჯეს კბილი რუსეთს; ეს სია გრძელია, წაგებული კი მხოლოდ ქართველი ხალხი და საქართველო დარჩა.**

ახლა, სამარცხვინოდ წაგებული ომიდან თითქმის ოთხი წლის შემდეგ, ტრაგიკული დამთხვევით, ჯიხაშკარის მიდამოებში, საქართველოს პირველი პრეზიდენტის უკანასკნელ მარშრუტს სამხედრო პიკაპები სერავს. იქვე სასროლეთიც არის მოწყობილი. ადგილობრივები ამბობენ: **„ნებაყოფლობითი რეზერვის თაობაზე ყოფილან აქ, ცენტრში მოსულები. ზაფხულში ჯიხაშკარში და მოსაზღვრე სოფლებში იყო წვრთნები. გავიგეთ, რომ აქ „კომანდოს“ ბატალიონსაც წვრთნიდნენ. რამდენიმეჯერ ისიც დავინახეთ, როგორ ჩამოსხეს ჯარისკაცები ვერტმფრენებიდან. პიკაპები ხშირად ჯარისკაცებით არის სავსე. ალბათ, სადმე ახლომახლო გადაჰყავთ“.**

საკუთარ ვინაობას ჯიხაშკარელები, გასაგები მიზეზის გამო არ ამჟღავნებენ, ქალები კი იმას ამბობენ, რომ პიკაპები ღამღამობით ისეთი სიგნალებითა და სირენებით დაქრიან, რომ ბავშვებს ეღვიძებათ. **„შევწუხდით ძალიან და, როცა ვუთხარით, ასე ნუ ხმაურობთო, ცინიკურად მოგვიგეს მანქანიდან, — რაო, შეგაწუხეთო“?**

სააკაშვილის მილიტარიზმმა გამსახურდიას მომხრეც და ყოფილი მხედრიონელიც „ნებაყოფლობით რეზერვში“ გააერთიანა. ვახტანგ ზარანდია და დათო შენგელია იმ დაჯგუფებებს ჩაუდგებიან სათავეში, რომლებიც რეზერვზე მეტად პარტიზანულ რაზმს ჰგავს. საყურადღებოა, რომ ორივემ „ვარდისფერი“ ციხე მოიარა. ზარანდია იარაღის უკანონო ტარებისთვის 4 წელი იჯდა და 2 წლის წინ გაათავისუფლეს, ხოლო შენგელიას 2004 წელს ნარკოტიკების შენახვა-რეალიზაციისთვის 24 წელი მიუსაჯეს, მაგრამ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო 7 წლის შემდეგ გამოუშვეს. **ვისაც სჯერა, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება პატიმრის ავადმყოფობას რამედ დაგიდევთ, ისიც შეუძლია ირწმუნოს, რომ აფხაზეთის ყურისძირში ატეხილი ეს „სამხედრო თამაშები“ მხოლოდ რეზერვის მომზადებას ნიშნავს და არა რაიმე სხვას.**

ქართულმა პრესამ ბევრი წერა ზონდერბრიგადების შექმნაზე, ხოლო სამეგრელოში ჩასულმა თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა მოსახლეობას ამ დაჯგუფების შექმნა „ნატოს სტანდარტების მოთხოვნად“ გააცნეს. **„სოფლის ცენტრში იყო შეკრება. ხალხს უთხრეს, რომ ნებაყოფლობითი რეზერვი ნატოს მოთხოვნააო, ეს იქნება სოფლის თავდაცვა და ნებისმიერი საგანგებო სიტუაციის დროს, როგორც ქუდზე კაცი, ისე უნდა გამოხვიდეთო. ეს იქნება წყალდიდობა, ხანძარი, ყაჩაღობა თუ ომი, ნებისმიერ სიტუაციაში მზად უნდა იყოთო“,** — აცხადებენ ადგილობრივები.

ახლა წარმოიდგინეთ, თბილისში ჩამოსულმა რასმუსენმა როგორ უჩურჩულა ეს ყველაფერი სააკაშვილს და ისიც, სასწრაფო წესით, როგორ შეუდგა „ნატოს მოთხოვნის“ შესრულებას. ამ სურათს მხოლოდ დანაჩანგლით აღჭურვილი თვალცრემლიანი დავით ბაქრაძეღა აკლია. **მილიტარისტული ფუსფუსი კიდევ უფრო საეჭვო ხასიათს იძენს, თუ გავითვალისწინებთ, რომ სამეგრელოში მოსახლეობას „საიდუმლოდ“ ეუბნებიან ხელისუფლების წარმომადგენლები, „აფხაზეთი ომით უნდა დავიბრუნოთო“.**

რამდენიც უნდა უწოდო „ფორდის“ პიკაპის ბაზაზე შექმნილ ჯავშანმანქანას „დიდგორი“, დავით აღმაშენებელი ვერ გახდები. „პატარა ელვისებური ომი“, რომელიც სააკაშვილმა 08.08.08 თარიღს დაამთხვია, მისი ვარაუდით, 12 აგვისტოს ახალი დიდგორობით უნდა დამთავრებულიყო. ომი მართლაც იმ დროისთვის დამთავრდა, მაგრამ დიდგორობისა მას არაფერი ეცხო. **ახლა, ოთხი წლის შემდეგ, ციფრების მაგიის მოყვარული სააკაშვილი, არ არის გამორიცხული, 12.12.12-ისთვის ემზადებოდეს, ხოლო გამარჯვებას საკუთარი და სტალინის დაბადების დღისთვის – 21.12.12-ისთვის გეგმავდეს!**

იგი რომ ყველაფერს გააკეთებს ხელისუფლებაში დასარჩენად, პარლამენტში ყოველწლიური გამოსვლისას უკვე დაადასტურა. ოპოზიციას იმაზეც დასცინა, რომ რისკიანები ვერ არიან. არადა, რას რისკავს სააკაშვილი? იმ დღისთვის – 2012 წლის 21 დეკემბრისთვის სამყაროს დასასრულია ანონსირებული და ან მოიგებს, ან მის შემდეგ ქვა ქვაზეც ნუ დარჩენილა! ეს რომ მისთვის ნამდვილად ასეა, თავად სააკაშვილის მიერ ზუსტად ერთი წლის წინ ბრიტანული Independent-ისთვის ნათქვამი ცხადყოფს: **„იმ ტერიტორიის დიდი ნაწილი, რომელიც რუსებმა დაიპყრეს, ქვა და კლდეა. მისი ფასი ნულია“!**

**თითქოს მის გასაგონად თქვა ორი ათასი წლის წინ პეტრე მოციქულმა:**

**„იგემეთ, რომ ტკბილია უფალი, რომელსაც მიეახლეთ, როგორც ცოცხალ ლოდს, კაცთაგან უარყოფილს, ღვთის მიერ კი რჩეულსა და ფასდაუდებელს. როგორც ცოცხალი ქვები, თქვენც აშენდით სულიერ სახლად, წმინდა სამღვდელოებად და სულიერი მსხვერპლის მწირველად, იესო ქრისტეს მეშვეობით სასურველად რომ უჩანს ღმერთს. რადგანაც წერილი ამბობს: „აჰა, მე დავდებ სიონში ქვაკუთხედ ლოდს, რჩეულსა და უძვირფასესს და არ შერცხვება მისი მორწმუნე“.**

ამრიგად, ის ფასდაუდებელია თქვენთვის, ანუ მორწმუნეთათვის, ურწმუნოთათვის კი **„ქვა, რომელიც დაიწუნეს მშენებლებმა, მაგრამ კუთხის თავად დაიდვა: ქვა ფეხწამოსაკრავი და კლდე საცდური“.**

მათთვის, ვინც ეურჩება სიტყვას, და ვისთვისაც ეს ხვედრი იყო გამიზნული“.

**ქვა და კლდე იყო იესო, რომელზეც აშენდა ეკლესია და „ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას“. ქვა და კლდე, რომლის ფასი, სააკაშვილის აზრით, ნულის ტოლია. მან არა მარტო საქართველო, მაცხოვარიც უარყო! მაცხოვრის უარმყოფელი კი ანტიქრისტეს ხელის ბიჭია.**

**თამარ დავითულიანი**

## საქართველო დსთ-ს ორი შეთანხმებიდან გამოვიდა

**საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოების საწარმოებისა და დარგების საწარმოო კოოპერაციის განვითარების ზოგადი წესებისა და მხარდაჭერის მექანიზმის შესახებ შეთანხმებიდან გამოვიდა.** „შეწყდეს საქართველოს მიმართ „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოების საწარმოებისა და დარგების საწარმოო კოოპერაციის განვითარების ზოგადი წესებისა და მხარდაჭერის მექანიზმის შესახებ“ 1993 წლის 23 დეკემბრის შეთანხმების დროებით გამოყენება“, — აღნიშნულია პრეზიდენტის ბრძანებულებაში. პრეზიდენტის 178-ე ბრძანებულებით კი საქართველო გამოდის დსთ-ს მონაწილე სახელმწიფოების საწარმოებისა და დარგების საწარმოო კოოპერაციის განვითარების ზოგადი წესებისა და მხარდაჭერის მექანიზმის შესახებ შეთანხმებიდანაც.

## აფხაზეთში პარლამენტი აირჩიეს

**აფხაზეთში ე. წ. საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა. დე ფაქტო ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, ამომრჩეველთა აქტივობამ 40% შეადგინა.** დე ფაქტო პარლამენტის დეპუტატის 35 მანდატისთვის 148 კანდიდატი იბრძოდა. აფხაზეთში 174 საარჩევნო უბანი იყო გახსნილი. პარლამენტს 5 წლის ვადით ირჩევენ.

**ამ სამი არხის: „რუსთავი 2“-ის, „იმედისა“ და საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო პოლიტიკა ისეთია, დეკემბერში მერცხლის ჭიკჭიკი უფრო შეიძლება გაიგონო, ვიდრე მათ ეთერში ხელისუფლების მიმართ თუნდაც ერთი კრიტიკული სიტყვა.**

ჩეჩლიკა

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მიშა, მოგვეც სანახაობა,
## ანუ «თქვენი სიმინდის ტაროებია ჩემთვის რევოლუცია»

**სააკაშვილის ჯიბის ტელევიზიების გადამკიდე ჩვენი საზოგადოების უდიდეს ნაწილში, კარგა ხანია, მყარად დამკვიდრდა აზრი, რომ, თუ გინდა, სიმართლე გაიგო და მოისმინო, სამ სახელისუფლო არხს: „რუსთავი 2“-ს, „იმედსა“ და საზოგადოებრივად „ბრალდებულ“ მაუწყებელს, თვალი და ყური არ უნდა გააკარო. მეც სწორედ ამ კატეგორიის („არგასახარებელ“) ადამიანთა ჯგუფს განვეკუთვნები და არც ერთ „მიშავიზიას“ პრინციპულად არ ვუყურებ, მაგრამ... ამასწინათ რამდენიმე წუთით მეც „დაბოლებულთა“ არცთუ მცირერიცხოვან არმიას შევუერთდი.**



ის ის იყო, ცხრა საათი შესრულდა და „კურიერი“ იწყებოდა. „დმ, დმ, დმ, დმ...“ — შემზარავი მუსიკა, რომლითაც საინფორმაციო გამოშვება იწყება, როგორც იქნა, დამთავრდა, დაცობილი ყურები გავითავისუფლე და სმენად ვიქეცი.

რას ვხედავ!

**სიუჟეტი №1:**

**გრანდიოზული აქციის მზადება რუსეთში, გადაკეტილი ქუჩები, უკმაყოფილო მოქალაქეები და მოსალოდნელი ვაი-ვიში.** გვიჩვენეს, თუ რამდენად დაძაბული ვითარებაა ჩვენს ჩრდილოეთ სამეზობლოში, თუ რაოდენ უკმაყოფილოა რუსი ხალხი ჩატარებული არჩევნებით და რა სასტიკად უსწორდება „საზიზღარი“ პუტინი მშვიდობიან მანიფესტანტებს (ისე, ძალიან კი მინდოდა ომონის მიერ ნაცემ-ნალეწი რუსები მეხილა, მაგრამ „მიშავიზიებმა“ ეს კადრები „შეგნებულად“ არ აჩვენეს, — ვინმეს გული არ წაუვიდესო);

**სიუჟეტი №2:**

**რუსული კვალი ოპოზიციის პოლიტიკაში** — დეტალურად გაგვიშიფრეს, თუ როგორ, რა სქემით აპირებდა რუსეთის ხელისუფლება 2011 წლის მაისის აქციების დროს ოპოზიციის მხარდაჭერას, როგორ უნდა შემოსულიყვნენ თბილისში რუსი სამხედროები, აეღოთ ყველა სტრატეგიული სიმაღლე, შენობა თუ სხვა სახის ობიექტი და როგორ უნდა განედევნათ საქართველოდან სააკაშვილი თხემით-ტერფამდე ქართული, პატრიოტული გარემოცვითურთ. ზემოაღნიშნულ ორივე სიუჟეტს ლაიტმოტივად გასდევდა მძაფრი ქვეცნობიერი პათოსი — მიშა მაგარია, რაც იმის მტკიცებაში გამოიხატებოდა, რომ, მიუხედავად ყველა მცდელობისა, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ სირთულეები გადალახა და ქვეყანას აღებული კურსი შეუნარჩუნა...

**სიუჟეტი №3:**

**ბოკერია-რასმუსენის შეხვედრა** — ეს სიუჟეტი რომ დაიწყო, თავიდან, ცოტა არ იყოს, დავიბენი, ვიფიქრე, ნატოს კარი ჩვენთვის ღიაა, მაპზე უკეთესი თუ მიღებული გვაქვს და ახლა კიდევ რა უნდა ეთქვა ან ეჩვენებინა ამ რასმუსენს ბოკერიასთვის ისეთი, რომ სიხარულისგან იმხელაზე ეცინება, პირი ლამის ყურებამდე გადაეხსნას-მეთქი. თურმე რაშია საქმე: ნატო ისევ საქართველოს ერთგული რჩება(?), ის არასოდეს აღიარებს აფხაზეთსა და სამაჩაბლოს, არ გვიხურავს კარს (პირიქით, გვეხვეწება, შემოდითო) და დღედაღამ ჩვენზე ფიქრობს. მოკლედ, შეგვახსენეს, რომ ნატო ჩვენთანაა. გვიხაროდენ...

ამით გამოშვების პირველი, „მძიმე“ ნაწილი დასრულდა და დაიწყო მეორე, გულში იმედის გამჩენი ბლოკი.

**სიუჟეტი №1:**

**სააკაშვილის სტუმრობა გორში, კერძოდ სოფელ ბერბუკში, რუსიტაშვილების მრავალშვილიან ოჯახში.** კადრი: პრეზიდენტი ნერვული ნაბიჯებით შედის სახლში, სადაც მას მოუთმენლად ელოდება ყველა. შეაღებს მისაღების კარს ისე, რომ კამერამ სისწრაფეში ვერ დააფიქსირა, ქუსლით გააკეთა ეს თუ ხელით და სათითაოდ მიესალმება ოჯახის ყველა წევრს. დაახლოებით ერთი წუთის შემდეგ მასპინძლის უკითხავად იღებს სკამს, ჯდება მაგიდის თავში, მოისვამს გვერდით ოჯახის ყველაზე უმცროს წევრს, რომელიც „სრულიად შემთხვევით“ პირველკლასელი აღმოჩნდა, და ეკითხება:

— გარემონტებული სკოლა მოგწონს?

ბავშვი არ იბნევა და თანხმობის ნიშნად თავს აქნევს.

— ნეთბუქი გაჩუქეს? — ისევ ეკითხება სააკაშვილი.

ბავშვი კვლავ თავს უქნევს და პრეზიდენტს ისე აკვირდება, უეჭველი, სპაიდერმენი ან ბეტმენი ჰგონია.

— ინგლისურს, კომპიუტერს გასწავლიან? მანდატურები ხომ საყვარლები არიან? — განაგრძობს სააკაშვილი კითხვების დაყრას და ბავშვს უკვე ისეთი სახე აქვს, სადაცაა, რეტი დაესხმება.

ამომწურავი პასუხების მიღების შემდეგ „ბელადმა“ მიმოიხედა და სახლი წამში დაათვალიერა. მოშორებით კომპიუტერს მოჰკრა თვალი. როგორც ყოველთვის, ინტუიციამ „უყივლა“ და ყოველი შემთხვევისთვის კიდევ ერთი კითხვა დასვა:

### ბავშვი კვლავ თავს უქნევს და პრეზიდენტს ისე აკვირდება, უეჭველი, სპაიდერმენი ან ბეტმენი ჰგონია

— ეს ვისია (ვისი იქნებოდა?!)?

— ეს ჩემი შუათანა შვილისაა, სკოლაში აჩუქეს, — უპასუხა ოჯახის უფროსმა უშეცდომოდ.

მცირე პაუზის შემდეგ სააკაშვილმა კამერის ობიექტივს ჰოლივუდური ღიმილი სტყორცნა და დაკრეჭილმა კმაყოფილად ჩაილუღლუღა:

— ა, ეგ იმისთვის, რომ ათოსანი ხარ, ხომ?..

ჯერი ოჯახის უფროსზე მიდგა.

— ყველაფერი კარგადაა, არაფერი გვაკლია, — დაიწყო ნაცრისფერ პულოვერში გამოწყობილმა მოხუცმა ანგარიშის ჩაბარება, — ვაუჩერებიც მივიღეთ, მიწაც დავამუშავეთ...

ვაუჩერების ხსენებაზე სააკაშვილმა გაოცებულმა იკითხა:

— ვა, ვაუჩერიც მიიღეთ უკვე?

— კი, აბა რა, მაგით გვიდგია სული, აი, რამხელა მოსავალი გვაქვს, — განაგრძობს მოყოლას მოხუცი, თან სააკაშვილს სიმინდით სავსე ნალიას უჩვენებს. პრეზიდენტი აღფრთოვანებულია, იღიმება და სახეზე აწერია, კონტექსტში რომ ჯდებოდეს, ერთი სული აქვს, საქართველოს მტრებს კიდევ ერთხელ მიახალოს პირში: გინდოდათ ჩვენი დაქცევა? ვერ მოგართვითო.

ბოლოს სიტყვა 2003 წლის „ვარდების რევოლუციაზე“ ჩამოვარდა. გლეხი ამაყად აღნიშნავს, იმ დღეებში მე სულ იქ ვიდექიო. ამის გაგონებაზე საკაშვილი ისევ დაიკრიჭა და რამდენიმეწამიანი დუმილის შემდეგ ისტორიული ფრაზა დააფრქვია: **„თქვენი სიმინდის ტაროებია ჩემთვის რევოლუცია“...**

დაახლოებით თხუთმეტწუთიანი „რეიდის“ შემდეგ პრეზიდენტმა ჭიშკრისკენ გასწია; გლეხი ფეხდაფეხ მიჰყვა (ძუნძულით) და კარის ალაგას, ზღურბლთან, სტუმარ-მასპინძელი შეიბა. დაიწყო გაწევ-გამოწევა, პრეზიდენტს წასვლა უნდა (არ მინდა თავი შეგაწყინოთო), გლეხი კი არ ანებებს, ჯერ რა დროს წასვლაა, ერთი-ორი საათით კიდევ დაგვატკბე თქვენი სტუმრობითო. ბოლოს, როგორც იქნა, გლეხმა თავისი გაიტანა, სტუმარი დაიყოლია, პრეზიდენტმა კი სიხარულისგან სპეციფიკურად, მაგრამ გულიანად გაიცინა და მასპინძელს ხელგადახვეული ოჯახში შეჰყვა...

**შემდეგი კადრი: დიანა ჯოჯუა ჯოკონდას ღიმილით და ტექსტი, რომელიც ყველამ ზეპირად იცის...**

ამ სულ რაღაც ათწუთიანი სიუჟეტის ნახვის შემდეგ ნამდვილად არ ვიცი, რა სახე მექნებოდა და რა ემოციას ამოიკითხავდა ჩემს სახეზე ადამიანი (ალბათ, უფრო სასოწარკვეთილ სიბრალულს), მაგრამ ნუ გაგიკვირდებათ და სულაც არ მინანია, რომ ეს სიუჟეტი ვნახე. პირიქით, იმ გამოთქმისა არ იყოს, „ზოგი ჭირი მარგებელიაო“, ერთი იდეაც გამიჩნდა, უფრო სწორად, რჩევა, რომელიც „მიშავიზიებს“ მინდა მივცე (ალბათ, მიხვდით, რომ „რუსთავი 2“-ზე, „იმედზე“ და საზოგადოებრივ მაუწყებელზე მაქვს საუბარი).

მოგეხსენებათ, ამ სამი არხის საინფორმაციო პოლიტიკა ისეთია, დეკემბერში მერცხლის ჭიკჭიკი უფრო შეიძლება გაიგონო, ვიდრე მათ ეთერში ხელისუფლების მიმართ თუნდაც ერთი კრიტიკული სიტყვა. უკვე წლებია, ასეა და ბევრი, ალბათ, შეეგუა კიდეც ამას. ამიტომაცაა, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, სამივე წარმატებით განაგრძობს მუშაობას, თორემ ასე რომ არ იყოს, ახლა სამივე არხი სანთლით უნდა დაეძებდეს მაყურებელს; მოკლედ, ქვეყნის ყველაზე წარმატებულ ტელევიზიებს კიდევ უფრო დიდი წარმატების მომტან ერთ პატარა „რჩევა-საიდუმლოს“ გავანდობ: **ძვირფასო „რუსთავი 2“-ო, „იმედო“ და პირველო არხო, თქვენს ობიექტურობაში ეჭვი არავის ეპარება და გვჯერა თქვენი. ვენდობით თქვენს ინფორმაციებს, იმას, თუ როგორ ხსნის ხელისუფლება ფაბრიკა-ქარხნებს, როგორ ასაქმებს მოქალაქეებს, აკეთილშობილებს საარჩევნო კოდექსს, კონსტიტუციას; როგორ შეუპოვრად ებრძვის კორუფციას, კრიმინალს, უცხო ქვეყნის აგენტებს, ჯაშუშებს და ა.შ., მაგრამ მუდმივად ამაზე საუბარი რომ მოსაბეზრებელია, ხვდებით, ალბათ. ხომ იცით, ადამიანის ბუნება ასეთია, ერთი და იგივე ყელში ამოსდის ხოლმე. ამიტომ, მოდით, გარისკეთ და გატეხეთ ნავსი — ერთხელ მაინც მოამზადეთ კრიტიკული სიუჟეტი. გვესმის, რომ ამ ხელისუფლებას საკრიტიკებელი არაფერი აქვს, მაგრამ ფანტაზია ხომ გაქვთ?!**

გაიხსენეთ თუნდაც მოდელირებული ქრონიკა, ყველაფერი, რაც იქ აჩვენეთ, თავიდან ბოლომდე ტყუილი იყო, მაგრამ, აბა, დაფიქრდით, შემდეგ ან მანამდე რომელიმე თქვენს გამოშვებას მსგავსი აჟიოტაჟი მოჰყოლია?! ვფიქრობ, თქვენს რეიტინგს კიდევ ერთი ასეთი კარგი „შეზანზარება“ არ აწყენდა და თქვენ ეს ძალიან მარტივად შეგიძლიათ. ასე, მაგალითად: გააკეთეთ სიუჟეტი იმაზე, თუ როგორ გაიქცა სააკაშვილი თავქუდმოგლეჯილი გორიდან 2008 წლის აგვისტოში (კი, ეს ყველაფერი გადაღეჭილია, მაგრამ თქვენი ბაგეებიდან ამას ხალხი სიამოვნებით მოისმენს); **მოამზადეთ გადაცემა იმაზე, თუ როგორ აყალბებენ გოგორიშვილები, წიკლაურები და სხვები არჩევნებს; როგორ დაეხეტება თქვენი „ბელადი“ საზღვარგარეთ ხშირი ვიზიტების დროს ბორდელიდან ბორდელში, რესტორნიდან რესტორანში, სასტუმროდან სასტუმროში, საიდან უხდის მილიონებს თავის უცხოურ პიარჯგუფებს წინასაარჩევნოდ და ა.შ. მართალია, ეს ყველაფერი ტყუილია და ამას ის „ენაგასახმობი“ ხალხი ამბობს, რომელსაც ძალიან უნდა ამ ქვეყნის დანგრევა, მაგრამ სინდისის საკითხია, არ შეიძლება ამდენი სიმართლე, სიმართლე და სიმართლე, ხალხიც „გამოსიმართლევდა“, მოსახლეობას ტყუილი ენატრება; რა გახდა ბოლოსდაბოლოს ერთი მოდელირებული ქრონიკა, გვაჯახეთ და, თუ გული გაგვისკდება, თქვენც დაისვენებთ და ჩვენც...**

მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ არ შეიძლება ასეთი გულახდილობა. ნათქვამია, მართლის მთქმელს ცხენი უნდა ჰყავდეს შეკაზმული გასაქცევადო, თქვენც ასე რომ არ დაგემართოთ, ხანდახან „იცრუეთ“ ხოლმე, თქვენთვისვე აჯობებს... და კიდევ: იმ შემთხვევაში, თუ ჩემს რჩევას ყურად იღებთ, ბარემ ისიც გაითვალისწინეთ, რომ „ბელადის“ რისხვა არ აგცდებათ. დარწმუნებული ვარ, ბევრი თქვენგანი, მინიმუმ, სამსახურს მაინც დაკარგავს, მაგრამ ეგ არაფერი, როგორც ჩანს, თვითონ „ბელადსაც“ არ უწერია დიდი ხნის ზეობა. ასე რომ, ცოტა წინაც გაიხედეთ, **დროა, თქვენს ტექსტებში შიგადაშიგ, მინიშნების დონეზე, მომავალი „ბელადის“ გულის „მოთვინიერებაზეც“ იფიქროთ, თორემ ხომ გაგიგონიათ, ეშმაკს არ სძინავსო, რა იცით, ხვალ და ზეგ რა ხდება, პოლიტიკაც „ვერტიკალურია და თან ბრუნვადი“...**

**ჯაბა ჟვანია**

ვერსია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გიგა ბოკერია და მისი გუნდის წევრები, ცხადია, ანგელოზები არ არიან, მაგრამ ისინი ცდილობენ, კორუფციაში თავად ნაკლებად გაერიონ, ფორმალურად მაინც, რადგან შემოსავალი ისედაც არ აკლიათ. ჯერ ერთი, „თავისუფლების ინსტიტუტი“ ათეულობით არასამთავრობო ორგანიზაციასა და სხვადასხვა სახის ფონდს აკონტროლებს, რომლებიც უცხოეთიდან, უმთავრესად — ამერიკიდან, მისი რეკომენდაციით იღებენ გრანტებს და ამ გრანტებით თავადაც ხეირობენ. ამას გარდა, გიგა ბოკერიას ჩინებული ტაქტიკა აქვს არჩეული — ბიუჯეტიდან მოპარვის ნაცვლად მისი თანამოაზრე ლიბერალები იმავე ბიუჯეტიდან ან მათ მიერ კონტროლირებადი კერძო სტრუქტურებიდან ოფიციალურად, კანონიერად იღებენ ფულს — ერთდროულად რამდენიმე ადგილზე მუშაობენ.**

# ერთი ძმა — სააკაშვილთან, მეორე — ივანიშვილთან

**ახლო მომავალში „ნაცმოძრაობამ“, შესაძლოა, ერთი მივიწყებული, დიპლომატად გადაკვალიფიცირებული ყოფილი მინისტრი „გააცოცხლოს“ და პოლიტიკურ სარბიელს დაუბრუნოს. ამ კაცის პოლიტიკაში დაბრუნებაზე ადრეც იყო ლაპარაკი, მას რეკომენდაციას გიგა ბოკერია უწევდა, მაგრამ სააკაშვილმა მაშინ თავი შეიკავა. ახლა კი რამდენიმე ფაქტორი სააკაშვილს აიძულებს, ბოკერიას დაემორჩილოს და ნამინისტრალი დიპლომატი ქართულ პოლიტიკას დაუბრუნოს.**



## გამოიყენებენ თუ არა კახა ლომაიას მისივე ძმის — გიორგი ლომაიას წინააღმდეგ?

კახა ლომაიას, საქართველოს ელჩს გაეროში, კულუარული ინფორმაციით, „თავისუფლების ინსტიტუტი“ ლობირებს. განათლების ყოფილი მინისტრი და უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივანი კახა ლომაია, ორივე სფეროში წარუმატებელი პოლიტიკოსი აღმოჩნდა. მის მიერ გატარებული განათლების რეფორმა, სხვას რომ თავი დავანებოთ, თავად მიხეილ სააკაშვილმა დაიწუნა და გააკრიტიკა. **დიდი ბედენა არც დიმა შაშკინია, ისიც გამეტებით ანგრევს ქართულ განათლების სისტემას, მაგრამ შაშკინმა (ვერ დავუკარგავთ), ლომაიასგან განსხვავებით, ის მაინც იცის, როგორ იწერება „ბავშვი“.**

**განათლების მინისტრად ხომ ვერ გამოდგა და უშიშროების საბჭოს მდივნად რა „ტელეირანიც“ იყო კახა ლომაია, 2008 წლის ომმაც დაგვანახა, მაგრამ, სანამ მას „მშობელი“ „თავისუფლების ინსტიტუტი“ მფარველობს, მეორედ მოსვლის შანსი აქვს.**

ვიდრე კახა ლომაიას მეორედ მოსვლაზე მოგახსენებთ, ერთ ექსკლუზიურ ინფორმაციასაც შემოგთავაზებთ: **გიგა ბოკერია და მიხეილ სააკაშვილი გიგი უგულავას უფრო დიდი პოსტისთვის ამზადებენ, „ნაციონალები“ მას უფლებაშეკვეცილ პრეზიდენტობის კანდიდატად შემოინახავენ.** ცხადია, იმ შემთხვევისთვის, თუ მოახერხეს და არჩევნები ისე გააყალბეს, რომ პარლამენტში უმრავლესობა მოიპოვეს. მართალია, დღეს უგულავა ფავორშია, მაგრამ ერთ დროს „თავისუფლების ინსტიტუტი“ მის ჩანაცვლებას სწორედ ლომაიათი აპირებდა. ეს 2008 წლის ომამდე იყო და უშიშროების საბჭოს მდივნად გადაყვანა ლომაიასთვის პრემიერ-მინისტრის სავარძლისკენ ტრამპლინი უნდა გამხდარიყო, მაგრამ ომმა მისი უსუსურობა გამოავლინა და გიგა ბოკერიას გუნდს დაწყობილი პა-სეანსიც აერია.

**„თავისუფლების ინსტიტუტის“ და გიგი უგულავას მაშინდელი დაპირისპირების მიზეზი კი ის იყო, რომ უგულავამ და მამუკა ახვლედიანმა, ახვლედიანის ვიცე-მერად დანიშვნის შემდეგ, ტენდერებით, აუქციონებით თუ სხვა საშუალებებით დიდი ფული იშოვეს. გიგა ბოკერია და მისი გუნდის წევრები, ცხადია, ანგელოზები არ არიან, მაგრამ ისინი ცდილობენ, კორუფციაში თავად ნაკლებად გაერიონ, ფორმალურად მაინც, რადგან შემოსავალი ისედაც არ აკლიათ.** ჯერ ერთი, „თავისუფლების ინსტიტუტი“ ათეულობით არასამთავრობო ორგანიზაციასა და სხვადასხვა სახის ფონდს აკონტროლებს, რომლებიც უცხოეთიდან, უმთავრესად, ამერიკიდან, მისი რეკომენდაციით იღებენ გრანტებს და ამ გრანტებით თავადაც ხეირობენ. ამას გარდა, გიგა ბოკერიას ჩინებული ტაქტიკა აქვს არჩეული — ბიუჯეტიდან მოპარვის ნაცვლად მისი თანამოაზრე ლიბერალები იმავე ბიუჯეტიდან ან მათ მიერ კონტროლირებადი კერძო სტრუქტურებიდან ოფიციალურად, კანონიერად იღებენ ფულს — ერთდროულად რამდენიმე ადგილზე მუშაობენ. მაგალითად, დეკლარაციის მიხედვით, აკაკი მინაშვილს დეპუტატის ხელფასი არ ჰყოფნის (წლიურად 67 ათას 232 ლარი) და იუსტიციის საბჭოს წევრიცაა, სადაც 8300 ლარს იღებს თვეში ხელფასის სახით, დამატებით კი სმენადაქვეითებულ ბავშვთა №203 სკოლა-პანსიონის დირექტორია. აქ მისი ყოველთვიური გასამრჯელო 5170 ლარია. მინაშვილის მეუღლე, ქეთევან კობიაშვილი ერთდროულად თავდაცვისა და შს სამინისტროში მუშაობს. შესაბამისად, თვეში ერთგან 7540 ლარს იღებს, მეორეგან — 11 ათას ლარს.

**სწორედ ტენდერებიდან და აუქციონებიდან მილიონების მითვისებაში ამხილა ბოკერიამ გიგი უგულავა პრეზიდენტთან 2008 წლის გაზაფხულზე და სააკაშვილს შესთავაზა, მაფიოზად გადაქცეული უგულავას ნაცვლად, 2010 წლის თბილისის მერის არჩევნებზე „ნაციონალებს“ სხვა კანდიდატი დაეყენებიათ, ხოლო „თავისუფლების ინსტიტუტის“ ფორმალური ლიდერი, ანუ „ბოკერიას წილი“ ხელისუფლების ზედა ეშელონებში კახა ლომაია იქნებოდა.** ეს ის პერიოდია, როცა ბოკერია ტელევიზიით ვერ ბედავდა გამოჩენას, პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე იყო და უშიშროების საბჭოს მდივნობას, უმდაბლესი რეიტინგის გამო, ვერ რისკავდა, მაგრამ ეს პოსტი სათავისოდ, თავისი გუნდისთვის ჰქონდა შეგულებული.

**სააკაშვილმა დაუჯერა ბოკერიას და კახა ლომაია დააწინაურა — უშიშროების საბჭოს მდივნად დანიშნა. გიგი უგულავას მერობიდან გადაყენებას არავინ აპირებდა. მართალია, ის არჩეული მერი იყო, მაგრამ სააკაშვილს რომ მოესურვებინა, თბილისის საკრებულო უმალ იმპიჩმენტს მოუწყობდა და მამუკა ახვლედიანსაც ზედ მიაყოლებდა.** გეგმა ასეთი იყო — უგულავა 2010 წლის არჩევნებამდე მიატანდა, მაგრამ მანამდე უნდა დაეჭირათ მამუკა ახვლედიანი, რომელიც ე. წ. უკანონოდ მითვისებული მიწების ლეგალიზაციის კომისიის თავმჯდომარე იყო. მის დროს ათასობით ჰექტარი მიწა დაკანონდა უკანონოდ, არასამართლებრივად და დაჭერის მიზეზი ეს უნდა გამხდარიყო. დასაჭერთა სიაში იყო ამ კომისიაში ახვლედიანის მოადგილე ხაჭაპურიძე. ასევე, უნდა დაეჭირათ მერიის რამდენიმე სამსახურის უფროსი, სატენდერო კომისიების თავმჯდომარეები და წევრები, თბილისის რამდენიმე რაიონის გამგებელი, მათი მოადგილეები, გამგეობის მაღალჩინოსნები. მოკლედ, უგულავას მთელ კლანს ციხეში ჩასვამდნენ, მის რეიტინგს ძირს დასცემდნენ, მას კი მერის არჩევით ვადას დაასრულებინებდნენ და პოლიტიკიდან საერთოდ გაუშვებდნენ. ვინ დაიკავებდა თბილისის მერის სავარძელს, ვერ მოგახსენებთ, მაგრამ ლიბერალთა სახელისუფლო ფრთის ფორმალური ლიდერი კახა ლომაია გახდებოდა. ეს — რაც შეეხება უგულავას მოცილების საბაბს, რეალური მიზეზი კი სულ სხვა იყო.

**გიგა ბოკერიამ დირექტივა, უგულავა მოეცილებინა, იმხანად გავლენიანი ამერიკელი რესპუბლიკელებისგან მიიღო — მაკკეინი და ლიბერმანი წინააღმდეგნი იყვნენ, რომ მათ ფრთებქვეშ შეყუჟული ქართველი ულტრალიბერალების თუნდაც ფორმალური ლიდერი უგულავა ყოფილიყო.** მათი კანდიდატურა იყო კახა ლომაია, რომლის საწინააღმდეგო ბოკერიას არაფერი ჰქონდა. წყაროს ინფორმაციით, მაკკეინი კახა ლომაიას ასე ახასიათებდა: **„ცივსისხლიანი და უემოციოა, როგორც თვით ეშმაკი“.** ჰოდა, სწორედ ეს ეშმაკი უნდა გამხდარიყო ჯერ პრემიერ-მინისტრი და მერე, ალბათ, კიდევ დიდხანს უნდა დარჩენილიყო ხელისუფლებაში ქვეყნის მეორე ან მესამე პირად.

**„თავისუფლების ინსტიტუტის“ ამერიკელი ლობისტები მოხიბლულნი იყვნენ კახა ლომაიას იმ შეუპოვრობითა და ძალისხმევით, რომელიც მან ოპოზიციასთან ბრძოლაში გამოიჩინა, იმ წვლილით, რაც მან შეიტანა ბადრი პატარკაციშვილის დამარცხებაში, 2007 წლის 7 ნოემბრის აქციის დარბევასა და „ტელე-იმედში“ სპეცნაზის შეჭრის საქმეში.** აღსანიშნავია, რომ ლომაიამ მხარი დაუჭირა „იმედის“ დარბევას, რისი ინიციატორიც თავის დროზე გიგა ბოკერია და ლევან რამიშვილი იყვნენ და რაზეც ნებართვა ხელისუფლებას ისევ რესპუბლიკელებმა მისცეს — იმავე მაკკეინმა, დიკ ჩეინიმ და რიჩარდ ჰოლბრუკმა. ლომაია ბრწყინვალედ ასრულებდა ამერიკელთა ნებისმიერ დავალებას. **მკითხველს ემახსოვრება, განათლების მინისტრი ლომაია, არაერთ პოლიტიკურ თოქ-შოუში იცავდა სახელისუფლო ინტერესებს ისეთ სფეროებშიც კი, რომლებიც მისი კომპეტენციისგან ძალიან შორს იდგა და, წესით, მის ნაცვლად ძალოვანი უწყებების მესვეურთ თუ დიპლომატებს უნდა ელაპარაკათ.**

2008 წლის აგვისტოს ომმა ცივი წყალი გადაასხა ამერიკელთა გეგმას: კახა ლომაიას ჯერ ისედაც რა რეიტინგი ჰქონდა და ხალხმა სასაცილოდ აიგდო: 2008 წლის ომის პერიოდში მას რუსეთის 58-ე არმიის გენერალ ბორისოვის მძღოლს ეძახდნენ. მართალია, სახელისუფლო მედია ბევრს ეცადა ლომაიას გათეთრებას, მაგრამ არაფერი გამოუვიდა — ლომაია გაეროში გაამწესეს ელჩად.

დღეს კი „თავისუფლების ინსტიტუტის“ ლიდერები, ანუ ამერიკელ ლიბერალთა მარიონეტები ცდილობენ, ლომაია ნაფტალინიდან ამოიღონ. ვერ გეტყვით, რამდენად კარგადაა შენახული ლომაია, მაგრამ მისი პოლიტიკური აქტიურობისა არაფერი გვსმენია. ახლა ისიც ცხადი ხდება, თუ რატომ გაუშვეს ელჩად ლომაია გაეროში, ნიუ იორკში — რიგით ეშმაკს, ალბათ, თვით ლუციფერობისთვის ამზადებენ ამერიკელები.

**გიგა ბოკერიამ, ჩვენი ინფორმაციით, უკვე დაარწმუნა მიხეილ სააკაშვილი, რომ კახა ლომაია დააბრუნოს თბილისში და რაიმე ღირებული პოსტი უბოძოს. მართალია, ლომაია ვერაფერიშვილი უშიშროების საბჭოს მდივანი გამოდგა, 2008 წლის აგვისტოს ომი და ელვისებური მარცხი დიდწილად მის კისერზეა, მაგრამ ბოკერიას აქვს არგუმენტები — ის დაუნდობელია, ცივსისხლიანი, არ ერიდება არავის და არაფერს, სძაგს მთელი ოპოზიცია და, ავტომატი რომ მისცე, წარბშეუხრელად დაცხრილავს ყველას, ვინც კი წინ დაუდგება.**

შესაძლოა, სააკაშვილი-ბოკერიას პოზიციათა თანხვედრა იმანაც განაპირობა, რომ კახა ლომაიას ძმა ბიძინა ივანიშვილის ერთ-ერთ ბიზნესსტრუქტურას ხელმძღვანელობს რუსეთში. ივანიშვილი მასზე ამბობს: **„ლომაიას ძმა დღემდე მუშაობს ჩემს სტრუქტურებში რუსეთში და არის ძალიან წესიერი კაცი, მე ასე ვთვლი... საკუთარი ძმის გამო თვითონაც წითლდება ხოლმე, როცა მხვდება“** („ასავალ-დასავალი“, 6-12 თებერვალი, 2012 წ.). **ვერაგული ჩანაფიქრია — ლომაიას საკუთარ ძმას დაუპირისპირებენ. არ ვიცი, რა აქვთ გეგმაში სააკაშვილსა და ბოკერიას, მაგრამ მათგან კარგს არაფერს უნდა ველოდოთ.**

მიხეილ სააკაშვილის ამერიკაში ბოლო ვიზიტისას, როცა ის ბარაკ ობამას შეხვდა, ამერიკელმა რესპუბლიკელებმა კახა ლომაიას სიტყვა შეაწიეს. სააკაშვილი თბილისში დაბრუნდა თუ არა, გიგა ბოკერიამ შესთავაზა ლომაიას დაბრუნება. ცხადია, სააკაშვილი მიხვდა, რომ წინააღმდეგობას აზრი არ ჰქონდა, ბოკერია ამერიკელი ლობისტების მეშვეობით მაინც გაიტანდა თავისას: სააკაშვილს ლომაიას გულშემატკივარი არაერთი კონგრესმენი, სენატორი და სხვა გავლენიანი პოლიტიკოსი დაურეკავდა და აიძულებდა ლომაიას თბილისში დაბრუნებას. აი, ასეთია დღემდე მიჩქმალული ისტორია, თუ როგორ უპირებდნენ გიგა ბოკერია და მიხეილ სააკაშვილი უგულავას პოლიტიკურ გვამად გადაქცევას, ხოლო ახვლედიანს — დაჭერას.

**პოლიტიკური მოძრაობა „თეთრების“ ლიდერ თემურ შაშიაშვილს დიდად არ გაჰკვირვებია კახა ლომაიას თბილისში, ცენტრალურ ხელისუფლებაში შესაძლო დაბრუნების ამბავი.**

**— ბატონო თემურ, თქვენი აზრით, რისთვის შეიძლება დასჭირდეს ხელისუფლებას კახა ლომაია თბილისში?**

— ეგ კაცი არის საქართველოს მტერი, რაც კახა ლომაიამ დამართა საქართველოს განათლების სისტემას, ვერც ერთი გარეშე მტერი ვერ გააკეთებდა. ჩემი აზრით, „თავისუფლების ინსტიტუტი“ — ქვეყნის დამაქცევართა ეს საბუდარი, შესუსტდა და ლომაიას, ალბათ, ამ ინსტიტუტის, იქიდან ხელისუფლებაში მოსული გუნდის გასაძლიერებლად გამოიყენებენ. ლომაია მაკკეინისა და სხვა ამერიკელ ლიბერტარიანელთა ფავორიტია, „თავისუფლების ინსტიტუტი“ კი ბოლო დროს აშკარად მოისუსტებს, გასავალი აღარ აქვს საქართველოში ათასგვარად შეფუთულ მაგათ ანტიქართულ იდეებს. ალბათ, **ლომაიას, უკან დიდ ფულს მოადევნებენ, შექმნიან ახალ არასამთავრობოებს, რომელთაც ლამაზლამაზი სახელები დაერქმევა, მაგრამ „თავისუფლების ინსტიტუტის“ საქმიანობას — ქართული ცნობიერების ნგრევასა და ახალი ქართული მენტალიტეტის ჩამოყალიბებას გააგრძელებენ.**

ლომაიას შესაძლო ჩამოყვანის მთავარ მიზეზზე უკვე მოგახსენეთ. ეგ კაცი ანტიქართული საქმეების კეთებაში გამოიწრთო და იმავეს გააგრძელებს, ვინაიდან მისი ძმა ივანიშვილთან მნიშვნელოვან თანამდებობაზეა. ძმა ძმას რომ დაუპირისპირონ, არც ეგ გამიკვირდება ამათგან.

**ლევან ჯავახიშვილი**

**შარშან მანგლისელებმა თურმე პეტიციით მიმართეს დავით ბეჟუაშვილს: მთელი მანგლისი ხომ იყიდე, ალალი იყოს! მადლი ჰქენი, გაზი მაინც გამოიყვანე დაბაში, ჩვენს სახლებში კი როგორმე თავად შევიყვანთო. დავით ბეჟუაშვილმა ხალხთან შეხვედრაც არ იკადრა, მოურავის (ესეც ჰყავთ!) პირით შეუთვლია — დენის ფულს ვერ იხდით და გაზისას გადაიხდითო? თან დამოძღვრა — შეშა ბლომად არის ტყეში, მოჭერით, მოიტანეთ და საჭმელი ისე გაამზადეთო.**

ნაც-ძარცვა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ძმებმა ბეჟუაშვილებმა კურორტი მანგლისი «აითვისეს»

**„ნაცმოძრაობის" ლიდერები ბიუჯეტისა და ხალხის ხარჯზე ნაშოვნი ფულით ყველაფერს ყიდულობენ. მალე საქართველოში ფეხის დასადგმელი ადგილი აღარ დარჩება. მიხეილ სააკაშვილი, გიგი უგულავა, ნიკა გილაური და „ნაცმოძრაობის" სხვა ლიდერები დღენიადაგ მიკრო და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე ლაპარაკობენ, მაგრამ იმაზე კრინტსაც კი არ ძრავენ, რომ ყველაფერი მიწებიან-ტყეებიანად გაყიდულია ან მათ ფავორიტ ქართველ ბიზნესმენებზე, ან ჩინელებზე, არაბებზე, თურქებსა და სომხებზე, ან თავად დაეპატრონენ. ბიზნესის კეთება კი ჰაერში შეუძლებელია. ერთი შანსიღა დარჩა: რადგან მიწაზე აღარ გვაყენებენ, ამ ქვეყანას მეორე სართული უნდა დავაშენოთ და იქ გადავბარგდეთ, სანამ სააკაშვილის რეჟიმი მიწიქვეშეთში გვიკრავდეს თავს.**



## გიორგი გუგავა:

## რაც «ნაციონალმა» ოლიგარქებმა ხალხს უკანონოდ წაართვეს, ყველაფერი უნდა დააბრუნონ

ნაცბოსების გაუმაძღრობის თვალსაჩინო მაგალითი ძმები — გელა და დავით ბეჟუაშვილები არიან. მათ სხვადასხვა სახის დიდ ბიზნესში სოლიდური წილები აქვთ, მაგრამ მადას ვერ იოკებენ და მთელი მანგლისი იყიდეს, თუ რამ ღირებული იყო, ჩალის ფასად ჩაიგდეს ხელთ.

საბჭოთა კავშირის დროს საკავშირო მნიშვნელობის კურორტი მანგლისი ტუბერკულოზით დაავადებული ბავშვებისთვის იყო რეკომენდებული და, ცხადია, პრევენციის მიზნით, აქ არა მარტო დაავადებულები ისვენებდნენ საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან. **სააკაშილი დღენიადაგ ტურიზმის განვითარებაზე ლაპარაკობს, თბილისიდან 60 კილომეტრში კი ასეთი უნიკალური კურორტია საუცხოო ბუნებით, მდინარით, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძეგლებით... სამკურნალო ტურიზმის განსავითარებლად იდეალური პირობებით, რომელიც ბეჟუაშვილების სათარეშოდ იქცა — ძმებმა ყველაფერი იყიდეს და ერთი თეთრის ინვესტიცია არ განუხორციელებიათ.**

ახლა — რაც შეეხება დავით და გელა ბეჟუაშვილების მანგლისურ ქონებას (ინფორმაცია, რომელსაც გთავაზობთ, თავად მანგლისელებმა მოგვაწოდეს). მათი მთავარი შენაძენი დასასვენებელ-გასართობი პარკია, ე. წ. დიდი როშჩა, რომელიც 13 ჰექტარს მოიცავს. 90-იან წლებში ეს პარკი გავერანდა, ზოგი კონსტრუქცია დაინგრა, ზოგი ხალხმა დაშალა და შინ წაიღო ან ჯართში ჩააბარა. **ბეჟუაშვილებმა მხოლოდ მცირე ინვესტიცია გაიმეტეს — ატრაქციონები დადგეს, რესტორნები, კაფე, სახინკლე ააშენეს, რომლებიც ზაფხულობით სეზონურად მუშაობს. საინტერესო ის არის, რომ ეს 14 ჰექტარი ბეჟუაშვილებს 1 მილიონ 120 ათასი ლარი დაუჯდათ, ანუ 1 კვ.მ. მიწის ფართობი 8 ლარად შეიძინეს. არადა, მანგლისში, ყველაზე პრესტიჟულ ადგილას, ამ პარკის მიმდებარედ 1 კვ.მ მიწის ფართობის ღირებულება 50-60 დოლარია.** ამდენად, **ბეჟუაშვილების მიერ მილიონ 112 ათას ლარად შეძენილი მიწის რეალური ფასი მინიმუმ 7 მილიონი დოლარია, ანუ 11 მილიონ 690 ათასი ლარი. გამოდის, სულ მცირე 10 მილიონ 570 ათასი ლარის ქონება ხელისუფლებამ ბეჟუაშვილებს აჩუქა.**

თავის დროზე მანგლისში ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ბაზა იყო განთავსებული. საბჭოელი ოფიცრებისთვის აშენებული მცირე სამხედრო ქალაქი და მათი შვილებისთვის მოწყობილი სპეციალური ბანაკი 30 ჰექტარზე იყო გადაჭიმული. 90-იან წლებში ეს ბანაკიც მიწასთან გასწორდა, თუმცა საუცხოო ფიჭვნარი დარჩა. ბეჟუაშვილებმა აქაც იხარბეს, ამ 30 ჰექტრიდან გოჯი არავის დაუთმეს და თანაც **1 კვ. მეტრი ფართობი 6 ლარად (რეალური ფასი — 50 დოლარი), ანუ მთელი ეს უზარმაზარი ტერიტორია 1 მილიონ 800 ათას ლარად შეიძინეს, ნაცვლად 15 მილიონი დოლარისა (ანუ 25 მილიონ 50 ათასი ლარისა).** ყოფილი ბანაკის ტერიტორია კი დიდი გალავნით შემოღობეს, ააშენეს სასტუმრო, კორტები, საცურაო აუზი, საბილიარდე, რესტორანი, ბარი, კაფეები...

ნებიერა ძმებმა მანგლისში კიდევ ერთი ობიექტი, ყოფილი ბავშვთა სანატორიუმი იყიდეს. **6,5 ჰექტარი ტერიტორია თითქმის მუქთად ჩაიგდეს ხელში — 1 კვ. მეტრში 6 ლარი და 70 თეთრი გადაიხადეს.** მოდით, ვნახოთ, რა იხეირეს ამ სანატორიუმით ძმებმა. ცხადია, მდებარეობის გამო (მანგლისის გული და ცენტრია), აქაც 50 დოლარზე ნაკლები არ ღირს მიწა. **ბეჟუაშვილებმა ამ სანატორიუმში 435 ათას 500 ლარი გადაიხადეს. რეალურად კი ეს სანატორიუმი 3 მილიონ 250 ათასი დოლარი, ანუ 5 მილიონ 427 ათას 500 ლარი ღირს.** აქ უკვე 4 მილიონ 992 ათასი ლარით აზარალეს სახელმწიფო ძმებმა. აღსანიშნავია, რომ ეს სანატორიუმი თავის დროზე მთელი წლის მანძილზე უწყვეტად მუშაობდა. **ტურიზმისა და სამკურნალო დაწესებულებების ტრფიალ ჩვენს პრეზიდენტს აქეთ არც გამოუხედავს, მისი კლანის წევრებმა კი აქაურობა სხვას არ დაანებეს, იყიდეს და დააკონსერვეს.**

ძმებმა ასევე დააკონსერვეს მანგლისსა და სოფელ ალგეთს შორის მდებარე ბავშვთა სანატორიუმი, რომელიც სეზონზე ერთდროულად 150 ბავშვს მასპინძლობდა. **მისი რეალური ფასი მინიმუმ 3,5 მილიონი ლარია, ბეჟუაშვილებმა კი 11 ათას ლარად იყიდეს.** მოკლედ, ბეჟუაშვილებმა იყიდეს მანგლისის მთელი საკურორტო ინფრასტრუქტურა და პოტენციალი, რითაც კურორტის განვითარება შეაჩერეს.

ბეჟუაშვილების ქონების ნუსხაში მანგლისის კიდევ ერთი ბავშვთა სანატორიუმი და ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის მიმდებარედ რამდენიმე ჰექტარი მიწაა.

ხოლო ყოფილი სასაკლაოს შენობა, რძის ქარხანა, რომელიც ყველა სახის რძის პროდუქტს, ერთ დროს ცნობილ მანგლისურ ყველსაც აწარმოებდა, კინოთეატრი, 3-სართულიანი უნივერმაღი თავისი საწყობებითა და მიმდებარე ტერიტორიით ბეჟუაშვილების კლანმა იყიდა. მანგლისსა და თეთრიწყაროს სოფლებში ბეჟუაშვილებმა ასობით ჰექტარი სათიბი მიწაც იყიდეს და იჯარით აქვთ გაცემული. მანგლისში ამბობენ, რომ **ძმების მორიგი სამიზნე მანგლისის რუსული სკოლის შენობაა, რომელიც შარშან დაიხურა. ამ სკოლის დირექტორი წლების მანძილზე მათი დედა, სვეტლანა ბეჟუაშვილი იყო.**

ეს მხოლოდ ნაწილია ძმების მანგლისური ქონებისა. მათ გარემოცვასთან დაახლოებული ადამიანები ამბობენ, რომ მანგლისის საკურორტო ობიექტები ბეჟუაშვილებისთვის სარეზერვო ბიზნესია.

**ძმებმა ლამის მთელი მანგლისი იყიდეს, დაბის მცხოვრებლებს კი მათგან კარგი მხოლოდ ის ახსოვთ, რომ გაზულუქებულმა ბეჟუაშვილებმა სოფელ თონეთიდან მანგლისამდე, დაახლოებით 3-კილომეტრიან გზის მონაკვეთზე ასფალტი დააგეს, 2006 წელს ასევე მოაასფალტეს მანგლისის ცენტრალური გზა. არადა, როგორც მთელ ქვეყანას, მანგლისელებსაც უჭირთ, ბევრ ოჯახს პურის ფული ენატრება. ბეჟუაშვილებმა კი, რომლებმაც მთელი საკურორტო საშუალებები ჩაიგდეს ხელში, ადგილობრივებს დასაქმების ყოველგვარი შანსი მოუსპეს.**

დღესდღეობით მანგლისში არ არის გაზი, მხოლოდ ელექტროენერგიაა. დენი კი, მოგეხსენებათ, გაზზე ძვირია. ზამთარში აქ შეშით თბება ხალხი. ზაფხულში კი, იმის გამო, რომ მოსახლეობის 80 პროცენტი დაუსაქმებელია და რაკი დახარჯული ელექტროენერგიის საფასურს ვერ გადაიხდის, საჭმელს შეშის ღუმელზე ამზადებენ, შედეგად კი, მანგლისის მიმდებარე ტყეები უმოწყალოდ იჩეხება. შარშან მანგლისელებმა თურმე პეტიციით მიმართეს დავით ბეჟუაშვილს: მთელი მანგლისი ხომ იყიდე, ალალი იყოს, მადლი ჰქენი, გაზი მაინც გამოიყვანე დაბაში, ჩვენს სახლებში კი როგორმე თავად შევიყვანთო. დავით ბეჟუაშვილმა ხალხთან შეხვედრაც არ იკადრა, მოურავის (ესეც ჰყავთ!) პირით შეუთვლია — დენის ფულს ვერ იხდით და გაზისას გადაიხდითო? თან დამოძღვრა — შეშა ბლომად არის ტყეში, მოჭერით, მოიტანეთ და საჭმელი ისე გაამზადეთო. „გონივრული" რჩევაა. მანგლისელები კვლავაც დაუნდობლად ჩეხენ ტყეს. მათ რა უნდა მოჰკითხო, როცა სახელმწიფო მოხელე ძმებს ფეხებზე ჰკიდიათ ხალხიც, ეკოსისტემაც და მშობლიური კურორტის მომავალიც?!

**ლეიბორისტული პარტიის ლიდერებს გამოწვლილვით აქვთ შესწავლილი არა მარტო ბეჟუაშვილების, არამედ ნაცკლანის მიერ კრიმინალური გზით ნაშოვნი მილიონები და ბიზნესები. ამიტომ „საქართველო და მსოფლიო" კომენტარისთვის გიორგი გუგავას დაუკავშირდა.**

**— ბატონო გიორგი, ძმებმა — გელა და დათო ბეჟუაშვილებმა ლამის მთელი კურორტი მანგლისი შეისყიდეს, თან ძალზე იაფად. რ იცით მათი „მშობლიური ბიზნესის" თაობაზე?**

— ვიცი, რომ მთელი მანგლისის საკურორტო ინფრასტრუქტურა, ამ კურორტის საუკეთესო მიწები ბეჟუაშვილებმა უსინდისოდ ჩაიგდეს ხელთ, თან ჩალის ფასად. **ბეჟუაშვილები მთელ ქვეყანას არიან მოდებული. მათია საერთაშორისო ენერგეტიკული კომპანია, რომლის მეშვეობითაც აკონტროლებენ ქვანახშირის, მარგანეცის ბიზნესს, აქვთ რამდენიმე ჰესი და სხვა... უამრავი ბიზნესი. გელა ბეჟუაშვილი სააკაშვილის კურსელია და ამიტომ ძმებს ყველაფრის უფლებას აძლევს. სანაცვლოდ ძმები „ნაციონალთა" საარჩევნო კამპანიებს, ამათ უაზრო პროექტებს და მიშას ხუშტურებს აფინანსებენ.** მარტო ეგ ბეჟუაშვილები რომ იყვნენ, რაღა გვიჭირდა? კეზერაშვილი, უგულავა, ჩოჩელი, გეგენავა და სხვები ხალხის გალატაკების ხარჯზე, კრიმინალური გზით გამდიდრდნენ და ახლაც შოულობენ მილიონებს.

**— ბეჟუაშვილებმა მანგლისის მთელი საკურორტო ინფრასტრუქტურა იყიდეს, დააკონსერვეს, ხალხი კი უმუშევარია, ლუკმაპურის ფულს სხვაგან დაეძებს.**

— ეგ მიშას კარის ბიზნესმენთა წესია. მთავარია, თვითონ ჭამონ და სხვა არ ადარდებთ. უხარიათ, ხალხი რომ მშიერია, რადგან გაჭირვებულ ხალხზე უფრო კარგად ძალადობენ, მაგრამ ამათ პარპაშსაც მოეღება ბოლო და, რაც მიიტაცეს, იმას უკან დააბრუნებინებენ.

**— როგორ უნდა მოხდეს ამათი ბიზნესკლანისგან უკანონოდ მითვისებული ქონების ხალხისა და სახელმწიფოსთვის დაბრუნება?**

— ძალიან მარტივად. ესენი უნდა გასამართლდნენ, რაც უკანონოდ აქვთ სახელმწიფოსგან „შეძენილი", უნდა ჩამოერთვათ სამართლებრივი გზით, დაუბრუნდეს სახელმწიფოს და მერე ნორმალური ხელისუფლება, სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების გარდა, პატიოსანი კონკურენციის გზით, ხელახლა გაყიდის იმას, რაც კანონით პრივატიზებას დაექვემდებარება.

**— მაგრამ მათ არა მარტო სახელმწიფო გაძარცვეს და გაატყავეს, ხალხსაც ბევრი წაართვეს: ზოგს — ბიზნესი, ზოგს — სახლები და მიწის ნაკვეთები.**

— ვიცი, კაცო, მაგის მეტი რა ვიცი! ცხადია, რაც „ნაციონალმა" ოლიგარქებმა ხალხს უკანონოდ წაართვეს, ყველაფერი უნდა დააბრუნონ, დამნაშავეები კი უნდა დაისაჯონ კანონის სრული დაცვით, მხოლოდ სამართლებრივი გზით.

**ჯაბა ლეონიძე**

საქართველო და მსოფლიო
რეაქცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოს ხელისუფლება გახდა ინსტრუმენტი მესამე ძალის ხელში ისე, რომ ეს ვერ გაიაზრა... მე აღმოვჩნდი ძალიან დიდი დილემის წინაშე, რადგან არ მაქვს უფლება, ჩავერთო რაიმე სახის განმარტებებში ამ საკითხის გარშემო, რათა მათ წისქვილზე არ დავასხა წყალი, ვისაც სურს გააჩაღოს კონფლიქტი,კონფლიქტი საპატრიარქოს, საქართველოს და ისრაელის ხელისუფლებას შორის.**

## იერუსალიმის პატრიარქი თეოფილე III:

# საქართველოს ხელისუფლება «მესამე ძალის» ინსტრუმენტია

**იერუსალიმის პატრიარქმა თეოფილე III-მ ინტერნეტ-გამოცემა IzRus-ისთვის 7 მარტს მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში იერუსალიმის ჯვრის მონასტერსა და საქართველოს ხელისუფლების ბოლოდროინდელ განცხადებებზე ისაუბრა. „საქართველო და მსოფლიო“ ამ ინტერვიუს თარგმანს უცვლელად გთავაზობთ.**



**— თქვენო უწმინდესობავ, თქვენთვის როდის გახდა ცნობილი საქართველოს ოფიციალური პირების მონასტერთან დაკავშირებული განცხადებების თაობაზე?**

— პრაქტიკულად, დაუყოვნებლივ — მას შემდეგ, რაც სააკაშვილი გორში სიტყვით გამოვიდა. ჩვენ საქართველოს ეკლესიასთან მჭიდრო ურთიერთობა გვაკავშირებს. ისინი ჩვენი მრწამსისმიერი ძმები არიან, რომლებთანაც ასეულობით წლის ისტორია გვაკავშირებს. ამა წლის თებერვალში კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ისრაელში ჩვენი მოწვევით იმყოფებოდა. ასე რომ, ჩვენ ყველა ამ განცხადებას ყურადღება მივაქციეთ. აი, აქ მე მაქვს საქაღალდე (გვიჩვენებს წითელი ფერის საქაღალდეს) ქართველი მოღვაწეების გამოსვლების თარგმანით. მე წარმოდგენაც არ მაქვს, რა მოლაპარაკებებზე საუბრობენ სააკაშვილი, კალანდაძე, რურუა.

**— ჩვენ, ჩვენის მხრივ, რამდენიმეჯერ მივმართეთ ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს, ამ უწყების ცენტრალური აპარატის პრესსამსახურს და ასევე მინისტრის პრესსამსახურს. იქაც ასევე არავინ არაფერი იცის, თუმცა დაგვარწმუნეს, რომ სხვის ქონებაზე მოლაპარაკებებს არ გამართავენ.**

— ჩვენც იგივე მოვიმოქმედეთ. რამდენიმეჯერ მივმართეთ ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს და სხვა ინსტანციებს, რომელთა პასუხი წინასწარ ვიცოდით. **ჩვენ ისრაელის ხელისუფლებასთან მშვენიერი ურთიერთობა გვაქვს. ჩვენ არასოდეს განგვიცდია ზეწოლა მათი მხრიდან, მით უფრო, მიწის საკუთრების საკითხებში. იერუსალიმში საპატრიარქოს მიწების დიდი ნაწილი, იმ ტერიტორიის ჩათვლით, სადაც ქნესეტი მდებარეობს, ხელისუფლებას გრძელვადიანი არენდით აქვს აღებული. კონფლიქტი ამ თემაზე არასოდეს გვქონია. რა თქმა უნდა, ხელისუფლებას არასოდეს უცდია, ვინმესთან ჩვენი მიწების გადაცემის განხილვა. ეს საგარეო საქმეთა სამინისტროში ამჯერადაც დაგვიდასტურეს. ქართული მხარის განცხადებებმა იქაც გაკვირვება გამოიწვია.**

**— თებერვალში ისრაელს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II და საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე სტუმრობდნენ. შეხვდით თუ არა მათ?**

— დიახ და წინასწარ ვუპასუხებ თქვენს შემდგომ შეკითხვას, **ჯვრის მონასტრის შესახებ არაფერი თქმულა. კათოლიკოს-პატრიარქი ჩამოვიდა აქ როგორც მომლოცველი, ჩვენი მოწვევით. ჩვენ ორგანიზება გავუწიეთ მისი რანგის და მოძმე ეკლესიის ლიდერის დონის შესაფერის შეხვედრას. დიდხანს ვესაუბრეთ მთელ რიგ საკითხებზე, მაგრამ მონასტერი არავის უხსენებია. საპატრიარქომ ასევე მიიღო ბატონი ვაშაძე, როგორც ქართველი ხალხის წარმომადგენელი, რომლის მიმართ ჩვენი პატივისცემა უსაზღვროა. ჩვენ ორგანიზება გავუწიეთ მის მიერ წმინდა ადგილების მონახულებას და მრავალ თემაზე ვესაუბრეთ, მაგრამ, ამ შემთხვევაშიც, ჯვრის მონასტერზე არაფერი თქმულა.** ასევე აღვნიშნავ, რომ საქართველოს ელჩი არჩილ კეკელია თან ახლდა ბატონ ვაშაძეს, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ პირადად გადაუხადა მადლობა საპატრიარქოს, მისი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელის მიღებისთვის. ალბათ, თქვენც ხვდებით, რომ არც მას უხსენებია „მოლაპარაკებები“ მონასტრის თობაზე.

**— დიახ, ჩვენც ვთხოვეთ ელჩ კეკელიას, კომენტარი გაეკეთებინა ამ სიტუაციასთან დაკავშირებით, მაგრამ უარი გვითხრა. რით შეიძლება აიხსნას ოფიციალური თბილისის ასეთი უცნაური ქცევა?**

— ყოველ ერს ახასიათებს სწრაფვა თავისი წარსულის, თავისი ფესვების მიმართ. **პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადებამდე არცთუ დიდი ხნით ადრე ჩვენ შუამავლების მეშვეობით გვიკავშირდებოდნენ ქართველი ბიზნესმენები, რომლებიც მონასტრის გამოსყიდვას გვთავაზობდნენ, მაგრამ ეს შეუძლებელია. არ მინდა არასწორად გამიგოთ, მაგრამ როლი, რომელიც ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ რეგიონსა და იერუსალიმში შეასრულა, ძალზე დიდია. ჯვრის მონასტერი, რომელიც ქართველებმა დააფუძნეს, მოქმედებდა როგორც ერთ-ერთი საგანმანათლებლო ცენტრი. ქართული ეკლესიის აქაურ წარმომადგენლებს განსხვავებული ქრისტიანული კონფესიების დავებში ძალიან კონსტრუქციული პოზიცია ეკავათ და ყოველთვის კონსენსუსის მიღწევას ცდილობდნენ. რა თქმა უნდა, ეს ადგილი, რომელიც დაკავშირებულია დიდი პოეტის, შოთა რუსთაველის სახელთან, შეუძლებელია არ იყოს ძვირფასი ქართველი ერისთვის. საბერძნეთის საპატრიარქომ მონასტერი 300 წლის წინ შეიძინა, როდესაც მისი მდგომარეობა, სამწუხაროდ, გაუარესდა. ჩვენ ვეცადეთ ამ ადგილის სული შეგვენარჩუნებინა, მისი განვითარება მოგვეხდინა.** იქ არის ძველი წიგნებისა და მანუსკრიპტების დიდი ბიბლიოთეკა, მოქმედებს ცნობილი სემინარია, რომელიც ჯერ კიდევ XIX საუკუნის შუა წლებში დაარსდა და რომელმაც გამოუშვა მართლმადიდებლური სამყაროს ყველაზე ცნობილი, კერძოდ კი, მართლმადიდებლობის ისტორიის სპეციალისტები. ამ სემინარიის სახელი ბოსტონის სასულიერო სკოლას ეწოდა. ბუნებრივია, საქართველოს ხელისუფლებას მოუნდებოდა მონასტრის, როგორც წმინდა მიწაზე საკუთარი ყოფნის სიმბოლოს, დაბრუნება, რომელსაც საფუძველი დაახლოებით 16 საუკუნის წინ ჩაეყარა.

**— ხომ არ გეჩვენებათ, რომ ეს მონასტრის დაბრუნების საკმაოდ უცნაური გზაა? გაუგებარია, ვისთან წარმოებს მოლაპარაკებები. კეთდება უცნაური განცხადებები, რომლებსაც არავინ ადასტურებს. გაქვთ თუ არა რაიმე ახსნა იმისა, რაც ხდება?**

— საქმე ისაა, რომ, სამწუხაროდ, **საქართველოს ხელისუფლება გახდა ინსტრუმენტი მესამე ძალის ხელში ისე, რომ ეს ვერ გაიაზრა... მე აღმოვჩნდი ძალიან დიდი დილემის წინაშე, რადგან არ მაქვს უფლება, ჩავერთო რაიმე სახის განმარტებებში ამ საკითხის გარშემო, რათა მათ წისქვილზე არ დავასხა წყალი, ვისაც სურს, გააჩაღოს კონფლიქტი, კონფლიქტი საპატრიარქოს, საქართველოს და ისრაელის ხელისუფლებას შორის.** ეს ცარიელ ადგილზე სკანდალის დაწყების პირველი მცდელობა ნამდვილად არ არის. ეს პერიოდულად ხდება, ხშირად დღევანდელის მსგავსი ძნელად გასაგები საბაბის საფუძველზე. არ ვიტყვი, ვისზეა საუბარი, ჩვენ არავისთან კონფლიქტი არ გვსურს, მაგრამ ამ ძალებს მონასტრის დაბრუნება ან საქართველოსთვის დახმარების გაწევა სულაც არ აინტერესებთ. ისინი მხარეების მტკივნეულ წერტილებს ეძებენ, რათა მათი გამოყენებით წმინდა ქალაქში არსებული მშვიდობა და ბალანსი დაარღვიონ. **მინდა ხაზგასმით ვთქვა, მაქსიმალურად ვეცდები, რომ არავითარი სკანდალი არ მოხდეს და ჩვენი ეკლესიის ურთიერთობას დიდ, მოძმე ქართველ ერთან ჩრდილი არ მიადგეს.** სამწუხაროდ, მეტს ვერაფერს ვიტყვი.

**— თქვენო უწმინდესობავ, გეგმავთ თუ არა საქართველოში ჩასვლას?**

— დიახ, მე მივიღე მოწვევა კათოლიკოს-პატრიარქისგან. იმედი მაქვს, ახლო მომავალში ამის განხორციელებას შევძლებ, მაგრამ ახლა ზუსტ თარიღს ვერ დავასახელებ.

# ამერიკელმა სამხედრომ 16 მშვიდობიანი ავღანელი დახვრიტა

**10 მარტს, ღამის 3 საათზე, ავღანეთის პროვინცია ყანდაღარში ამერიკელმა სამხედრომ მშვიდობიან მოსახლეობას ცეცხლი გაუხსნა. დაიღუპა 16 ადამიანი, მათ შორის — 9 ბავშვი და 3 ქალი. ამერიკელი სამხედრო ბაზაზე დაბრუნების შემდეგ დააპატიმრეს. მომხდარის მიზეზები უცნობია.**



ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბარაკ ობამა მეორე დღეს ტელეფონით დაუკავშირდა თავის ავღანელ კოლეგა ჰამიდ ყარზაის, თანაგრძნობა გამოხატა და აღნიშნა, რომ „შეძრული და დამწუხრებულია მომხდარის გამო“. პრეზიდენტმა ყარზაიმ მასობრივი მკვლელობა შეაფასა, როგორც წინასწარ დაგეგმილი ძალადობის აქტი და შეერთებული შტატებისგან ახსნა-განმარტება მოითხოვა.

**ავღანელებს არ სჯერათ ოფიციალური ვერსიის, რომლის თანახმად მკვლელობა ერთმა სამხედრომ ჩაიდინა. მათ ეჭვს ისიც აძლიერებს, რომ ერთ სოფელში ადამიანების დახვრეტის შემდეგ მას მეორე სოფლამდე 20 კილომეტრი უნდა გაევლო, გარდა ამისა, დახვრეტილები დაწვეს კიდეც, რასაც ერთი ადამიანი ვერ მოახერხებდა. თვითმხილველები ამბობენ, რომ სროლა სხვადასხვა ადგილიდან ისმოდა.**

**უმეტესწილად მორმონები რესპუბლიკელები არიან. მათთან ისინი ახლოს დგანან როგორც იდეოლოგიურად, ასევე იმის გამოც, რომ მორმონთა შორის საკმაოდ ბევრი მსხვილი ბიზნესმენია.** მორმონები ხშირად იკავებენ ფინანსებთან დაკავშირებულ სამთავრობო თანამდებობებს. მაგალითად, რეიგანის ადმინისტრაციაში ხაზინადარი მორმონი ანჟელა ბეი ბიუკენენი იყო, ეიზენჰაუერის ადმინისტრაციაში კი — აივი ბეიკერ პრისტი. ნიქსონის ადმინისტრაციაში ხაზინის მდივანი დევიდ მეთიუ კენედი გახლდათ.

მართალია, **მორმონების ყველაზე მრავალრიცხოვანი თემი აშშ-შია და ის 6,1 მილიონ ადამიანს მოიცავს, მაგრამ მორმონთა უმეტესობა საზღვარგარეთ ცხოვრობს, აშშ-ში მცხოვრებ მორმონთა უმეტესობა კი მშობლიური შტატის — იუტას საზღვრებს გარეთ.**

**მორმონთა სიდიდით მეორე თემი მექსიკაშია და ის 1,2 მილიონ ადამიანს ითვლის.** უკანასკნელი დღის წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიის ქადაგების ამერიკულმა სპეციფიკამ განაპირობა ის, რომ მორმონების ყველაზე დიდი თემები ამერიკის კონტინენტზეა გადანაწილებული. **ბრაზილიაში ისინი 1,1 მილიონს აღწევენ, ჩილეში — 560 ათასს, პერუში — დაახლოებით ნახევარ მილიონს, არგენტინაში კი — 380 ათასს. ამერიკის კონტინენტის მიღმა უდიდესი მორმონული თემი ფილიპინებშია. ის 630 ათას ადამიანს აერთიანებს, ინგლისში 200 ათასი მორმონი ცხოვრობს, მთლიანად ევროპაში კი — ნახევარ მილიონზე მეტი. კანადაში მათი რიცხვი 200 ათასს უტოლდება.** უკანასკნელი დღის წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიის მონაცემებით, **რუსეთში ახლა 11 ათასზე მეტი მორმონი ცხოვრობს.** სექტების რუსი მკვლევარები აცხადებენ, რომ მათი ზემოქმედების ქვეშ 120 ათასამდე ადამიანი მოხვდა. მოსკოვში მორმონებს აღმოსავლეთევროპული შტაბბინა აქვთ.

**საქართველოში მორმონები 90-იან წლებში ჩამოვიდნენ. დღეისათვის ჩვენს ქვეყანაში მისიონერთა მცირე ჯგუფი მოქმედებს. თბილისის ერთ-ერთი ცნობილი სასტუმროს მფლობელები სწორედ მორმონები არიან.**

tatamo.livejournal.com

არაპოლიტკორექტული სიმართლე
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბორის ნიკოლაევსკი „დახურული მოხსენების“ კომენტარებში, რომლებიც ჟურნალ „ნიუ ლიდერში“ გამოქვეყნდა, წერს, რომ „მეგრელთა შეთქმულების“ შესახებ საქმე სწორედ იგნატიევის ინიციატივით იყო შეთითხნილი და აგორებული**




გროვერ ფერი

# 37 წლის გამოცანა

# ანტისტალინური უნამუსობა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-9 (139-147)

## „მეგრელთა საქმე“

ხრუშჩოვი: „ჭკუისსასწავლებელია, აგრეთვე, ვითომდა საქართველოში არსებული მეგრელთა ნაციონალისტური ორგანიზაციის საქმე. ამ საკითხზე, როგორც ცნობილია, მიღებულია სკკპ ცკ-ის 1951 წლის ნოემბერსა და 1952 წლის მარტის გადაწყვეტილებები. ეს დადგენილებები მიღებულია პოლიტბიუროში განხილვის გარეშე, სტალინი თვითონ კარნახობდა ამ გადაწყვეტილებებს, რომლებითაც პატიოსან კომუნისტებს ბრალად ედებათ უმძიმესი დანაშაულობანი. გაყალბებული მასალების საფუძველზე ამტკიცებენ, თითქოს საქართველოში არსებობს ნაციონალისტური ორგანიზაცია, რომელსაც მიზნად აქვს დასახული იმპერიალისტური სახელმწიფოების დახმარებით საბჭოთა ხელისუფლების ლიკვიდაცია ამ რესპუბლიკაში. ამის გამო დაპატიმრებული იყო საქართველოს პასუხისმგებელი პარტიული და საბჭოთა მუშაკების მთელი რიგი.

როგორც შემდეგ გაირკვა, ეს იყო ცილისწამება საქართველოს პარტიულ ორგანიზაციაზე“.

ერთადერთ კონკრეტულ ბრალდებად, რომელსაც აქ გამოყოფს ხრუშჩოვი, წარმოდგენილია, **თითქოს სტალინმა პირადად უკარნახა 1951 წლის ნოემბერსა და 1952 წლის მარტში მიღებული გადაწყვეტილებების ტექსტები.** საქმე კი სულ სხვაგვარად იყო.

1951 წლის 9 ნოემბერს პოლიტბიუროს მიერ მიღებული დადგენილება კომენტარებთან ერთად გამოქვეყნდა ერთ-ერთ სამეცნიერო კრებულში (იხ. Политбюро ВКП (Б) и Совет министров СССР. 1945-1953 წწ. გვ. 350-352). **რედაქტორებმა დააფიქსირეს სტალინის მიერ ჩასწორებული ყველა ფაქტი, რომლებიც ზოგ შემთხვევაში უკავშირდება ფორმულირების დაზუსტებას, სხვა შემთხვევაში — არბილებს თავდაპირველ, საკმაოდ მკვეთრ ბრალდებებს ნაციონალიზმში.** ეს და მეორე — 1952 წლის მარტის დადგენილებები მიღებულია პოლიტბიუროს სხდომებზე განხილვის შედეგად.

**ხრუშჩოვის ბრალდება, რომ ამ ყველაფერზე პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრება სტალინს, ლაყბობაა, ამასთან, — სრულიად უსაფუძვლო. დოკუმენტები ადასტურებს: საქმის გაჩენის ჭეშმარიტი მიზეზი იყო „ბრძოლა საქართველოს ხელმძღვანელობაში კლანურობის წინააღმდეგ“ და — სხვა არაფერი.**

1953 წლის 10 აპრილს, ანუ სტალინის გარდაცვალებიდან ერთი თვის თავზე, ცკ-ის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად სახელმწიფო უშიშროების ყოფილ მინისტრ იგნატიევს ბრალი ედებოდა დაპატიმრებულთა წამებასა და გამოძიების მასალების გაყალბებაში. 1953 წლის 1 აპრილს ბერიას მიერ პრეზიდიუმში გაგზავნილი წერილის მიხედვით, იგნატიევს ბრალად ედებოდა „ექიმების საქმის“ ფაბრიკაცია, ხოლო 5 აპრილს ცკ-ის წევრების გამოკითხვის საფუძველზე (მათ შორის, ხრუშჩოვის მონაწილეობითაც) გულგრილი დამოკიდებულების გამო იგნატიევი გაათავისუფლეს ცკ-ის მდივნის თანამდებობიდან. დაბოლოს, 28 აპრილს, კვლავ ხრუშჩოვის თანხმობით, იგნატიევი გამოიყვანეს ცკ-ის შემადგენლობიდან. **ბერიამ 1953 წლის 25 ივნისს ცკ-ის პრეზიდიუმისთვის გაგზავნილ წერილში იგნატიევი დაადანაშაულა იმაში, რომ მისი თანხმობით რიუმინმა და მისმა სხვა ხელქვეითებმა გამოიყენეს წამების მეთოდი მათ მიმართაც, ვისაც „ლენინგრადის საქმე“ შეეხო.**

**და ამ ყველაფრის მიუხედავად, სწორედ ხრუშჩოვმა ბერიას დაპატიმრების შემდეგ ხელი შეუწყო იგნატიევის საპასუხისმგებლო თანამდებობებზე დაბრუნებას.**

**ბორის ნიკოლაევსკი „დახურული მოხსენების“ კომენტარებში, რომლებიც ჟურნალ „ნიუ ლიდერში“ გამოქვეყნდა, წერს, რომ „მეგრელთა შეთქმულების“ შესახებ საქმე სწორედ იგნატიევის ინიციატივით იყო შეთითხნილი და აგორებული.**

გროვერ ფერი



## კანონისა და სინდისის წინაშე

ცოტა ხნით გადავდოთ გროვერ ფერის წიგნი და შევეცადოთ, გავერკვიოთ იმ საყოველთაო მასობრივ მოვლენაში, რომელიც რეაბილიტაციის ხრუშჩოვისეულმა დათბობის ტალღამ გამოიწვია.

თითქოს ეჭვს არ უნდა იწვევდეს იმის მტკიცება, რომ სტალინის დროს რეპრესირებული ყველა მოქალაქე ალალმართალი იყო კანონისა და სინდისის წინაშე. ხაზი გავუსვათ: **კანონისა და სინდისის წინაშე!**

მაგრამ ანტისტალინელებისთვის ასეთი შეთავსება არ არსებობს, იმ კლიშეებით, რომლებიც მათ დაამკვიდრეს, რეპრესიები აუცილებლად უკანონოა, რეპრესირებულები აუცილებლად უბრალონი არიან.

როგორ უნდა გავარკვიოთ კანონიერი და უკანონო? რა თქმა უნდა, პასუხისგებაში მოცემულ პირთა ქმედების არსებული კანონმდებლობით შეფასების გზით. ეს ხომ ალფა და ომეგაა მართალი სამართლის ქმნისა.

**თუ ადამიანი მსჯავრდებულია კანონის თანახმად ისეთი ქმედებისთვის, რაც იმ დროს დანაშაულად არის მიჩნეული, იგი კანონიერად არის დასჯილი. თუ მისი ბრალი არ დადასტურებულა და მაინც დასაჯეს, ე. ი. უკანონოდაა დასჯილი.**

როცა საუბარია ბრალეულობასა და უდანაშაულობაზე, ერთის მხრივ, და სამართლიანობაზე, მეორე მხრივ, იდეალურ შემთხვევაში ორივე მხარე ერთმანეთს უნდა დაემთხვეს. სამწუხაროდ, პრაქტიკაში ყოველთვის ასე არ ხდება.

ამგვარი მსჯელობით იგორ პიხალოვი თავის ნაშრომში **„არიან კი უბრალონი „რეპრესიის მსხვერპლნი“** მიდის იმ დასკვნამდე, რომ **იურიდიული თვალსაზრისით „მსხვერპლთა“ რეაბილიტაციის პროცედურა სრულიად არაკორექტული იყო.**

„უდანაშაულო მსხვერპლთა“ კატეგორიას, რომლებიც რეაბილიტირებული უნდა ყოფილიყვნენ, მიაკუთვნეს პირები, რომლებიც დასაბუთებულად იყვნენ ბრალდებულნი მთელი რიგი დანაშაულებრივი ქმედების გამო, რომლებიც სტალინის პერიოდში კანონსაწინააღმდეგოდ იყო მიჩნეული.

რომელ ქმედებებზეა ლაპარაკი? უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წყობილების შესახებ აშკარად ცრუ გამონაგონის წინასწარი განზრახვით გავრცელება და ანტისაბჭოთა აგიტაცია.

ანტისტალინისტების შეხედულებით კი ასეთი ქმედება დანაშაული არ არის, ე. ი. სახელმწიფომ არ უნდა დაიცვას თავისი პატივი და ღირსება?! ნებისმიერ ადამიანს, მათი აზრით, უფლება უნდა ჰქონდეს, არა მარტო გაავრცელოს ჭორი, ლანძღოს და თათხოს სახელმწიფო ორგანოები, არამედ მოუწოდოს ხალხს ან სახელმწიფო წყობილების დამხობისკენ.

ამგვარი ქმედებისგან თავის დასაცავად აშშ კონგრესმა ჯერ კიდევ 1918 წლის 16 მაისს მიიღო „ჯაშუშობის შესახებ აქტის“ შესწორება“, რომლის ძალით მსგავს ქმედებაში შემჩნეულებისთვის შეიძლება მიესაჯათ ან 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთა, ან 10 ათასი დოლარი ჯარიმა (მაშინ ეს ძალიან დიდი ფული იყო).

მაგრამ რახან ანტისტალინელები მიიჩნევენ, რომ საბჭოთა სახელმწიფო „დანაშაულებრივი მოვლენაა“, მის მიერ სახელმწიფო წყობილების დაცვა ხელყოფისგან დანაშაული და უკანონობაა, ე. ი. რეპრესირებულები ავტომატურად უდანაშაულონი არიან.

აი, ასეთი მარტივი ლოგიკაა. საინტერესოა, რომ **სასამართლო პრაქტიკაში პირველად პროკურატურის ორგანოებს მიენიჭა განსაკუთრებული უფლება სისხლის დანაშაულში მხილებული პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა რეაბილიტაციისა მაშინაც კი, როცა ამ საქმეებზე არსებობდა სასამართლოს გადაწყვეტილება.** ამასთან, რეაბილიტაციის პროცედურა გაცილებით მარტივი იყო, ვიდრე რეაბილიტაციაზე უარის თქმის დადგენილი წესი, ამიტომ პროკურორები პრაქტიკულ საქმიანობაში ამ რთულ, მრავალსაფეხურიან ინსტანციებში საქმის „სიარულს“ მარტივ გადაწყვეტილებას არჩევდნენ: რეაბილიტირებულ იქნას.

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ **მრავალი საქმე, თავის დროზე კონტრრევოლუციურ დანაშაულად რომ იყო კვალიფიცირებული, ფაქტობრივად, სისხლის სამართლის დანაშაული იყო.**

აი, ამის მაგალითები, რომლებიც ამოკრეფილია სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის მესამე სამმართველოს მეექვსე განყოფილების მიერ შედგენილი ანტისაბჭოთა გამოვლინებებისა და უმნიშვნელოვანესი შემთხვევების მიმოხილვიდან, რომელშიც გაანალიზებული იყო 1941 წლის აპრილის პერიოდი:

„უზბეკეთის სსრ-ში **იუსუპოვმა,** რომელიც 1938 წელს გაირიცხა კოლმეურნეობიდან და გასამართლებული იყო საკოლმეურნეო ქონების გაფლანგვისთვის, მოკლა კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილე დამინოვა (თავისი ყოფილი ცოლი) იმიტომ, რომ უკანასკნელმა ამხილა იუსუპოვი როგორც მტერი და ყალთაბანდი.

მ. წ. 3 აპრილს ქალაქ გორკის №342-ე ქარხნის მუშამ **კარაბანოვმა** მოკლა იმავე ქარხნის ოსტატი შარაპოვი იმიტომ, რომ შარაპოვმა კარაბანოვი სასამართლოს გადასცა როგორც სამუშაოს გამცდენი“.

1941 წლის მაისის ანალოგიური მიმოხილვიდან:

ორლოვის ოლქის ულიანოვსკის რაიონის კოლმეურნეობა „კპთყნძღ ართრყკრვ“-ის წევრმა **მოისეევმა** 14 მაისს ნაჯახის დარტყმით ორი სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა პირველადი პარტორგანიზაციის მდივანს, კოლმეურნეობის თავმჯდომარეს პანოვს იმის გამო, რომ უკანასკნელმა უარი თქვა, გაეშვა იგი კოლმეურნეობიდან დამატებით საშოვარზე. მოისეევი დაპატიმრებულია.

2 მაისს პენზის ოლქის ტერნოვის რაიონის სოფელ დურასოვკას კოლმეურნე **იგნატ ვასილის ძე მიტროხინი** შეეცადა მოეკლა კოლმეურნეობის ბრიგადირი მიტროხინი იმის გამო, რომ უკანასკნელი მას ამხელდა როგორც უქნარას. იგნატ მიტროხინი მიიმალა.

30 მაისს როსტოვის ოლქის გულიაი-ბორისოვის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის ყოფილმა ტრაქტორისტმა **კრავცოვმა** ფანჯარაში სროლის შედეგად თავში დაჭრა კოლმეურნეობის „Путь Ленина“ თავმჯდომარე პერელიგინი შურისძიების ნიადაგზე, რადგან იგი მას ამხელდა როგორც უქნარას და სამუშაოს გამცდენს. კრავცოვი დაპატიმრებულია“.

**ზემოთ ჩამოთვლილი დანაშაულობანი არ შეიძლება ჩაითვალოს „ანტისაბჭოთა გამოვლინებად“. თეორიულად ამგვარი საქმეები პოლიტიკურიდან სისხლის სამართლის საქმეებად უნდა იქნას გადაკვალიფიცირებული და კვლავ გაიგზავნოს სასამართლოში. სამწუხაროდ, ასე არ ხდება და „სტალინიზმის მსხვერპლთა“ ეს კატეგორია „რეაბილიტირებულთა“ რიგებს ავსებს.**

სამაგიეროდ არსებობს სრულიად განსხვავებული მიდგომა სხვა კატეგორიის მსჯავრდებულთა მიმართ. აი, რას ამბობს ამ საკითხთან დაკავშირებით ერთ-ერთ ინტერვიუში „პერესტროიკის“ მთავარი იდეოლოგი ალექსანდრ იაკოვლევი:

**— უნდა დაგისვათ ერთი შეკითხვა თქვენ, როგორც რუსეთის პრეზიდენტთან არსებული პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა რეაბილიტაციის კომისიის თავმჯდომარეს; შედარებით ახლახან — ერთი თვით ადრე გარდაცვალებამდე ბერიას ვაჟმა, სერგომ მოგმართათ მამამისის რეაბილიტაციის თხოვნით, განიხილეთ ეს განცხადება?**

— ...თუ მკაცრად იურიდიულად ვილაპარაკებთ, ბერიაც, ეჟოვიც, იაგოდაც, აბაკუმოვიც უნდა იყვნენ (ამის ხმამაღლა თქმაც კი საშინელებაა) რეაბილიტირებულები. ისინი დაიხვრიტნენ იმის გამო, რაც არ გაუკეთებიათ: ისინი არც რამდენიმე დაზვერვის ჯაშუშები, არც დივერსანტები და არც მსგავსი რამ არ ყოფილან. მაგრამ ისინი ჯალათები არიან, რომლებმაც მილიონობით ად- ▶

კალინინი, სტალინი, მოლოტოვი, ბერია ჩეკისტებთან



არაპოლიტკორექტული სიმართლე

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბატონმა იაკოვლევმა ურცხვად აღიარა, რომ არ უცდია და არც ეცდებოდა „მკაცრად იურიდიულად“ მიდგომოდა რეაბილიტაციის საკითხებს. მაშ, რომელი კრიტერიუმებით განსჯიდა იგი, თუ ვინ იყო უდანაშაულო მსხვერპლი და ვინ კიდევ — ჯალათი და მკვლელი?**

ამიანი მოკლეს! მაშასადამე, ისინი თავიდან უნდა გასამართლდნენ და თავიდან დაიხვრიტონ. მაგრამ, სანამ ცოცხალი ვარ, სანამ ვარ დასახელებული კომისიის თავმჯდომარე, მე არა თუ არ დავაყენებ ამ საკითხს, არც განვიხილავ მას. ჩვენ კიდევ დაგვრჩა განსახილველი 400 ათასი უდანაშაულო ადამიანის სარეაბილიტაციო საქმეები, რომლებსაც მსჯავრი დაედოთ ბერიას და მის მსგავსთა ბრძანებით. მე მესმის აწ გარდაცვლილი სერგო ბერიას გრძნობების, მაგრამ მე ანგარიში უნდა გავუწიო მილიონობით უდანაშაულოდ მოკლული ადამიანის შვილებისა და ნათესავების გრძნობებს“.

ამრიგად, **ბატონმა იაკოვლევმა ურცხვად აღიარა, რომ არ უცდია და არც ეცდებოდა „მკაცრად იურიდიულად“ მიდგომოდა რეაბილიტაცის საკითხებს. მაშ, რომელი კრიტერიუმებით განსჯიდა იგი, თუ ვინ იყო უდანაშაულო მსხვერპლი და ვინ კიდევ — ჯალათი და მკვლელი?**

**სტალინის საბჭოთა კავშირში კი სწორედ კანონებს იცავდნენ,** რაც აღიარა ულიბერალულესმა ალექსეი კაზანიკმა, რომელიც რუსეთის ფედერაციის გენერალურ პროკურორად დაინიშნა 1993 წლის 5 ოქტომბერს, თეთრი სახლის დაცხრილვის მეორე დღეს:

„იცით, — განაცხადა მან, — მე ხომ სამოციანელი ვარ. ირკუტსკის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩვენ გვავალებდნენ — ხრუშჩოვის დათბობის პერიოდი იყო — საკურსო შრომების დაწერას იმ სისხლის სამართლის საქმეებზე, რომლებიც განხილული იყო ოცდაათიან-ორმოცდაათიან წლებში. ჩემდა გასაოცრად, ჯერ კიდევ სტუდენტობისას დავრწმუნდი, რომ სტალინის დროს კანონიერება, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, არ ირღვეოდა, მოქმედებდა დრაკონული კანონები, რომლებიც სრულდებოდა კიდეც“. („იზვესტია“, 1993 წლის 13 ოქტომბერი, „ალექსეი კაზანიკმა იპოვა პირველი თანამოაზრე გენერალურ პროკურატურაში“).

უფრო მეტიც, იმ დროში იშვიათობა არ იყო გამამართლებელი განაჩენებიც. ასე მაგალითად, **1936 წლის მეორე ნახევარში სასამართლოებმა გაამართლეს 8,1 პროცენტი 58-10 მუხლით ბრალდებული (ანტისაბჭოთა აგიტაცია), 1937 წელს — 2,4 პროცენტი, 1938 წელს — 5,7 პროცენტი. შედარებისთვის: 2001 წელს რუსეთის სასამართლოებმა გამოიტანეს 0,5 პროცენტი გამამართლებელი განაჩენი, 2002 წელს — 0,77 პროცენტი, 2003 წლის პირველ სამ თვეში — 1 პროცენტი.**

**უფრო სამარცხვინო მდგომარეობაა საქართველოში, სადაც გამამართლებელი განაჩენების პროცენტული რაოდენობა 0-ს არ ასცილებია.**

## „ბრალდების დამტკიცების დედოფალი“

ორი სიტყვა აუცილებლადაა სათქმელი „სტალინის თვითნებობის“ მამხილებელთა ამოჩემებული არგუმენტის შესახებ — თითქოს იმდროინდელი ყველა ბრალდება აგებული იყო „ხალხის მტრების“ პირად აღიარებაზე, ხოლო ნივთიერი მტკიცებულებანი არ არსებობდა.

მართლაც, იყო თუ არა ნივთმტკიცებანი? იქნებ იყო? ან იყო და გაქრა მას შემდეგ, რაც ხრუშჩოვის სარეაბილიტაციო კომისიების წევრებმა მაგრად აურ-დაურიეს ხელი არქივებისა და სასამართლოების მასალებში?

მაინც როგორი მასალების არსებობას მოითხოვენ? ნუთუ ვინმეს სერიოზულად ჰგონია, რომ შეთქმულებმა უნდა შეადგინონ თავიანთი საიდუმლო შეკრებების ოქმები ან რეგულარულად წერონ ჯაშუშების პატაკები? ამგვარ საქმეებში ნივთმტკიცებულებათა შეკრება ძალიან რთულია. მაგალითისთვის გავაანალიზოთ ის მეთოდები, რომლებითაც სჯიან ჯაშუშობაში დადანაშაულებულ ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეებს.



ალექსანდრე იაკოვლევი — სარეაბილიტაციო კომისიის თავმჯდომარე

**«ჩემდა გასაოცრად, ჯერ კიდევ სტუდენტობისას დავრწმუნდი, რომ სტალინის დროს კანონიერება, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, არ ირღვეოდა, მოქმედებდა დრაკონული კანონები, რომლებიც სრულდებოდა კიდეც»**



**ერლ ედვინ პიტსი**, აშშ გამოძიების ფედერალური ბიუროს თანამშრომელი. ჯერ საბჭოთა, შემდეგ რუსეთის დაზვერვასთან თანამშრომლობდა 1992 წლამდე. აშშ-ს კონტრდაზვერვამ საბჭოთა კავშირიდან გადაბარგებული პირისგან შეიტყო, რომ პირსი ყოფილი საბჭოთა აგენტი იყო და 1995 წლის აგვისტოში მიუგზავნა პროვოკატორი, რომელმაც შესთავაზა, განეგრძო თანამშრომლობა რუსეთის დაზვერვასთან. მომდევნო 16 წლის განმავლობაში ეს „თანამშრომლობა“ აქტიურად მიმდინარეობდა, პირსი მოიპოვებდა საიდუმლო მასალებს და სანაცვლოდ იღებდა მნიშვნელოვან გასამრჯელოს. ბოლოს — 1996 წლის 18 დეკემბერს იგი დააპატიმრეს. თავდაპირველად იგი კატეგორიულად უარყოფდა მისთვის წაყენებულ ბრალდებებს, მაგრამ **1997 წლის 28 თებერვალს მაინც აღიარა დანაშაული. ეს ნებაყოფლობითი აღიარება დაკავშირებული იყო აშშ-ში არსებულ სასამართლო გარიგების პრაქტიკასთან: პიტსს შესთავაზეს, ეღიარებინა დანაშაული და ეთანამშრომლა გამოძიებასთან, სანაცვლოდ დაჰპირდნენ, რომ არ მიუსჯიდნენ სამუდამო პატიმრობას. შედეგად ამერიკულმა სასამართლომ მას „მხოლოდ“ 27 წლით პატიმრობა მიუსაჯა.**



**რობერტ სტივენ ლიპკა.** 1965-1967 წლებში, ეროვნული უშიშროების სააგენტოში მუშაობის დროს, იგი საბჭოთა დაზვერვასთან თანამშრომლობდა, შემდეგ, დემობილიზაციის გამო, შეწყვიტა კონტაქტი. გასცა მოღალატემ — სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ყოფილმა გენერალმაიორმა ოლეგ კალუგინმა. ლიპკას პასუხისგებაში მისაცემად ლიპკას მიუჩინეს დაზვერვის ფედერალური ბიუროს თანამშრომელი, რომელმაც თავი გააცნო „კაპიტან ნიკიტინად“ და შესთავაზა გაეგრძო თანამშრომლობა. მიუხედავად იმისა, რომ ლიპკამ 5 ათასი დოლარი მიიღო, „კაპიტან ნიკიტინს“ არავითარი ინფორმაცია არ გადასცა, მაგრამ 1996 წლის 23 თებერვალს იგი მაინც დააპატიმრეს. **სასამართლო პროცესის დროს მან აღიარა, რომ თანამშრომლობდა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტთან. მას 18 წლით პატიმრობა მიესაჯა.**



**რონალდ უილიამ პელტონმა** 1980 წელს დაიწყო თანამშრომლობა საბჭოთა დაზვერვასთან. გასცა მოღალატე ვიტალი იურჩენკომ, მაგრამ შემდეგ იურჩენკო მოულოდნელად დაბრუნდა სსრკ-ში. მიუხედავად იმისა, რომ გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტებმა პელტონის სასამსახურო ტელეფონში, მის ბინაში, მანქანაში, აგრეთვე, საყვარლის ბინაში დააყენეს მიყურადების მოწყობილობები, ვერავითარი სამხილის მიღება ვერ მოახერხეს. იძულებული გახდნენ, მოეშველიებინათ „ბრალდების დედოფალი“. 1985 წლის 24 ნოემბერს პელტონი დასაკითხად გამოიძახეს, გააცნეს იურჩენკოს ჩვენებები და ურჩიეს, ეღიარებინა საბჭოთა დაზვერვისთვის საიდუმლო ცნობების მიწოდების ფაქტი, სანაცვლოდ დაჰპირდნენ „შემწყნარებლობას“. მაგრამ **როგორც კი მიილო ფედერალურმა საგამოძიებო ბიურომ სასურველი აღიარება, პელტონი დაუყოვნებლივ დააპატიმრეს. მიუხედავად იმისა, რომ ამ უწყების თანამშრომლებთან საუბრის გარდა სხვა სამხილი პელტონის წინააღმდეგ წარდგენილი არ ყოფილა, ნაფიც მსაჯულთა ჟიურიმ იგი დამნაშავედ მიიჩნია.** ეს მოხდა 1986 წელს. პელტონს სიცოცხლის სამი ვადით პატიმრობა მიესაჯა.



**ოლდრიჩ ჰეიზენ ეიმსი,** ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მაღალჩინოსანი თანამშრომელი. იგი საბჭოთა დაზვერვასთან თანამშრომლობდა 1985 წლიდან, გადაცემული აქვს უამრავი ფასეული ინფორმაცია. არავითარი კანონიერი სამხილი ამერიკის კონტრდაზვერვას მის წინააღმდეგ არ ჰქონდა. ოფიციალური ვერსიით, ეიმსის მიმართ ეჭვი გაჩნდა იმის გამო, რომ მისმა დანახარჯებმა მისსავე შემოსავლებს გადააჭარბა. მაგრამ უფრო სარწმუნოა, რომ იგი გასცა ვიღაცამ მოსკოვში, რომელსაც რუსეთის სპეცსამსახურების საიდუმლო საქმიანობაზე ხელი მიუწვდებოდა. შედეგად 1994 წლის 21 თებერვალს იგი დააპატიმრეს. აშშ კონტრდაზვერვას იმედი ჰქონდა, რომ მას სამხილებს აღმოუჩენდნენ. მაგრამ იმედი გაუცრუვდა: **ეიმსი „სუფთა“ იყო**. მაშინ ამერიკის სასამართლო სისტემაში არსებული პრაქტიკის საფუძველზე მოხდა გარიგება ეჭვმიტანილსა და სასამართლო გამოძიებას შორის. **ეიმსმა აღიარა, რომ დამნაშავეა. 1994 წლის 28 აპრილს მას მიესაჯა სამუდამო პატიმრობა შეწყალების უფლების გარეშე.**

**ეს მაგალითები გვიჩვენებს, რომ დღევანდელ აშშ-ში ჯაშუშობაში ეჭვმიტანილებს, როგორც წესი, პროვოკაციის საშუალებით ამხელენ, ხოლო ასამართლებენ საკუთარ აღიარებით ჩვენებაზე დაყრდნობით, რაც იქ დამკვიდრებული სასამართლო გარიგების პროცედურის მეშვეობით ხდება.**

ასე რომ, თითის გაშვერა მაინც და მაინც სტალინის ეპოქისდროინდელ აღიარებით ჩვენებაზე, როგორც ბრალის დადასტურების „დედოფალზე“, სხვას თუ არაფერს, იმას მაინც ნიშნავს, რომ საკუთარ თვალში დირეს შეგნებულად ვერ ამჩნევენ.

## „გადაწყვეტილების შეცვლა მიზანშეუწონელია“

**კანონიერების დარღვევის შემთხვევები სტალინის დროს, რა თქმა უნდა, იყო, თუმცა არა იმ მასშტაბით, როგორც დღეს სურთ, დაგვარწმუნონ. მაგრამ პარადოქსულია, რომ მათგან ბევრი, ვინც 1930-იან წლებში უდანაშაულოთა საქმეებს აკოწიწებდა, რისთვისაც კანონიერად დაისაჯა კიდეც, მოხვდა „უკანონოდ რეპრესირებულთა“ ხრუშჩოვისეულ სიებში.**

მათგან ერთ-ერთია სახელმწიფო უშიშროების პირველი რანგის კომისარი სტანისლავ რედენსი, რომელიც ჯერ შინსახკომის მოსკოვის ოლქის სამმართველოს უფროსად მუშაობდა, შემდეგ კი — ყაზახეთის სსრ შინაგან საქმე და სახალხო კომისრად. 1940 წლის 21 იანვარს სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ სასჯელის უმაღლესი ზომა მიუსაჯა ჯაშუშური საქმიანობისთვის, შეთქმულთა ორგანიზაციაში მონაწილეობისთვის, რომელიც შინსახკომის სისტემაში მოქმედებდა, აგრეთვე, საბჭოთა მოქალაქეების მასობრივი უკანონო დაპატიმრების გამო.

მისი ცოლის — ანა ალილუევას (სტალინის ცოლის და) საჩივრების საფუძველზე რედენსის საქმე 1957 წელს დამატებით შეისწავლეს. **დადასტურდა, რომ რედენსი მასობრივად და უსაფუძვლოდ აპატიმრებდა საბჭოთა მოქალაქეებს,** თანამშრომლებისგან მოითხოვდა დაპატიმრებულთა მიმართ გამოეყენებინათ ფიზიკური ძალადობა და ამ გზით მიეღოთ გამოგონილი ჩვენებები. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, 1957 წლის 10 ივნისს რედენსის რეაბილიტაციაზე ითქვა უარი.

მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა. **ალილუევამ კვლავ მიმართა ხრუშჩოვს, რომელმაც გასცა განკარგულება — რეაბილიტირებულ იქნას! 1961 წლის 9 ნოემბერს სსრკ გენერალურმა პროკურორმა რუდენკომ დაამტკიცა სასამართლო გადაწყვეტილების გადახედვის დასკვნა, 16 ნოემბერს კი სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის გადაწყვეტილებით, რედენსის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე შეწყდა დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.**

ამასთან ერთად, დოკუმენტში აღნიშნული იყო, რომ „შინსახკომის მოსკოვის ოლქის სამმართველოს უფროსად და ყაზახეთის სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად მუშაობის პერიოდში რედენსი მასობრივად და უკანონოდ აპატიმრებდა საბჭოთა მოქალაქეებს, დაპატიმრებულთა მიმართ იყენებდა გამოძიების უკანონო მეთოდებს და აყალბებდა გამოძიების მასალებს. მისი ამგვარი ქმედება კვალიფიცირდება სისხლის სამართლის კოდექსის მუხლით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას თანამდებობრივი დანაშაულის გამო“, ე. ი. **ქმედებები უკანონოა, დასჯადია, მაგრამ პოლიტიკური კონიუნქტურის თვალსაზრისით მიზანშეწონილია რედენსის რეაბილიტაცია.**

„პერესტროიკის“ პერიოდში ყაზახეთის მთავარი ჩეკისტის საქმე კვლავ ამოტივტივდა. გაირკვა, რომ **რედენსი უკანონოდაა რეაბილიტირებული,** მაგრამ ამას აღარაფერი ეშველება. სსრკ გენერალური პროკურორის მოადგილის ი. აბრამოვისა და იაკოვლევის კომისიის მდივნის ნ. სავინკინის მიერ შედგენილ ცნობაში ნათქვამია:

**„სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის გადაწყვეტილების შეცვლა ამჟამად შეუძლებელია, რადგან სასამართლო გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან 27 წელიწადზე მეტია გასული, ხოლო კანონით საქმის გადახედვა... შესაძლებელია გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში“.**

ამიტომაც ძალაში დარჩა რედენსის რეაბილიტაცია. ამხანაგმა ალექსანდრე იაკოვლევმა კი პოლიტბიუროს კომისიის 1989 წლის 17 ოქტომბრის სხდომაზე განაცხადა შემდეგი: „როგორც ჩანს, უნდა დავეთანხმოთ ი. აბრამოვისა და ნ. სავინკინის წინადადებას. ჩვენ ვეთათბირეთ ა. ლუკიანოვს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ე. სმოლენცევს. არ შევალთ წინადადებით სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში და არაფერს მივცემთ ჟურნალში „Известия ЦК КПСС“.

იაკოვლევს არავინ შეპასუხებია.

**გაგრძელება იქნება**

რუბრიკას უძღვება **არმაზ სანებლიძე**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სტალინი მაინც არ კარგავდა მშვიდობიანი მოლაპარაკების დაწყების იმედს. იგი ეყრდნობოდა ინფორმაციას, რომელიც მასთან იყრიდა თავს იმ არხებიდან, რომლებიც მთელი ძალით მუშაობდა ომისწინა დღეებსა და საათებში.**



რუდოლფ ბალანდინი, სერგეი მირონოვი

# სტალინის ეპოქა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-9 (139-147)

## დიპლომატიური ორთაბრძოლები

**არსებობს სავსებით დამაჯერებელი ვარაუდი, რომ ჰესი მნიშვნელოვან მოლაპარაკებას აწარმოებდა ჩერჩილთან ფიურერის დავალებით. იგი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს სთავაზობდა ერთობლივ —- ინგლის-გერმანიის თავდასხმას საბჭოთა კავშირზე. ჩერჩილმა უარი თქვა ამგვარ ავანტიურაზე, მაგრამ აღუთქვა ბერლინს, რომ ნეიტრალიტეტის პოზიციას დაიკავებს გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის დროს.**

ასეთი დაპირებით ჩერჩილმა აიცილა ბრიტანეთის კუნძულებზე გერმანიის შემოჭრის საშიშროება, მიუქსია გერმანია საბჭოთა კავშირს და შემდგომი მანევრირების შესაძლებლობა მიიღო.

ბევრის მთქმელია, რომ ინგლისში ჰესის დაშვების შემდეგ მისი დაკითხვის ოქმები დღემდე გამოქვეყნებული არ არის. არადამაჯერებელია ვარაუდი, რომ რუდოლფ ჰესი ფსიქიურად არანორმალური იყო, ხოლო მისი აქცია — ექსტრავაგანტული ქმედება: ძალიან მაღალი მდგომარეობა ეკავა ამ კაცს ნაცისტურ სახელმწიფოში.

ჰიტლერს შეატყობინეს, რომ სტალინს აინტერესებს არა ინგლისში გერმანული დესანტის საეჭვო პრობლემა, არამედ ინგლისის მოლაპარაკებისა გერმანიის და აშშ-ის კომპრომისის შესაძლებლობის შესახებ. გერმანელებს შეეძლოთ დაერტყათ ბრიტანეთის რესპუბლიკის მთავარი სატრანსპორტო არტერიისთვის — სუეცის არხისთვის და შეჭრილიყვნენ ახლო აღმოსავლეთში. სტალინს მიაჩნდა, რომ მოვლენები სწორედ ასე შეიძლება განვითარებულიყო. მით უფრო, რომ იაპონიამ, რომელმაც უარი თქვა საბჭოთა ტერიტორიაზე, თავისი ძალისხმევა წარმართა სამხრეთ-აზიაში კოლონიების დასაპყრობად. ლოგიკური იქნებოდა, თუ ჰიტლერი შეეცდებოდა, გაბატონებულიყო ნავთობით მდიდარ ამ რეგიონში. სტალინს ყველა საფუძველი ჰქონდა, დროის მოგების იმედად ყოფილიყო, მით უფრო, რომ ომამდე მოლაპარაკება უნდა გამართულიყო.

ვიშლევი ამასთან დაკავშირებით ამბობს: „ჰიტლერს სურდა, ეს იმედი დარჩენოდა სტალინს, თვითონ კი ჰქონოდა მოულოდნელი თავდასხმის შესაძლებლობა. ამ მიზნით 1941 წლის მაისში მან დაიწყო ფართომასშტაბიანი სადეზინფორმაციო კამპანია. ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ვერმახტი საბჭოთა კავშირის საზღვრებთან ჯარის ნაწილებს თავს იყრის იმ მიზნით, რომ სსრკ-მა მიიღოს გერმანიის „მოთხოვნა“, რათა მას იჯარით გადაეცეს უკრაინა და უზრუნველყოს გერმანელების მონაწილეობა ბაქოს ნავთობის ექსპლუატაციაში. მეორე დეზინფორმაცია: ბერლინი აპირებს, მოსთხოვოს საბჭოთა კავშირს სამხრეთის რაიონების ტერიტორიით თავისი შეიარაღებული ძალების გატარება ახლო აღმოსავლეთისკენ. **იტყობინებოდნენ, აგრეთვე, რომ ჩერჩილი თანახმაა ჰიტლერთან გასარიგებლად, რაც ახლოს იყო სიმართლესთან. ასეთ მოლაპარაკებას შეიძლება ჩაეშალა ინგლის-ამერიკა-საბჭოთა კავშირის კოალიციის შექმნის მცდელობაც კი.**

დეზინფორმაციული მასალები ვრცელდებოდა ევროპული დედაქალაქების საინფორმაციო საშუალებებში და დიპლომატიურ კორპუსებში. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ საბჭოთა საზღვრებთან გერმანიის ჯარების კონცენტრაცია ბლეფია, ხოლო გერმანია-საბჭოთა კავშირის წინააღმდეგობათა მშვიდობიანი მოგვარება გარდაუვალია. ამ ცნობებს აწვდიდნენ კრემლს.

**სტალინი, შეცდომა თავიდან რომ აეცილებინა, უყურადღებოდ არაფერს ტოვებდა. ერთი მხრიდან იტყობინებოდნენ, რომ გერმანია მზად არის სსრკ-ზე თავდასასხმელად. მეორე მხრიდან ირწმუნებოდნენ, რომ ნაცისტური ხელმძღვანელობა განახორციელებს „ფსიქოლოგიურ დაწოლას“, რათა გაიმაგროს „ძალის პოზიცია“ მომავალ მოლაპარაკებაში.**

ამასთან ერთად, დაზვერვა პატაკობდა, რომ ნაცისტურ ხელმძღვანელობაში ერთსულოვნება არ სუფევს: ჰიტლერი ცდილობს, შეინარჩუნოს მშვიდობა საბჭოთა კავშირთან და განაგრძოს ომი ინგლისთან, ვერმახტის ხელმძღვანელობა კი სსრკ-გერმანიის კონფლიქტის პროვოცირებას ცდილობს. ამის თავიდან ასაცილებლად, სტალინი კატეგორიულად მოითხოვდა, „არ აჰყოლოდნენ პროვოკაციებს“.

ომის დაწყების თარიღის შესახებ ცნობები, როგორც არაერთხელ აღგვინიშნავს, ათასნაირი მოდიოდა. გადიოდა ეს ვადები და ომი არ იწყებოდა, რაც ერთგვარად ამშვიდებდა სტალინს.

22 ივნისიც შეიძლება მორიგი ყალბი პროგნოზი გამომდგარიყო, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ომისთვის მზადება გაძლიერებულად მიმდინარეობდა. კერძოდ, წითელი არმიის მსხვილი ნაწილები კონცენტრირდებოდა დასავლეთ საზღვრებთან. ამას ზოგიერთი დღევანდელი ავტორი იმის დამამტკიცებელ ფაქტად მიიჩნევს, რომ სტალინი გერმანიაზე თავდასასხმელად ემზადებოდა, ჰიტლერმა კი მხოლოდ დაასწრო მას. ასეთი პოზიციის უსაფუძვლობას ამტკიცებს როგორც საბჭოთა, ისე გერმანული დოკუმენტები. **გერმანელების ოპერატიულ დაგეგმვაში საბჭოთა ჯარების შეტევითი მოქმედება მხედველობაშიც არ იყო მიღებული: ვერმახტი დარწმუნებული იყო, რომ სტალინი ასეთ უაზრო ნაბიჯს არ გადადგამდა.**

„წითელი არმიის ნაწილების გაძლიერებულ საომარ მზადყოფნაში არმოყვანა, მოწმობდა, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობა შეტევით პოზიციაზე არ იდგა, — წერს ო. ვიშლევი, — ასეთ პირობებში გერმანიაზე თავდასხმა საბჭოთა კავშირისთვის უაზრო და ძალიან საშიშ ავანტიურაში ჩართვას ნიშნავდა. სტალინი ავანტიურისტიობისგან შორს იდგა, იგი ძალიან ფრთხილი და ანგარიშიანი პოლიტიკოსი იყო. ეს ყველაფერი დღეს, სამწუხაროდ, ავიწყდებათ „პრევენტული ომის“ მომხრეებს.

ჰიტლერმა მოაწყო ინსცენირება, თითქოს ერთ-ერთ ნაცისტურ გაზეთში დაბეჭდილ გებელსის სტატიაში გაჟონა სრულიად საიდუმლო ინფორმაციამ ინგლისში გერმანიის შეჭრის შესახებ. ტირაჟი სასწრაფოდ იქნა კონფისკებული. სტალინმა ეს შემთხვევა ასე შეაფასა: პრობრიტანულად განწყობილმა გებელსმა გააფრთხილა ლონდონი მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ, რათა ჩაეშალა ეს გეგმა, ინგლისთან ომი უპერსპექტივოდ ექცია და ხელი ებიძგა ჰიტლერისთვის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გასალაშქრებლად.

ამ ინსცენირებას სტალინმა 1941 წლის 13 ივნისის საკდესის განცხადებით უპასუხა, რომლითაც გერმანიას შეფარულად მოუწოდებდა ორმხრივი მოლაპარაკებისკენ, მაგრამ ჰიტლერი დუმდა.

სტალინი მაინც არ კარგავდა მშვიდობიანი მოლაპარაკების დაწყების იმედს. იგი ეყრდნობოდა ინფორმაციას, რომელიც მასთან იყრიდა თავს იმ არხებიდან, რომლებიც მთელი ძალით მუშაობდა ომისწინა დღეებსა და საათებში.

საბჭოთა დიპლომატებისა და დაზვერვის ცნობები ბუნდოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგო იყო. უკანასკნელ წლებში ცალკე გამოარჩევდნენ იმათ, რომელთა მიხედვით ომი შეიძლება 22 ივნისს დაწყებულიყო. ეს თითქოს ადასტურებდა სტალინის ავადმყოფურ უნდობლობას, მაგრამ ძალიან ადვილია კრიტიკოსობა ფაქტის მოხდენის შემდეგ — „უკანა რიცხვით“. მაგრამ მაშინ სსრკ-ის ▶

უინსტონ ჩერჩილი



**სტალინურმა დიპლომატიამ გაიმარჯვა, რადგან მთელ მსოფლიოს დაანახა, რომ საბჭოთა კავშირი ყოველთვის მზად არის სამშვიდობო მოლაპარაკებისთვის, უპირატესობას ანიჭებს სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობას, არ გააჩნია აგრესიული გეგმები და პატიოსნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს. ჰიტლერული დიპლომატია მისი სრული ანტიპოდი იყო.**

უკომენტაროდ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ავტორიტეტულ ანალიტიკოსთაგან არავის შეეძლო დაედასტურებინა ამ მონაცემების უტყუარობა. მით უფრო, უფრო ადრე მოსულ შეტყობინებებში დასახელებული „ზუსტი" ვადები ისე გავიდა, რომ გერმანია საბჭოთა კავშირს თავს არ დასხმია, ან რისი გაკეთება შეიძლებოდა რამდენიმე დღეში?! წინა ორი თვის მანძილზე წითელი არმიის ნაწილები დასავლეთში ისედაც მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში იმყოფებოდნენ. ზოგიერთი მათგანი კი ივნისში უკვე შეუდგა გადაიარაღებას. ისე ჩანდა, რომ კრიზისმა უკვე ჩაიარა.

სტალინს ჰქონდა გარკვეული იმედი, რომ თავდასხმის წინა დღეებში მაინც შეძლებდა ომის თავიდან აცილებას. სუდოპლატოვი იხსენებს: მოსკოვის სასტუმრო „მეტროპოლში" საბჭოთა კონტრდაზვერვამ ხელთ იგდო ორი გერმანელი დიპლომატიური შიკრიკი. ერთი, ვითომ შემთხვევით, ლიფტის კამერაში ჩაკეტეს, მეორე — მისი ნომრის საბაზანოში. ლიფტში „გაჭედილი" კონტრდაზვერვის თანამშრომლებმა ხუთ წუთში „გაათავისუფლეს", მანამდე კი მისი დიპლომატი გახსნეს და გადაიღეს იქ ჩადებული დოკუმენტები. მათ შორის იყო საბჭოთა კავშირში გერმანიის ელჩის, გრაფ შულენბურგის წერილი რიბენტროპისადმი, რომლითაც **იგი იტყობინებოდა, რომ მზად არის, იყოს შუამავალი სსრკ-გერმანიას შორის არსებულ წინააღმდეგობათა მოწესრიგების საქმეში. შულენბურგი 1939 წლის პაქტის ერთ-ერთი ინიციატორი და შემდგენელი იყო. იგი, კაიზერის სკოლის ძველი დიპლომატი, ერთგულებდა გერმანიის რუსეთთან სამხედრო კონფლიქტში ჩაურთველობის ბისმარკისეულ ტრადიციას და ამას საქმით ადასტურებდა. ამიტომ საბჭოთა ხელმძღვანელობაში მას ნდობით ეკიდებოდნენ, ასე იყო მისდამი განწყობილი სტალინიც. (1944 წელს შულენბურგი გესტაპომ დახვრიტა).**

სუდოპლატოვი წერდა: „მიუხედავად იმისა, რომ მოახლოებული ომის ნიშნები აშკარა იყო, ეს დოკუმენტი, შულენბურგის პოზიცია და მისი მაღალი რეპუტაცია გვარწმუნებდა, რომ მშვიდობიანი მოწესრიგების კარი ჯერ კიდევ დახურული არ არის".

მაშ ასე: **ურთიერთსაწინააღმდეგო ხმების, მოარული მოსაზრებების, ურთიერთსაწინააღმდეგო დიპლომატიური და დაზვერვის პატაკების, ექსპერტთა მოსაზრებების ურთიერთგამომრიცხავი ნაკადი 22 ივნისამდე შეუჩერებლად იზრდებოდა. ინიციატივა ჰიტლერის მხარეს იყო, სტალინს ისღა დარჩენოდა, რომ დალოდებოდა მოწინააღმდეგის მორიგ სვლას.** ასეთი იყო ობიექტური სიტუაცია იმ დროს.

შეიძლება გვეჩვენოს, რომ მოცემულ ეტაპზე ჰიტლერის დიპლომატია სტალინისაზე ეფექტიანი აღმოჩნდა. ამას ვერ დავეთანხმებით.

მოლაპარაკებაზე უარის თქმა პრიმიტიული დიპლომატიური აქციაა, რომელიც ან მხოლოდ სისუსტეს ამტკიცებს იმ მხარისას, რომელიც ორთაბრძოლას თავს არიდებს, ან მისი მზაკვრულობის ნიშანია. მაგრამ ეს მაინც არ არის მთავარი. ნებისმიერ შერკინებაში, მით უფრო, ხანგრძლივ დაპირისპირებაში, ცალკეული წარუმატებლობანი ბუნებრივი მოვლენაა. რთულ სიტუაციებში მათ თავიდან ყოველვის ვერ აირიდებ. აქ მთავარია არა კერძოობა, არამედ საერთო შედეგი. საბოლოო შედეგი სტალინის ტრიუმფი იყო.

სტალინურმა დიპლომატიამ გაიმარჯვა, რადგან მთელ მსოფლიოს დაანახა, რომ საბჭოთა კავშირი ყოველთვის მზად არის სამშვიდობო მოლაპარაკებისთვის, უპირატესობას ანიჭებს სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობას, არ გააჩნია აგრესიული გეგმები და პატიოსნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს. ჰიტლერული დიპლომატია მისი სრული ანტიპოდი იყო.

**1941 წელს ჰიტლერმა განაცხადა: „სტალინი — რუსეთის მბრძანებელი, გონიერია. იგი არასოდეს ღიად არ გაილაშქრებს გერმანიის წინააღმდეგ". და კიდევ: „სანამ სტალინი ცოცხალია, არავითარი საშიშროება არ გვემუქრება: იგი საკმარისად ჭკვიანი და ფრთხილია".**

შეიძლება გაჩნდეს შეკითხვა, რომელიც ძალიან მოდური იყო „პერესტროიკის" პერიოდში: მაშ, როგორ გავიგოთ საბჭოთა ჯარების მიერ ბალტიისპირეთის, ბელარუსისა და უკრაინის დასავლეთი რაიონების ოკუპაცია?

პასუხს გვიკარნახებს ფაქტი: საბჭოთა ჯარების შეყვანას ლიტვაში, ლატვიასა და ესტონეთში და ამ ქვეყნების სსრკ-ს შემადგენლობაში შესვლას პრაქტიკულად არავითარი წინააღმდეგობა არ გამოუწვევია. მხოლოდ აღმოსავლეთ პოლონეთის რაიონში, სადაც ჩვენი ჯარები შევიდნენ ათასამდე სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა. ეს ნიშნავს, რომ ძალადობრივი ოკუპაცია არ მომხდარა. ამ ქვეყნების ხალხებმა და მთავრობებმა სსრ კავშირთან შეერთების აქტი მეტ-ნაკლებად ნორმალურად აღიქვეს.

გერმანული ოკუპაცია ადგილობრივი მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს ტრაგედიად და დამონებად შემოუბრუნდებოდა, რასაც ნაცისტების გეგმა ითვალისწინებდა.

ამასთან, საზღვრის გადატანის მცდელობას ლენინგრადიდან ფინეთის ტერიტორიის სიღრმეში ომი მოჰყვა, რომელსაც (სამ თვეზე მეტი ხნის მანძილზე) სსრ კავშირის 127 ათასი მეომრის სიცოცხლე შეეწირა. გამარჯვება აქ საკმაოდ ძვირად დაგვიჯდა, თუმცა სტალინის მიერ დასახული მიზანი შესრულდა. შედეგად — სამამულო ომის პერიოდში შესაძლებელი გახდა ლენინგრადის გადარჩენა (ფინელები ხომ ჰიტლერელთა მხარეს იბრძოდნენ).

ფინეთის შედარებით მცირე ტერიტორიის ოკუპაცია (მისთვის საბჭოთა ტერიტორიით კომპენსაციის დაპირებით) სისხლისმღვრელ ომად დაგვიჯდა. ბალტიისპირეთის სამი ქვეყნისა და პოლონეთის მნიშვნელოვანი ოლქების შემოერთება კი მშვიდობიანი გზით მოხერხდა. აი პრინციპული სხვაობა ოკუპაციასა და სახელმწიფოსთან მიერთებას შორის. სსრ კავშირის საზღვრების დასავლეთისკენ გადაწევით სტალინმა თავდაცვის დამატებითი მიჯნა შექმნა სწორედ მაშინ, როცა საბჭოთა სახელმწიფოს დიდი განსაცდელი დაემუქრა. როგორც სახელმწიფო მოღვაწე იგი აბსოლუტურად მართალი იყო. ეს ტერიტორიები ჰიტლერულ გერმანიას რომ რგებოდა, გამარჯვება სამამულო ომში გაცილებით ძვირი დაგვიჯდებოდა.



**საბჭოთა ჯარების შეყვანას ლიტვაში, ლატვიასა და ესტონეთში და ამ ქვეყნების სსრკ-ს შემადგენლობაში შესვლას პრაქტიკულად არავითარი წინააღმდეგობა არ გამოუწვევია**

## სრული მარცხი

**საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გერმანიის, ფაქტობრივად კი, მთელი კონტინენტური ევროპის ომის საწყის ფაზაში მიღწეული წარმატებები ჰიტლერს იმედს აძლევდა, რომ, თუ სტალინი არა, მისი შესაძლო შემცვლელები გამოაცხადებდნენ კაპიტულაციას. ჰიტლერელთა ამ გათვლას შესრულება არ ეწერა.**

ორიოდ სიტყვა იმაზე, იყო თუ არა „მოულოდნელი" სტალინისთვის ომის დაწყება? გიორგი ჟუკოვის მოგონების თანახმად, 1941 წლის 22 ივნისს, გამთენიისას სტალინს ეძინა. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავდა, რომ იგი მშვიდად იყო და არ ესმოდა, თუ როგორი დაძაბულობა იყო ქვეყანაში. აი, რას გვამცნობს კრებული „დოსიე და თანამედროვეობა" (№6, 2003 წელი):

„ომის წინა დღეს ჟუკოვი საოცრად მოკლედ აღწერს, სათქმელს ბოლომდე არ ამბობს. იმაზე, თუ რა ხდებოდა 21 ივნისს, მის წიგნში სიტყვაც არ არის ნათქვამი. ომის დაწყების შესახებ საუბარს ჟუკოვი 22 მაისის ღამიდან იწყებს. მისი სიტყვებით, დირექტივა **სასაზღვრო ჯარების საომარ მდგომარეობაში მოყვანის შესახებ 22 ივნისის 0:30 საათზე გაიგზავნა. რატომ ასე დაგვიანებით? სტალინმა ამის შესახებ მითითება ჯერ კიდევ დღისით გასცა (!). ჟუკოვი ამას ვერ გვიხსნის".**

შესაძლებელია, ეს მიგვანიშნებს, რომ ჟუკოვი, რომელსაც გენერალური შტაბის უფროსის თანამდებობა ეკავა, ან არ ჩქარობდა, ან სხვა საქმეებით გაერთო. არადა, მას დაზვერვის მონაცემებით შეეძლო დაედგინა თავდასხმის საშიშროება.

მოგვიანებით, ხრუშჩოვის მცდელობის შედეგად ასეთი უზრუნველობა მხოლოდ სტალინს დაბრალდა, რომელიც ზედმეტად ენდო ჰიტლერის სამშვიდობო დაპირებებს. მაგრამ უეჭველია, რომ სტალინი ფიურერს არავითარ შემთხვევაში არ ენდობოდა. სტალინს სხვა გზა არ ჰქონდა, გარდა ერთისა — დაეცადა და იმედი ჰქონოდა, რომ ფიურერის თავდასხმა მომდევნო წლისთვის იყო გადადებული (ამის შესახებ წინა პუბლიკაციაში დაწვრილებით ვილაპარაკეთ).

მაგრამ ამის მიუხედავად, მაშინ მაინც გაიცა განკარგულება დასავლეთ საზღვრებისკენ გასაგზავნად მოემზადებინათ ნაწილები, რომლებიც ციმბირში იმყოფებოდა.

იმის შესახებ, თუ რა განწყობილება სუფევდა ქვეყანაში სამამულო ომის დაწყებამდე თვე-ნახევრით ადრე, მოგვითხრობს ერთ-ერთი სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებული ენვერ მურატოვი. 5 მაისს დღისით იგი, ამხანაგების ჯგუფთან ერთად მივიდა კრემლში საზეიმო მიღებაზე. შესვლისას ისინი არ გაუჩხრეკიათ (გაიხსენეთ მითი სტალინის საშინელი ეჭვიანობის შესახებ. ბანკეტზე ერთ-ერთმა გენერალმა სადღეგრძელო წარმოთქვა:

— ამხანაგებო! გთხოვთ, შესვათ მშვიდობის სადღეგრძელო, გაუმარჯოს სტალინურ სამშვიდობო პოლიტიკას, ამ პოლიტიკის შემოქმედს, ჩვენს დიდ ბელადსა და მასწავლებელს, იოსებ ბესარიონის ძე სტალინს.

სტალინმა პროტესტის ნიშნად ხელი გაიქნია, სიტყვა მოითხოვა. შესამჩნევად ღელავდა, აი, მთავარი, რაც მან თქვა:

**— ამ გენერალს ვერაფერი გაუგია... გერმანიას სურს, გაანადგუროს ჩვენი სოციალისტური სამშობლო, რომელიც მოიპოვეს მშრომელებმა ლენინური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. გერმანიას სურს, გაანადგუროს ჩვენი დიადი სამშობლო... მოსპოს მილიონობით საბჭოთა ადამიანი, ცოცხლად გადარჩენილები კი მონებად აქციოს. ჩვენი სამშობლოს გადარჩენა შეიძლება მხოლოდ ომით ფაშისტურ გერმანიასთან და გამარჯვებით ამ ომში. გთავაზობთ, დავლიოთ ომის სადღეგრძელო, გაუმარჯოს შეტევას ომში, ჩვენს გამარჯვებას ამ ომში!**

**ჩვენი სამშობლოს გადარჩენა შეიძლება მხოლოდ ომით ფაშისტურ გერმანიასთან და გამარჯვებით ამ ომში. გთავაზობთ, დავლიოთ ომის სადღეგრძელო, გაუმარჯოს შეტევას ომში, ჩვენს გამარჯვებას ამ ომში!**

ბოლო წინადადებამ შეიძლება აფიქრებინოს ზოგიერთებს, რომ სტალინი გეგმავდა, პირველს დაეწყო ომი, ჰიტლერმა კი აჯობა ეშმაკობით და დაასწრო. მაგრამ ნებისმიერმა ადამიანმა, ვინც ცოტას მაინც ერკვევა ამ საკითხებში, იცის, რომ ფართო შეტევის განსავითარებლად აუცილებელია შესაბამისი გეგმის დეტალური დამუშავება, ფრონტის ხაზისკენ უდიდესი ოდენობის ჯარის თავმოყრა და ა. შ. მსგავსი არაფერი საბჭოთა კავშირს არ გააჩნდა, **ჰიტლერულ გენშტაბს კი წინასწარ დამუშავებული ჰქონდა თავდასხმის გეგმა („ბარბაროსა") და, ამასთან ერთად, განახორციელა თავისი არმიების ამ გეგმასთან შეფარდებული** დისლოცირება. სტალინის სიტყვები, რომლებიც მან ბანკეტზე წარმოთქვა, ადასტურებს, რომ იგი უდიდესი სერიოზულობით და შეშფოთებით აღიქვამდა მისთვის მიწოდებულ ცნობებს და პატაკებს მაისის შუა რიცხვებში მოსალოდნელი ფაშისტური შეტევის შესახებ.

სამამულო ომის პირველი თვეების შესახებ გავრცელებული ცნობები შეგნებულად დამახინჯებულია და სიცრუის ნიშნითაა აღბეჭდილი. მაგალითად, **ასახელებენ სრულიად წარმოუდგენელ ციფრებს გერმანელების ტყვეობაში მოხვედრილი წითელარმიელებისა და მეთაურების შესახებ: 2,5 მილიონსა და მეტსაც კი — ომის პირველ თვეებში, საერთოდ კი — 3,6 მილიონს.** მაგრამ, როგორც გაირკვა, გერმანელები ტყვეებად მიიჩნევდნენ სამოქალაქო პირებისაც. ერთ-ერთ გერმანულ ბრძანებაში მითითებული იყო: „ცალკეული დასახლებული პუნქტების ხელში ჩაგდებისას აუცილებელია დაუყოვნებლივ და მოულოდნელად ხელთ იგდოთ იქ მყოფი მამაკაცები 15-დან 65 წლამდე, თუ მიიჩნევთ, რომ მათ, იარაღის ტარება შეუძლიათ... განუცხადეთ, რომ ისინი ითვლებიან სამხედრო ტყვეებად..."

დაბოლოს — **საერთო დანაკარგების შესახებ. დაზუსტებული მონაცემებით, ომში ჩვენმა დანაკარგმა 6,5 მილიონი შეადგინა, ოკუპაციაში დაიღუპა 13,6 მილიონი.** ომის პირველ ორ წელიწადში ომში 1,7-ჯერ მეტი საბჭოთა სამხედროს დაცემა, აიხსნება მტრის შეიარაღებული ძალების რაოდენობრივი და ტექნიკური აღჭურვილობის უპირატესობით.

მაგრამ აღნიშნული პერიოდის ჩვენმა დამარცხებებმა მორალურად ვერ გატეხა ხალხი, წითელი არმია, სტალინი, თუმცა მაშინ მდგომარეობა კრიტიკული იყო და 1941 წლის შემოდგომაზე სერიოზულად განიხილავდნენ ჰიტლერის ფიზიკური ლიკვიდაციის ავანტიურისტულ გეგმასაც კი. მოსკოვის დაცემის შემთხვევაში თავდასხმა უნდა განხორციელებულიყო სამხედრო აღლუმის დროს წითელ მოედანზე. 1942 წელს კი გადაწყვიტეს, მოეკლათ ჰიტლერი ეინიცის მისსავე საველე ბანაკში.

**გაგრძელება იქნება**

რუბრიკას უძღვება **არმაზ სანებლიძე**

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ქართული პოლიტიკა ორ პოლუსს შორის გაიჭედა. სახელისუფლო მხარე გააფთრებით აწებებს მოღალატის კლიშეებს არა მხოლოდ რუსეთისკენ მაცქერალ პოლიტიკურ ძალას, არამედ ყველას, ვინც მათ თვალთახედვას არ იზიარებს. „ნაციონალების“ უკიდურესი პროდასავლურობა და მათ მიერ რუსეთის მტრის ხატის შექმნა მართლაც საგანგაშო და დამაფიქრებელია.

# ორ პოლუსს შორის გაჭედილი ქართული პოლიტიკა

**„საქვეყნო“ საქმეებით სახელგანთქმულმა ჩვენმა პრეზიდენტმა დიდი დავითის ეპოქას უკუსვლით გადაურბინა და „მოღრუბლულ ცაზე“ ძველი ლაზიკის აღდგენის იდეა „შემოაგდო“. საქართველოს „ბედზე მოფუსფუსე“ სახელმწიფო „მოღვაწეს“ ხმა დაუგდეს — ეგ ისტორიული ჩაღრმავება სათავეს ოკეანის გაღმიდან იღებსო. მე კი ამ მითქმა-მოთქმამ VI საუკუნე გამახსენა.**

შავი ზღვის სანაპიროზე გაშენებული ლაზიკა იმ დროისათვის კავკასიის მთებზე მნიშვნელოვან გასასვლელებს აკონტროლებდა. ეგრისის სამეფო ბიზანტიასა და ირანს შორის გამუდმებული ომების ასპარეზად იყო ქცეული. მას შემდეგ, რაც ირანმა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში (იბერია, ალბანეთი, სომხეთის ნაწილი) მტკიცედ მოიკიდა ფეხი, ეგრისის სამეფოს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა.

**528 წელს ირანის ჯარმა დასავლეთ საქართველოში დაიკავა ციხე-ქალაქები: შორაპანი და სკანდე. ეგრისის მეფეს ბიზანტიის დამხმარე ჯარი მოუვიდა, ირანელები დამარცხდნენ და 532 წელს „საუკუნო ზავი“ დაიდო. ამ ზავით უნდა აღდგენილიყო ომამდელი ვითარება, ანუ ეგრისი ისევ ბიზანტიის გავლენის სფეროში რჩებოდა.** 541 წელს ეგრისის მეფემ გუბაზ II-მ კავშირი შეკრა ირანის მეფე ხოსრო I-თან და ბიზანტიას აუჯანყდა. მოულოდნელად 548 წელს ირანელთა ბოროტი ზრახვები გამომჟღავნდა — მტერს დაგეგმილი ჰქონდა გუბაზის მოკვლა, ქრისტიანი ლაზების ზოროასტრიზმზე მოქცევა, ეგრისელების აყრა თავიანთი მიწა-წყლიდან და იქ ირანელების ჩასახლება. გუბაზი იძულებული შეიქნა, განდგომოდა ახალ ბატონს და ბიზანტიის მხარეზე გადასულიყო. ამ მიზნით გუბაზ II-მ დახმარება ისევ იმპერატორ იუსტინიანე I-ს სთხოვა, ასევე ალიანსში ალანები და საბირები შემოიყვანა.

გუბაზ მეფე სასჯელს მაინც ვერ გაექცა, მასზე განაწყენებულმა ბიზანტიელმა სარდლებმა მოკლეს. რა თქმა უნდა, ამან დიდი მღელვარება გამოიწვია და საზოგადოებაც ორ ნაწილად გაიყო. არსებობს ხატოვანი გამონათქვამი „ჭკვიანი ის კი არ არის, ვისაც სიკეთის ბოროტებისგან განსხვავება შეუძლია, არამედ ის, ვისაც ორ ბოროტებას შორის ნაკლები ბოროტების არჩევა შეუძლიაო“. სწორედ ამგვარი პრობლემის წინაშე იდგა მაშინდელი ქართველობა. სხვათა შორის, ისტორიამ შემოგვინახა ურთიერთდაპირისპირებული ორი ქართველი დიდებულის სიტყვები, რომლებიც არა მარტო მჭევრმეტყველების ნიმუშია, არამედ, პოლიტიკური თვალსაზრისით, დღევანდელობისთვისაც მეტად საყურადღებო.

პროსპარსული ორიენტაციის აიეტი ლაზებს არწმუნებოდა, რომ გუბაზის მკვლელობა მხოლოდ დასაწყისი იყო და ბიზანტიელებს მათი მოსპობა ჰქონდათ განზრახული, სპარსელები კი გაცილებით სანდონი იყვნენ. აიეტი ასე მიმართავდა თანამოძმეებს: **„გაქრა კოლხების ძველი ღირსება, დღეიდან ჩვენ სხვებზე ვეღარ ვიბატონებთ. თუ ამ ბოროტმოქმედებას უყურადღებოდ დავტოვებთ, რომაელები აღარ დაგვეხსნებიან და ჩვენი უმოქმედობის წყალობით კიდევ უფრო გაგვაბახებენ. რომაელები უფრო თავხედურად ექცევიან მათ ვინც ემორჩილება და ზევიდან უყურებენ იმათ, ვინც ემსახურებათ. ძალიან მინდა, კოლხეთის სამეფოს ჰქონდეს თავისი ძველი დიდება, რომ მას არ სჭირდებოდეს უცხოელების დახმარება, რომ როგორც ომის, ასევე მშვიდობის დროს ის თავის ძალებს ეყრდნობოდეს, მაგრამ, როცა ჩვენ ჟამთა ვითარების გამო ან ბედის უკუღმართობის წყალობით, ან ორივე მიზეზით ისე დავუძლურდით, რომ სხვისი ხელქვეითნი გავხდით, სჯობს, ისევ კეთილისმსურველის მორჩილი ვიყოთ, იმის, ვინც იცავს კეთილ განწყობილებას თავისიანებთან და მოკავშირეებთან“.** აიეტის ამ სიტყვამ ისე აალელვა ხალხი, რომ ერთხმად იყვირეს, სპარსელებს მივემხროთო.



**აიეტი ლაზებს არწმუნებოდა, რომ გუბაზის მკვლელობა მხოლოდ დასაწყისი იყო და ბიზანტიელებს მათი მოსპობა განეზრახათ, სპარსელები კი გაცილებით სანდონი იყვნენ. ფარტაზი კი თანამემამულეებს ურჩევდა, საქვეყნო საქმისთვის დაევიწყათ წყენა და გონების ძალით საუკეთესო გზა აერჩიათ**

საპასუხო სიტყვა მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელს — ფარტაზს ეკუთვნის. ფარტაზს დიდი გავლენა და პატივისცემა ჰქონდა კოლხეთში და, საბედნიეროდ, რაციონალური პოლიტიკური ხედვაც გააჩნდა. იგი თანამემამულეებს ურჩევდა, საქვეყნო საქმისთვის დაევიწყათ წყენა და გონების ძალით საუკეთესო გზა აერჩიათ. იგი თანამემამულეებს არწმუნებდა: **„გუბაზ მეფის მკვლელობა სტრატეგების საქმეა და აქ კეისარი არაფერ შუაშია. რომაელები მაინც უფრო მისაღებნი არიან, რადგან სპარსელები ვერასოდეს შეეგუებიან, რომ ჩვენ სხვადასხვა სარწმუნოება გვაქვს. სასოწარკვეთილებას და გრძნობების ღელვას კი არ უნდა ავყვეთ, მონებივით კი არ უნდა განვიქცეთ, არამედ უნდა განვიმსჭვალოთ კოლხის თავისუფლების სურვილით, ვაჟკაცურად უნდა გადავიტანოთ უბედურება და არ ჩავიდინოთ არავითარი ულირსი, მამაპაპური წესების შემბღალავი საქციელი. შევატყობინოთ კეისარს, რაც მოხდა, და ვნახოთ, რა პასუხს მოგვცემს, თუ ჩვენი სამართლიანი მოთხოვნა უარყოფილი იქნა, მაშინ ვიფიქროთ სპარსელებთან კავშირზე“.**

საბოლოოდ ფარტაზს ავტორიტეტმა და გონიერებამ გაიმარჯვა. შეატყობინეს იუსტინიანე კეისარს მომხდარი ამბავი და მკვლელების დასჯა მოითხოვეს. იუსტინიანემ კარგად იცოდა ლაზების ფასი და სასწრაფოდ შეასრულა მათი ყველა სურვილი. მკვლელები სიკვდილით დაისაჯნენ, ხოლო მეფედ კონსტანტინეპოლში მყოფი გუბაზის ძმა წათე აკურთხა და დიდი ზეიმით სამშობლოში ჩამოიყვანა. **697 წელს ამჯერად ეგრისის მმართველმა პატრიკიოსმა სერგიმ სცადა ბიზანტიისგან განთავისუფლება არაბების დახმარებით, მაგრამ ამან კიდევ უფრო დიდი უბედურება მოიტანა. ეგრისში არაბთა სარდალი მურვან ყრუ შეიჭრა, ააოხრა ქვეყანა, დაანგრია დედაქალაქი ციხეგოჯი და სხვა ქალაქები**. ამან კიდევ უფრო დააუძლურა დასუსტებული ქვეყანა. VIII საუკუნის ბოლოს ეგრისის უკანასკნელი მთავრების: იოანესა და ჯუანშერის ხელისუფლება მთლიანად შეირყა და დასავლეთ საქართველოს გაერთიანების ინიციატივა აფხაზთა სამთავროს ხელში გადავიდა.

**როგორც ვხედავთ, ისტორიული გამოცდილება ღაღადებს — ახალი მოკავშირის მაძიებელმა ქართველობამ სავალალო შეცდომა დაუშვა.** გაცუცურაკებული მამულიშვილები იძულებულნი გახდნენ, ისევ უკან მობრუნებულიყვნენ, მაგრამ როგორია, როცა სახელგატეხილი და შერცხვენილი ძველ პარტნიორს უბრუნდები?

**გამუდმებით იმპერიების ინტერესებში მოქცეული საქართველოს ისტორიას წითელ ხაზად გასდევს მსგავსი შემთხვევები, სამწუხაროდ, ისტორია მეორდება და დღესაც გზის გასაყარზე ვდგავართ. უახლოესი წარსული და დღევანდელობა ამის თვალსაჩინო მაგალითია.**

საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად, დღის წესრიგში მსოფლიოს ხელახალი გადანაწილების აუცილებლობა დადგა. საქართველო ამ თვალსაზრისით კვლავ უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ რეგიონად დარჩა. ყოფილ საბჭოურ სივრცეში წარმოშობილმა ეკონომიკურმა პრობლემებმა და მცირე ერისთვის დამახასიათებელმა თვითგადარჩენის მომეტებულმა ინსტინქტმა ქართული პოლიტიკა მკვეთრად გადახარა დასავლეთისკენ. ამ **კატაკლიზმების პირველ ტალღას მოყოლილ ქართველ პოლიტიკოსთა უმეტესობა დისიდენტური იყო, რომლებიც მკვეთრი რადიკალიზმით გამოირჩეოდნენ. ეროვნულ მოძრაობიდან გამოსულ პოლიტიკოსებს სახელმწიფოს მართვის არავითარი გამოცდილება არ გააჩნდათ და მწირი წარმოდგენა ჰქონდათ შორსმიმავალ გლობალურ პროცესებზე.**

ეროვნულ მოძრაობას სამი გამორჩეული ლიდერი ჰყავდა — **მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია** და **გია ჭანტურია.** ტრაგიკული ბედის ამ სამ ლიდერთაგან საქართველოს პრეზიდენტობა მხოლოდ ზვიად გამსახურდიას ერგო. დასავლეთისგან წახალისებული **გამსახურდია** (დისიდენტობის წლებში ზვიად გამსახურდია ამერიკის კონგრესის მიერ ნობელის პრემიაზეც კი იყო წარდგენილი) **სიკვდილამდე ცოტახნით ადრე, 1992 წელს მიცემულ ინტერვიუში დაუფარავად აცხადებს: ჩვენ არ დავუშვებდით იმას, რომ საქართველო დასავლეთის კოლონია გამხდარიყო. ამიტომაც სამხედრო გადატრიალება ოკეანის გაღმიდან მამა-ბუშის დასტურითა და სახელმწიფო მდივან ბეიკერის უშუალო მონაწილეობით განხორციელდაო.**

შესაძლოა, ბატონ ზვიადის ეს გამონათქვამი ვინმეს გადაჭარბებულად მოეჩვენოს, რომ არა შემდგომ განვითარებული მოვლენები. კანონიერი ხელისუფლების განდევნის შემდეგ საქართველოში ძველი თაობის ცნობილი პოლიტიკოსი ედუარდ შევარდნაძე ჩა- ▶

მოკლედ

## ეგვიპტის პრეზიდენტობა 200-მდე ადამიანს სურს

**უცხოური მედიის ინფორმაციით, ეგვიპტეში პრეზიდენტობის კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყო და პირველივე დღეს ქვეყნის პირველი პირობის სურვილი 199-მა პირმა გამოთქვა.** პრეზიდენტობის მსურველებმა საარჩევნო კომისიისგან შესაბამისი დოკუმენტაცია გამოითხოვეს. კანდიდატად რეგისტრაციისთვის მათ 30 ათასი ხელმოწერა უნდა შეაგროვონ ან 30 მოქმედი დეპუტატის წერილობითი მხარდაჭერა წარადგინონ. პრეზიდენტობის კანდიდატთა რეგისტრაცია 8 აპრილამდე გაგრძელდება. საპრეზიდენტო არჩევნები კი ეგვიპტეში 23-24 მაისს გაიმართება.

## ჯილდო აგენტების სანაცვლოდ

**საქართველოში აშშ-ის საელჩოს ცნობით, აშშ-მა FBI-ს ყოფილი აგენტის, რობერტ ლევინსონის გაუჩინარების მეხუთე წლისთავზე, ინფორმაციისთვის, რომელიც დაეხმარება გამოძიების ბიუროს, დაადგინოს ყოფილი აგენტის ადგილსამყოფელი და უზრუნველყოს მისი უსაფრთხო დაბრუნება, მილიონიანი ჯილდო დააწესა.** რობერტ ლევინსონი უკანასკნელად 2007 წლის 8 მარტს ნახეს, როდესაც იგი მოგზაურობდა კუნძულ კიშზე, ირანში, როგორც კერძო დეტექტივი. 9 მარტის შემდეგ იგი არავის უნახავს. გამოძიების ფედერალური ბიურო ლევინსონის საქმესთან დაკავშირებით გამოძიებას 2007 წლიდან აწარმოებს.

**შექმნილ სიტუაციაში სავსებით ლოგიკური იქნებოდა მეორე საპირისპირო საყრდენის შექმნა, რომელიც ჩრდილოელ მეზობელთან დაჩქარებულ და მჭიდრო კანტაქტების აღდგენის რეალურ პროგრამას შესთავაზებს საზოგადოებას. ამგვარ პოლიტიკურ განლაგებაში უმთავრესი — მესამე ცენტრის ფუნქცია ბატონ ბიძინა ივანიშვილის „ქართულმა ოცნებამ“ უნდა იტვირთოს, სწორედ მათ უნდა შეძლონ ორ პოლუსს შორის გაჭედილი პოლიტიკური ცნობიერება იმპერიათა ციცაბო ბილიკებზე ისე ატარონ, რომ ქართული სახელმწიფოებრიობა უვნებელი გადარჩეს.**

## ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ მოდის. ზვიად გამსახურდიას პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს ამბოხებულ თბილისში თვით ამერიკის სახელმწიფო მდივანი ბეიკერი ჩამოაკითხავს. ყველაფერი ნათელია, თუმცა შეუსაბამობაც სახეზეა — საბჭოთის კავშირის კარზე აღზევებული შევარდნაძე მოსკოვიდან ჩამოფრინდა და მისი სახელიც რუსულ ინტერესებთან გაიგივდა. უფრო სწორად, ასე ერთი შეხედვით ჩანდა, სინამდვილეში საქმე უზუსტეს ლოგიკას ექვემდებარებოდა. დასავლეთის მიერ „გადირკული პერესტროიკის“ ნავი ძალიან მალე ამოტრიალდა და ნობელის პრემიის ლაურიატი საბჭოთა კავშირის უკანასკნელი პრეზიდენტი გორბაჩოვიც „ფსკერზე“ დაიტანა.

შევარდნაძე ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც „პერესტროიკელთა გუნდიდან“ პირველმა მოისროლა „ნიჩაბი“ და საქართველოსკენ გამოსწია. ახალი წესრიგის რეჟისორები ბატონ ედუარდს შესაბამისი როლისთვის ამზადებდნენ. მინდა დავიჯერო, რომ ერთ დროს საბჭოეთის მეხოტბე მაღალი რანგის პარტიულ ფუნქციონერს ნამდვილად სურდა, საქართველოს ისტორიაში გამორჩეული როლი ეთამაშა. **გიორგიდ მონათლულმა საქართველოს მეორე პრეზიდენტმა ახალი როლი შეიფერა. დასუსტებული რუსეთიდან პირი იბრუნა და მკვეთრად გადაქანდა დასავლეთისკენ. მისი გათვლა ასეთი უნდა ყოფილიყო: საქართველო სრულ დამოუკიდებლობას მიაღწევდა და ევროპულ სივრცეშიც საპატიო ადგილს დაისაკუთრებდა. ამ გულუბრყვილო ოცნებას აღსრულება არ ეწერა.**

**ხანდაზმული შევარდნაძე გვიან მიხვდა, რომ ისიც „გააცურეს“. გაცუცურაკებულმა სახელმწიფოს მეთაურმა ამჯერად საპირისპირო სვლა გააკეთა და ისევ რუსეთისკენ იბრუნა პირი, კონფლიქტების გადაწყვეტის საკითხი უკანასკნელი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე ცოტა ხნით ადრე აშკარად პრორუსული ორიენტაციის ასლან აბაშიძეს მიანდო. რა თქმა უნდა, დიდი რეჟისორები გულხელდაკრეფილნი არ მსხდარან. საქართველოს „საკეთილდღეოდ“ დახარჯული ფინანსების წყალობით, რევოლუციურ ვარდებს უკვე ყლორტი წამოელო.**

2003 წელს პირველი რევოლუციური ექსპერიმენტი საქართველოში წარმატებით განხორციელდა. ამჯერად ხელისუფლებას დასავლეთიდან ფრთაშესხმულ ახალგაზრდა პოლიტიკოსთა კლონირებული ჯგუფი დაეპატრონა. **ძლიერი პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერით წელში გამართულმა „ვარდების რევოლუციის“ პირმშოებმა აშკარად იწყეს რევოლუციამდელი ცნობიერების ხელაღებით უარყოფა.** მათი იდეოლოგიის სამიზნე გახდა წარსული და ის თაობები, ვის კისერზეც უნდა მდგარიყო სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი საფუძვლები. გეგმაზომიერად მიმდინარეობდა ადამიანთა მეხსიერებიდან იმ პოზიტიური მომენტების ამოშლა, რომლებიც დაკავშირებული იყო საბჭოეთთან და რუსეთთან. **წარსულისკენ ყურება და რუსული ორიენტაცია სამშობლოს ღალატად გამოცხადდა.**







**ქართველმა ერმა აირჩია გამსახურდია, რასაც ეთნოკონფლიქტები და სამოქალაქო ომი მოჰყვა. საზოგადოების დიდმა ნაწილმა აირჩია შევარდნაძე; შედეგად ტერიტორიების დაკარგვა, ქაოსი და გაუბედურებული ყოფა „დავიმსახურეთ“. შემდეგ ხალხის უდიდესმა ნაწილმა ხმათა 96,27%-ით ზარ-ზეიმით აირჩია სააკაშვილი. ახალგაზრდა პრეზიდენტმა კი დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების ბუნდოვანი პერსპექტივა შეგვაჩეჩა ხელთ**

20-წლიანმა პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა საგრძნობი კორექტივები შეიტანა ადამიანთა ცნობიერებაში, ძალიან ბევრი დარწმუნდა, რომ ჩრდილოელი მეზობელი გაცილებით მისაღებია ეკონომიკური, რელიგიური და სხვა მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით, ვიდრე მისთვის უცხო და უცნობი დასავლეთი. ძველმა და ახალი თაობის პოლტიკოსებმა კვლავ დაიწყეს ყურება იმ გზისკენ, რომელიც ჯერ კიდევ ორი საუკუნის წინ გაჭრეს მრავალჭირვარამგამოვლილმა წინაპრებმა. ამგვარად, **ქართული პოლიტიკა ორ პოლუსს შორის გაიჭედა. სახელისუფლო მხარე გააფთრებით აწებებს მოღალატის კლიშეებს არა მხოლოდ რუსეთისკენ მაცქერალ პოლიტიკურ ძალებს, არამედ ყველას, ვინც მათ თვალთახედვას არ იზიარებს. „ნაციონალების“ უკიდურესი პროდასავლურობა და მათ მიერ რუსეთის მტრის ხატის შექმნა მართლაც საგანგაშო და დამაფიქრებელია.** თუ ჩვენ სახელმწიფოებს, იდეალისტების მიერ შეკერილ ლამაზ ფარდებს ჩამოვხსნით, დავინახავთ, რომ არსებობისთვის ბრძოლა სიცოცხლის უმთავრესი კანონია. ამ კანონის მიხედვით ძლიერი იმარჯვებს, დიდი მცირეს იმორჩილებს, ზოგჯერაც ძლიერნი ამა ქვეყნისანი ფარული ან ღია შეთანხმების შედეგად ნადავლსა და გავლენის სფეროებსაც ინაწილებენ.

2003 წლის ივლისში აფხაზეთის მეომართა კავშირმა იმელის შენობასთან შიმშილობის აქცია გამართა, მოშიმშილეები ყველა აფხაზეთიდან დევნილი ვეტერანი მეომარი იყო. ამ 9 კაციდან ერთადერთი თბილისელი მე გახლდით. ეს აქცია იმ დროს „სიენენმაც“ კი გააშუქა. მოშიმშილეთა მთავარ მოთხოვნას გაეროს რეზოლუციის მე-7 მუხლის ამოქმედება წარმოადგენდა, რომლითაც სეპარატისტულ ხელისუფლებას აიძულებდნენ, დევნილები მშობლიური კერისთვის დაებრუნებინა. ერთხელაც აქციაზე მოსულმა ჟურნალისტმა კითხვა დამისვა:

**— დასავლეთს მიაჩნია, რომ აფხაზეთის პრობლემის მოგვარების გასაღები რუსეთის ხელშია, თქვენ რა აზრის ხართ ამის თაობაზე?**

**— ეს იმას ნიშნავს, რომ დასავლეთი რუსეთს გაურიგდა და საქართველო გადაინაწილეს,** — ვუპასუხე გაღიზიანებულმა.

საუბედუროდ, ეს მოსაზრება საფუძველსმოკლებული არ არის. ნუგეშს არც აღმოსავლეთევროპული გამოცდილება იძლევა, სადაც არა ერთი სახელმწიფო დაიშალა და დაქუცმაცდა. ამ ფონზე ჩვენთვის განსაკუთრებით საგანგაშო 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგებია. სამწუხაროდ, გაუაზრებელი ნაბიჯებით თავად ჩავიყენეთ გამოუვალ მდგომარეობაში თავი. ჩვენმა ძმებმა სომხებმა, რომელთა ლანძღვაშიც დღეს ზოგიერთს ბადალი არ ჰყავს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსების თანადგომით ტერიტორია გაიფართოეს (თუმცა მათ ოკეანის გაღმით და ევროპაშიც ძალიან დიდი ლობი გააჩნიათ). ჩვენ კი იმ შემთხვევაშიც, თუ უკან მობრუნება დავაპირეთ, იმის შიში უნდა გვქონდეს, გამოწვდილ ხელს როგორ ჩამოგვართმევს ძველი პარტნიორი, აღდგება თუ არა ჩვენივე ძალისხმევით ჩანგრეული ხიდი, დაგვიბრუნებენ წართმეულს?

რეალობას ვერ გავექცევით, ქართული სახელმწიფოს მომავალი ამჯერადაც მჭიდროდ არის გადანასკვული საგარეო ორიენტირზე. სახეზეა რადიკალურად პროდასავლური სახელისუფლო ცენტრი. **შექმნილ სიტუაციაში სავსებით ლოგიკური იქნებოდა მეორე საპირისპირო საყრდენის შექმნა, რომელიც ჩრდილოელ მეზობელთან დაჩქარებულ და მჭიდრო კანტაქტების აღდგენის რეალისტურ პროგრამას შესთავაზებს საზოგადოებას. ამგვარ პოლიტიკურ განლაგებაში უმთავრესი — მესამე ცენტრის ფუნქცია ბატონ ბიძინა ივანიშვილის „ქართულმა ოცნებამ“ უნდა იტვირთოს, სწორედ მათ უნდა შეძლონ ორ პოლუსს შორის გაჭედილი პოლიტიკური ცნობიერება იმპერიათა ციცაბო ბილიკებზე ისე ატარონ, რომ ქართული სახელმწიფოებრიობა უვნებელი გადარჩეს.**

**20-წლიანმა პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა საგრძნობი კორექტივები შეიტანა ადამიანთა ცნობიერებაში, ძალიან ბევრი დარწმუნდა, რომ ჩრდილოელი მეზობელი გაცილებით მისაღებია ეკონომიკური, რელიგიური და სხვა მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით, ვიდრე მისთვის უცხო და უცნობი დასავლეთი**

გააზრებული მოქმედებით, ჩვენ შეგვწევს უნარი, ჩავშალოთ საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების საწინააღმდეგოდ ნებისმიერ ძალებს შორის დადებული ღია თუ ფარული გარიგება. ცივილიზებული მსოფლიოს ღირსეული წევრობა კი მხოლოდ გონიერებით, ურთიერთშეთანხმებული მოქმედებითა და მოთმინებით მიიღწევა.

შეგახსენებთ, ქართველმა ერმა აირჩია ერთ დროს ამერიკის კონგრესის მიერ ნობელის პრემიაზე წარდგენილი გამსახურდია, რასაც ეთნოკონფლიქტები და სამოქალაქო ომი მოჰყვა. საზოგადოების დიდმა ნაწილმა აირჩია გავლენიანი დასავლელი „მეგობრებით“ გარემოცული შევარდნაძე; შედეგად ტერიტორიების დაკარგვა, ქაოსი და გაუბედურებული ყოფა „დავიმსახურეთ“. შემდეგ ხალხის უდიდესმა ნაწილმა 96,27%-ით ზარ-ზეიმით აირჩია ამერიკის კონგრესის მიერ ნობელის პრემიის მეორე ქართველი ნომინანტი სააკაშვილი. ახალგაზრდა პრეზიდენტმა კი პატიმრებით გადაჭედილი ციხეები, სისხლის ნიაღვარი და დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების ბუნდოვანი პერსპექტივა შეგვაჩეჩა ხელთ.

ბუნებრივია, იბადება კითხვები: **ვინ არიან ისინი ან რა არის ამ სავალალო მდგომარეობის მიზეზი — დიდი „მეგობრები“, ნაცარქექიას სინდრომით შეპყრობილი პოლიტიკოსები თუ საზოგადოების დაბალი პოლიტიკური ცნობიერება?** ფაქტია: **„უბედურები ყოველთვის ტყუიან, ტყუიან იმიტომ, რომ უბედურები არიან და ეს უბედურება სალაპარაკოდ გაუხდიათ, ტყუიან იმიტომ, რომ უბედურები არიან და სხვისი შემწეობა სჭირიათ, ტყუიან იმიტომ, რომ უბედურები არიან და სხვას ვერაფრით ეხმარებიან“.**

რა არჩევანს გავაკეთებთ ხვალ? შეცდომის დაშვების ლიმიტი ამოწურულია!

დადგა დრო, უარი ვთქვათ სახელისუფლო პარტიებიდან პოლიტიკური კლონების გამოყვანის ანომალიურ პრაქტიკაზე. **აუცილებელია, შეიქმნას ისეთი სამართლებრივი მოდელი, რომელშიც, ღმერთმა დაგვიფაროს და, იმ ერთ რჩეულს „აგური“ რომ მოხვდეს ანდა „ფეხი გადაუბრუნდეს“, საზოგადოება ფეტვის მარცვალივით არ უნდა დაიბნეს, პოლიტიკური სისტემა ხუხულასავით არ უნდა ჩამოიქცეს.** მაგრამ აქ მარტოდენ სამართლებრივი მოდელი არას გვარგებს, თუ ნებისმიერმა პოლიტიკოსმა არ გაითავისა თამაშის ახლებური წესი, ნათლად არ გააცნობიერა პასუხისმგებლობის საშიშროება, რაც უკანონო ქმედებისთვის უცილობელ დასჯას გულისხმობს.

**ზურაბ დგებუაძე,**
პოლიტიკური დევნილი

## ტექნიკა თავდასხმის გადავადების სანაცვლოდ

**აშშ-მა ისრაელს ირანზე დარტყმის ვადის გადადების სანაცვლოდ უახლესი საბრძოლო ტექნიკა შესთავაზა.** წყაროს ცნობით, ისრაელისათვის იარაღის მიწოდების საკითხი ისრაელის პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუს ვაშინგტონში ვიზიტის დროს განიხილებოდა. აშშ-ის ხელისუფლებამ ისრაელის არმიას ბუნკერსაწინააღმდეგო ყუმბარები და საწვავით მომმარაგებელი თვითმფრინავები შესთავაზა. ამის სანაცვლოდ კი ისრაელმა ირანზე სავარაუდო დარტყმის ვადა 2013 წლამდე უნდა გადასწიოს. აშშ-ის ხელისუფლების ვარაუდით, ამერიკული შეიარაღება ისრაელს საშაულებას მისცემს, ირანზე ტაქტიკური უპირატესობა მოიპოვოს. დაეთანხმა თუ არა ნეთანიაჰუ ამერიკელების შეთავაზებას, ჯერჯერობით უცნობია.

## აშშ და ისრაელი ირანის საკითხზე შეთანხმდნენ

**აშშ და ისრაელი ირანის პროგრესირებადი ბირთვული პროგრამის წინააღმდეგ სამოქმედო გეგმაზე შეთანხმდნენ.** ეს განცხადება ჟურნალისტებთან საუბარში ისრაელის პრეზიდენტმა შიმონ პერესმა გააკეთა. პერესის განცხადებით, საზოგადოების წინაშე სამხედრო ინტერვენციის განხილვა არ მოხდება. „ეკონომიკური სანქციები გეგმის პირველი ნაწილია, თუმცა არა პრობლემის გადაწყვეტის ერთადერთი გზა“, — განაცხადა მან.

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ფაშისტურ ნაგავზე აღმოცენებული ავყია, უზნეო, ცრუპენტელა, ქვეყნის მოძულე „ნაციონალების“ მექანიკურად შეკოწიწებულთა ხროვა კარგად გრძნობს ავღანეთში ქართველი ახალგაზრდების მკვლელობაში თავის ლომის წილს და შორს აღარ არის ის დრო, როცა ქართველი ხალხი ყველა სხვა დანაშაულთან ერთად ამასაც ამოანთხევინებს.**

# მუხთლობის ბილიკზე შემდგართა ღვარძლი

**ჰიტლერმა ტრიბუნიდან ისე თვალდაუხამხამებლად განაცხადა, მთელი ჩემი სიცოცხლე მშვიდობისათვის ვიბრძოდიო, თითქოს ომის დემონი კი არა, ცით მოვლენილი კეთილი ანგელოზი ყოფილიყო. როცა პოლონეთში გერმანიის ზარბაზნები გრიალებდა, ის რაიხსტაგის ტრიბუნაზე იდგა და თავის მშვიდობისმოყვარე პოლიტიკაზე ქადაგებდა.**

ყველაზე გახრწნილ მეძავს დაუსრულებლად შეუძლია იყბედოს თავის შეუბღალავ, უმწიკვლო რეპუტაციაზე, ისე, რომ სინდისის ძარღვის შეტოკება არ იგრძნოს, რამეთუ მისი სინდისი უსინდისობის სამსახურშია.

როგორი უსირცხვილო, უტიფარი, გახრწნილი დემაგოგი უნდა იყოს ადამიანად წოდებული არსება, უკუღმართს წაღმართად რომ აპირკეთებს და წყლის აღმა სვლაზე დორბლიანი ლაქლაქით აბითურებს გარობოტებულ მსმენელს. ვისაც დაბეჩავების ბანგი ადამიანურ და მამულიშვილურ სიამაყეს ვერ გაუხუნებს, ყველა ამქვეყნიურ ცოდვას წამოეჰკიდებს, თვითონ უცხო ქვეყნის დაქირავებული ყაჩაღი სხვა ქვეყნის აგენტობას დააბრალებს და მეკობრეთა დაუნდობლობით გაუსწორდება. სუსტი ადამიანები კი დაუნდობელი მოძალადის შიშით ენას პროტესტის სათქმელად ვერ აბრუნებენ, სანამ ამათ თემიდას მსახვრალი ხელი სანაგვეზე არ მოისვრის.

**განა ოდესმე იფიქრებდა ფაშიზმზე გამარჯვებული ქართველი მებრძოლი, რომელმაც კაცობრიობის საზარელი ჭირის ამოსაძირკვად ბრძოლით გაიარა კავკასიიდან ბერლინამდე სისხლით მორწყული ეკლიანი გზა, რომ მის ნაფერებ სამშობლოს სანაგვეზე აღმოცენებულ შხამიან სარეველასავით მოედებოდა ფაშიზმის ღვარძლი და ბოროტება?**

**დღეს პატარკაციშვილის ტელევიზიის ეთერი, „ნაციონალთა“ მიერ დაყაჩაღებული და მოწამლული, სიცრუისა და გარყვნილების ბურუსში ახვევს ისედაც გაუსაძლისი გაჭირვების ბრჭყალებში მყოფ ქართველობას.**

ესპანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკას მხარს უჭერდა პროგრესულად მოაზროვნე მსოფლიო, ფრანკომ ჰიტლერისა და მუსოლინის ფაშისტური ბანდების დახმარებით რომ მოახრჩო, როგორც პითონმა შვლის ნუკრის ნაშიერი. ამათ კიდევ გამოჩხრიკეს ვიღაც ქართველი, ფრანკოს მხარეს რომ იბრძოდა, და ლამის გმირად შეასაღეს მათგანვე დაბეჩავებულ საქართველოს, თან იმათი სახელების აღმოფხვრას ცდილობენ, ვინც თავგანწირვით იბრძოდნენ ფაშიზმის წინააღმდეგ.

სასტიკად ნაწამები მამაცი ქართველი გოგონას — ზოია რუხაძის სახელს რომ გადაარქმევ ქუჩას, უფრო საპატიოს რას არქმევ?! ვთქვათ, კომუნისტების სახელი სულს გიშფოთებს, მაგრამ რა დაგიშავა ნესტორ კალანდარიშვილმა? ის ხომ ანარქისტი იყო და მთელ ციმბირში ქართველი კაცის მამაცობის სიმბოლოდ იქცა.

**ყბაბინძურმა ტელევიზიებმა პირზე დორბლი მოიდინეს, რუსეთში სამამულო ომში მონაწილე ქართველები არ გაიხსენესო. შენ რატომ ებრძვი იმათ წმინდათა-წმინდა ხსოვნას და რატომ ანგრევ მათი დიდების მემორიალებს?! სიცრუეზე მომართულ ცნობილ ტელევიზიებს სხვა წვრილფეხობაც მიაბეს, თავიანთი დემაგოგიური სიცრუით სიმართლეს რომ ებლანდებიან ფეხებში, რუსეთის სიძულვილით გმირ ქართველ მამულიშვილთა ღვაწლს უზნეოთა ღვარძლს აყრიან.**

ამერიკელ-ინგლისელები სტალინის მიერ დაჩოქებულ ფაშისტ მხეცს ზურგიდან რომ მიესივნენ (რა დაინახეს, რომ ხერხემალში მალე გადატეხავენ), ეგენი მაგარი ბიჭები არიან და ჩვენი გმირი მამულიშვილები არა?! ცოდვილი „ნაციონალები“ სტალინის ხსოვნას ებრძვიან, არადა, მისის სახით ქართველმა ერმა კაცობრიობას მისცა ისეთი გენიალური შვილი, რომელსაც ყველა ერი ინატრებდა. ისე გადასახლდა უკვდავებაში, ერთი საყელოდაკემსილი ფარაჯა დარჩა მხოლოდ. ვის ხსოვნას ურქენთ, თქვე ფაშიზმის გაუმაძღარო ფეხჩლიქიანებო?! რაც ქართველი ხალხის ძარცვით მოიხვეჭეთ, როგორ ფიქრობთ, საფლავში წაიღებთ იმქვეყნად უზნეო ღრეობებისა და ორგიების გასაგრძელებლად ან ქართველი ხალხი შეგარჩენთ უამრავ უბედურებას, რაც მას თავს დაატეხეთ?!

გერინგიც აგროვებდა ზღაპრული სიმდიდრის მამულ-კარინჰოლში მთელ ევროპაში ნაძარცვ ქონებას და ეგონა, ნაყაჩაღარზე ნებივრობა შერჩებოდა. ბოლოს ციანკალის ამპულის შოვნა სანატრელი გაუხდა, რომ საპატიმროში ჩამოსახრჩობად შეგდებულს ვირთხასავით გაეჭიმა ფეხები. გაფრთხილდით, განკითხვის დღე ყველა ცოდვიან მოღალატეს ფეხდაფეხ დასდევს!

**სულ ცალ კარში რომ თამაშობთ, თქვე გაუმაძღარო ბიუჯეტის ვირთხებო, რატომ გგონიათ, რომ ორ კარში თამაში არ მოგიწევთ?! რვა, ათი და თხუთმეტი ათასი ხელფასები რომ დაინიშნეთ; ამაზე მეტ პრემიებს რომ იჯიბავთ, გართობებს, სხვა უამრავ ნებივრობას იფინანსებთ ბიუჯეტიდან და მაინც ვერ გამძღარხართ და პენსიონერებისთვის კი ასი ლარიც გებევრებათ, რას ფიქრობთ, შეგრჩებათ?! ლტოლვილებს მაინც დაანებეთ თავი! თქვენი ავანტიურისტული ამბიციების მსხვერპლთ რატომ ერეკებით იმ შენობებიდან, თქვენ მიერ აბუჩად აგდებულმა უფროსმა თაობამ რომ ააშენა, და ასე უსირცხვილოდ იტაცებთ?**

თურმე რუსეთის სპეცსამსახურებმა ააფეთქეს გაზსადენი, რათა საქართველოში სიცივით გაყინულიყვნენ. ეს ვინმე კერძო პირმა რომ თქვას, მისთვისაც სამარცხვინოა. ესენი კი სამთავრობო ტელევიზიებიდან გაჰყვირიან ისე, როგორც სოფლის სალაყბოზე დედაკაცი.

**აგვისტოს ომი საკუთარი ხალხის ამოწყვეტით დაიწყეს და ათასობით ქართველი ლტოლვილად აქციეს, მაგრამ სიმართლე არ უნდა თქვა, თორემ რუსეთის აგენტობა მოგეკერება.** სამაგიეროდ ომის დროს ამერიკის ფლოტის შემოსვლა შავ ზღვაში და ამერიკელთა ავიაციის მიერ რუსეთის დაშინების შესახებ ყვარყვარეს მოლანდება, ამერიკის სამხედრო კოლეჯში სიმართლედ რომ გაასაღა, რომელიმე სასახლის ტაკიმასხარა კი არა, საქართველოს პრეზიდენტი იყო.

ისტერიკა დაიმართეს, პუტინმა რატომ თქვა, რომ რუსი ხალხი ქართველი ხალხის მეგობარია და მოლაპარაკების პირველ ეტაპზე 8 აგვისტოს დონემდე მივალთო. ტელევიზიით ისეთი ჭკუამეჩხერი ადამიანებიც გამოიყვანეს, რომლებიც ამტკიცებდნენ, ერებს შორის მეგობრობა შეუძლებელიაო. რას იზამ, მუხთლობის ბილიკზე შემდგარი არსება ყველაფრის მკადრებელია.

ესენი ხელისუფლებას ისე ეჭიდებიან, როგორც ნავის კიდეს წყალში ჩავარდნილი, რადგან იცის, რომ ხელის გაშვებისთანავე ჩაიძირება. **ამათი ლაქლაქი დემოკრატიული არჩევნების ჩატარებაზე ისეთივეა, როგორც მგლის მიერ ცხვრის ხორცის ჭამის აკრძალვაზე ფიცის დადება.**

უსირცხვილობა, სიცრუის სიმართლედ გასაღება ის იარაღია, სახელისუფლო ბანდა ხელისუფლების შესანარჩუნებლად ამ ეტაპზე რომ იყენებს. როცა მისი დაკარგვის აშკარა საფთხის წინაშე დადგებიან, ყოველგვარ სიბინძურეს იკადრებენ, რაც კი კაცობრიობას დღემდე დაუგროვებია. მათთან ცივილიზებული მეთოდებით პაექრობა ისეთივეა, მგელს რომ სახარება უკითხო.

მთელი ქართველი ხალხი გაოგნებულია ბიძინა ივანიშვილისათვის საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევით. იმით, რაც მან დღემდე გააკეთა, ქართველ მამულიშვილთა შორის დაიმკვიდრა ღირსეული ადგილი. ამჟამად კი ქართველი ერის ხსნის იმ სახიფათო, ეკლიან გზაზე შედგა, რომელზეც წმინდანად შერაცხულმა, თავდადებულმა წინაპრებმა გაიარეს. მასზე ითქმის:

**საამო ხმაზე მომართე**
**საქართველოს ხსნის**
**ფანდური.**
**შფოთავს და საკბენად**
**იწევს**
**სეთურია თუ ყანდური;**
**უძლებს ვერ გაურკვევია,**
**სად კუჭი აქვს და**
**სად — გული;**
**შენ კი სამშობლოს**
**ნერგი ხარ,**
**მის მკერდზე**
**ფესვებგადგმული.**

ამგვარი მამულიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევას თვით თემურ ლენგიც მოერიდებოდა. განა გულუბრყვილობა არ არის, ამ ხელისუფალთ ბიძინა ივანიშვილისათვის საქართველოს მოქალაქეობის აღდგენა თხოვო ხალხის ხელმოწერებით?



**სამამულო ომში მონაწილე ქართველების წმინდათა-წმინდა ხსოვნას ებრძვიან და მათი დიდების მემორიალებს ანგრევ! რუსეთის სიძულვილით გმირ ქართველ მამულიშვილთა ღვაწლს უზნეოთა ღვარძლს აყრიან**

**განა მთელ მსოფლიოში საღად მოაზროვნე ადამიანების სინანულის ღიმილს არ იწვევს ისედაც სისხლდადენილი პატარა საქართველოდან ლაქია „ნაციონალთა“ მიერ საუკეთესო ახალგაზრდების ავღანეთში საზარბაზნე ხორცად გაწირვა? და ეს იმიტომ, რომ ობამამ ყვარყვარეს ხელი ჩამოართვას და საქართველოს ძარცვარბევის მანდატი გაუგრძელოს!**

რძალმა რომ მამამთილს კბილები ჩაუმტვრია, მთელი კვირა იყბედა „ნაციონალთა“ ტელევიზიამ და ახალ ზელანდიაში ავტოავარიის დროს დაღუპულ ერთ კაცზე კინაღამ შავები ჩაიცვა. ამ თავქარიანი პრეზიდენტის ავღანური ვოიაჟის პერიოდში დაღუპული სამი ქართველი ვაჟკაცის შესახებ კი ისე გვამცნეს, გლეხი საქათმეში მკვდარ ქათამს რომ იპოვის. **ფაშისტურ ნაგავზე აღმოცენებული ავყია, უზნეო, ცრუპენტელა, ქვეყნის მოძულე „ნაციონალების“ მექანიკურად შეკოწიწებულთა ხროვა კარგად გრძნობს ავღანეთში ქართველი ახალგაზრდების მკვლელობაში თავის ლომის წილს და შორს აღარ არის ის დრო, როცა ქართველი ხალხი ყველა სხვა დანაშაულთან ერთად ამასაც ამოანთხევინებს.** მათ პრეზიდენტს კი, პუტინის დაპირების შიშით, კვერცხების ძეგლის შენების ჰარიქა შეჰყრია. მაგრამ თუ ყვარყვარეს ბოდვებს გააგრძელებს, ქართველი ხალხი საქმეს აქამდე არ მიიყვანს — უფრო შეღავათიანი დაკიდება მოუწევს მუსოლინის მეთოდით. „ნაციონალები“ კი ისე დაფრთხებიან, მუსოლინის დაპატიმრების შემდეგ რაც მოხდა, მონაგონი იქნება.

**რაც უფრო ბოროტად ჩაეჭიდებიან ხელისუფლებას, მით უფრო მკაცრი იქნება ხალხის სამსჯავრო. ამათი აღსასრული მოახლოვდა, მაგრამ ქართველმა ხალხმა თუ მკაცრად არ აღიმაღლა ხმა, ავღანეთში მყოფი კიდევ ბევრი ახალგაზრდის დედას ჩააცმევენ შავს. მივმართავ ამ ლექსით ჩემს ერს:**

## ქართლის დედის მოთქმა

**რა ცოდვა გვქონდა ისეთი,**
**სულ გლოვას რატომ ვუნდებით,**
**რა ჭირმა შემოგვისია**
**მუხთლად შობილთა გუნდები?!**
**შვილებო, თქვენი აკვნები**
**სამშობლოსათვის დავარწევთ;**
**ვინც მაღალ პოსტში გაგცვალათ,**
**განკითხვის წყევლას დავაწევთ!**
**სიცოცხლის ჰიმნად გაზრდილნო,**
**კუბოთი რად გვიბრუნდებით?!**
**თქვენი სისხლით ვინც ვაჭრობენ,**
**ხალხს აქ დაადეს ხუნდები.**
**თავისუფლების ცხელი მზე**
**ძაძით შემოსეს, აგრილდა;**
**ქართველი ცრემლით იხრჩობა,**
**შენ ავღანეთში რა გინდა?!**
**მომხდურნი შვილებს გვტაცებდნენ,**
**მამლუქად ყიდდნენ ადრიდან;**
**დედაენა გთხოვს შველას და**
**შენ ავღანეთში რა გინდა?!**
**აქ სიცრუე გვყავს მეუფედ,**
**გვიტევს ღალატი ნაგვიდან;**
**დედასამშობლოს გპარავენ,**
**შენ ავღანეთში რა გინდა?!**

**გივი სომხიშვილი**, მწერალი

ერთის მხრივ, ქვეყანას მართავს დამნაშავე მონოლითური რეჟიმი, რომელიც მზადაა ნებისმიერ წინააღმდეგობას ცეცხლით და მახვილით გაუსწორდეს, ხოლო მეორეს მხრივ, ამ საშინელი რეალობის შეცვლას მეოცნებეები უმტკივნეულოდ, მხოლოდ არჩევნების დღეს, საარჩევნო უბანში მისვლით გვპირდებიან...
მიშიზმის მსგავსი დამნაშავე რეჟიმები ემხობიან მხოლოდ და მხოლოდ ხალხის ძლიერი პროტესტით, დაუღალავი ბრძოლით, მასშტაბური საპროტესტო აქციებით, დაუმორჩილებლობით, სიმართლის თქმით და არა ისეთი ყალბი კონსტრუქტივიზმით, როგორსაც მეოცნებეები გვთავაზობენ.

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უნებლიე აღიარება და შემოდგომის სიმწარე

**2012 წლის ზამთარიც ისევე მშვიდად მიიწურა საქართველოში, როგორც აქამდე ყოფილა და როგორც წესი და რიგია, ახალი წლის შემდგომ ნაქეიფარი ქართველისთვის. მერე რა, თუ ქართველთა უმრავლესობა 2012 წელს ისევ მშიერი იმედით და ახლადგაჩენილი ოცნებით შეხვდა?! მთავარია, იმედი და ოცნება არ გამოგვილიოს ღმერთმა. სწორედ ესაა, რაც დიდი განსხვავებული სასმისით სამშობლოს სადღეგრძელოს დალევასა და გულზე მჯიღის ბაგუნში გვეხმარება. მერე რა, თუ სამშობლოს არსსა და აზრს ველარ ვგებულობთ?! მერე რა, თუ ქართველმა უკვე დაკარგა არა მხოლოდ ფუნქცია არსებობისა, არამედ არსი თავად ქართველობისა?!**

სულ დამავიწყდა, ქართველობას დღეს „ფეისბუკის" „სვეტსკები" ხომ „გრუზინობას" ეძახიან, ხოლო ვისაც მართლა გულწრფელად უყვარს თავისი დაჩეხილი სამშობლო — „გოიმს". სიყვარული, მეგობრობა, თავგანწირვა სირცხვილად ითვლება ახლა და უნდა დაიცინოს, გაიკილოს და მასხრად უნდა იყოს აგდებული უწიგნური შოუმენებისა და „ახალი პროდუქტების" მიერ, რომლებსაც ხშირად ესირცხვებათ თავიანთი ქართული წარმომავლობა. რას ვიზამთ? დრო ასეთი დადგა და ამაში ყველას მიგვიძღვის წვლილი. რაც დავთესეთ, იმას ვიმკით!!!

არა, ეს ზამთარი მაინც იყო რაღაცით გამორჩეული. თავისი „ხიბლი" აშკარად ჰქონდა. მაინც რა ხიბლიო, იკითხავს მკითხველი. რა და, **ქართველი კაცის ოცნება უფრო გაფერადდა და გალამაზდა. შემოდგომის იმედი გაჩნდა. ოღონდ ხვავრიელი მოსავლის კი არა** (რაც არაფერი გვაქვს დასათესი, რა მოსავალი უნდა იყოს?!), **პოლიტიკაში რაიმე ცვლილების. იქნებ გვეშველოს რამე? უკვე მერამდენედ ისმის ეს კითხვა ყოფილ საქართველოში? ამ კითხვას კი პასუხი გასულ დღეებში გაეცა, თანაც ორივე მხრიდან. ერთმა თქვა, არსად მივდივარო, მეორემ კი თქვა, არც მე მოვდივარ არსადო.**

სხვას ვერაფერს დავარქმევთ სააკაშვილის ისტორიულ გამოსვლას ყოფილი საქართველოს პარლამენტში. არადა, რა უნდა დავარქვათ, როცა პირდაპირ ასე თქვა — კიდევ დიდი ხნის ძალი და ღონე გვაქვს ქვეყნის მართვისთვის და არსად წასვლას არ ვაპირებთო; ვინც წინ გადამიდგება, ყველაზე უკეთესი, რაც მოუვა, ტალახში დაზილვა იქნებაო. უარესი აღარ უთქვამს, ეგ ხომ ისედაც ვიცით. ისე, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დაკარგულ მიწა-წყალსაც, გათელილ ღირსებასაც, განადგურებულ მომავალსაც, მოკლულ ბიჭებსაც და ათასობით ბორკილიან უდანაშაულო ტუსაღსაც, **წესიერ ქვეყანაში წესიერი ხალხი პრეზიდენტს მხოლოდ ასეთი საჯარო გამოსვლისთვის მოსთხოვდა პასუხს და სულ ცოტა, ბოდიშის მოხდას აიძულებდა. მაგრამ ან ქვეყანაა სადაა და ან ხალხი?!**




სამაგიეროდ, გვაქვს ოცნება და გვეოცნებება კიდეც. მართალია, ყველას სხვადასხვანაირად, მაგრამ **ოცნებათა ამხდენელი ერთია, სასახლეში ზის, ჯადოსნურ ჯოხს დაიქნევს შემოდგომაზე და გვიჩვენებს ძლევას ბოროტისას. ვითომ მოხდება ეგრე? არადა, ვინ აძალებდა, პირობას რომ დებდა, აუცილებლად მოვალ ხელისუფლებაში და ყველაფერს მოვაგვარებო?**

ისე, შორიდან რომ უყურო იმას, თუ როგორ მიდის ქართული ოცნების ახდენის საქმე, არცთუ კარგ გუნებაზე დადგება ადამიანი.

ერთის მხრივ, ქვეყანას მართავს დამნაშავე მონოლითური რეჟიმი, რომელიც მზადაა ნებისმიერ წინააღმდეგობას ცეცხლით და მახვილით გაუსწორდეს, ხოლო მეორეს მხრივ, ამ საშინელი რეალობის შეცვლას მეოცნებეები უმტკივნეულოდ, მხოლოდ არჩევნების დღეს, საარჩევნო უბანში მისვლით გვპირდებიან. არავითარი ქუჩა, არავითარი პროტესტი, არავითარი რადიკალიზმი, არავითარი ბრძოლა. მხოლოდ მკვეთრი პროდასავლელობა, დილით სტაფილოს წვენი და სალამის მურაბიანი ჩაი ყოფილა სამშობლოს დაბრუნების წამალი. ვინმე იტყვის, რომელი დამნაშავე რეჟიმი წასულა ამ გზით? მომხდარა ასეთი რამ მსოფლიოში? რაღაც არ მახსენდება. ან რა უნდა გამახსენდეს, რაც არ ყოფილა. **მიშიზმის მსგავსი დამნაშავე რეჟიმები ემხობიან მხოლოდ და მხოლოდ ხალხის ძლიერი პროტესტით, დაუღალავი ბრძოლით, მასშტაბური საპროტესტო აქციებით, დაუმორჩილებლობით, სიმართლის თქმით და არა ისეთი ყალბი კონსტრუქტივიზმით, როგორსაც მეოცნებეები გვთავაზობენ.**

კარგად თუ დავფიქრდებით, ქართველი ხალხი, ანუ ის ადამიანები, ვისაც ამ რეჟიმის დამარცხება და ამით საქართველოს დაბრუნება სურს, კიდევ ერთხელ ვდგავართ დიდი სიცრუის საფრთხის წინაშე. ეს ეჭვი კიდევ უფრო მეტად გააძლიერა **ჟურნალ „ფორბსში" გამოქვეყნებულმა ინტერვიუმ, სადაც ბატონმა ივანიშვილმა პირდაპირ განაცხადა: „პოლიტიკაში ყოფნა კარგი დაცვაა".** რას ნიშნავს ეს? იმას ხომ არა, რომ ივანიშვილის მთავარი მიზანი საკუთარი ფინანსური კაპიტალის უსაფრთხოებაა? რატომ არ აღმოჩნდა პოლიტიკა დამცავი მექანიზმი ბადრი პატარკაციშვილისთვის და ზურაბ ჟვანიასთვის? გარდაცვლილებს რომ თავი დავანებოთ, ბევრი ცოცხალი პრინციპული პოლიტიკოსიც არ აღმოჩნდა სახარბიელო დღეში. **პოლიტიკაში ყოფნა მხოლოდ მაშინ არის დაცვისა და უსაფრთხოების გარანტი, როდესაც გარიგებაზე მიდიხარ, მოწინააღმდეგეს კულუარებში ესაუბრები და ვაჭრობ შენი მხარდამჭერების, გაბრიყვებული ადამიანების სახელით.** მათ კიდევ უიმედოდ ეიმედებათ შენი. შეიძლება ვცდები, მაგრამ როდესაც ბოროტების საპირისპირო ძალად უმოქმედობას ვხედავ, ეჭვის არსებობას აშკარად აქვს საფუძველი.

ამ ინტერვიუს გარდა, უმოქმედობის საფრთხე კიდევ უფრო გააძლიერა ივანიშვილისა და „სახალხო კრების" ლიდერების შეხვედრამ, სადაც ბატონმა ბიძინამ საკმაოდ საინტერესო და ერთი შეხედვით, რთულად გასაგები განცხადება გააკეთა, ანუ ქართულად და მიუკიბავად რომ ვთარგმნოთ, ბურჯანაძემ თავი დამანებოს და ხელს ნუ მიშლისო; თქვენ კაი ხალხი ხართ, მაგრამ ბურჯანაძე — არაო. შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მას უფრო მეტის თქმა უნდოდა, ვიდრე თქვა, და სხვანაირად უნდოდა ეთქვა, ვიდრე გამოუვიდა. თუმცა, შედეგი ერთია.

ივანიშვილმა ამ განცხადებით თავად დაადასტურა ის, რომ ქვეყანაში რეალურად სამი პოლიტიკური ცენტრი არსებობს. ვინ პირველია, ვინ — მეორე და ვინ — მესამე, ეს მკითხველმა გაარკვიოს, მაგრამ **რეჟიმისგან გადავლილი „სახალხო კრება" რომ ისევ რეალური ძალაა და რეპრესირებულ ბურჯანაძეს ხელის შეშლის ძალა კიდევ რომ ჰქონია, ეს უკვე თავად ივანიშვილისგან ბურჯანაძის ძალის აღიარებაა. ასევე, ივანიშვილმა პირველმა თქვა უარი იმ მრავალგზის ნაცად თანამშრომლობაზე, რასაც „სახალხო კრება" და ბურჯანაძე არაერთხელ სთავაზობდნენ მას.**

არადა, კარგად გვახსოვს ივანიშვილის განცხადებები, რომ, შეცდომების მიუხედავად, შანსი ყველას უნდა მიეცეს, რომ ქართველები უნდა გავერთიანდეთ და არ დავიქსაქსოთ, მაგრამ სიტყვები სიტყვებად დარჩა და საქმე საქმედ. ამიტომ იმის რწმენა, რომ ივანიშვილი სააკაშვილის რეჟიმის დამარცხებას შეძლებს, უფრო უიმედო ოცნებას ჰგავს, ვიდრე რეალურ შანსს. თუმცა ქართველს ყოველთვის ლამაზი ოცნება ურჩევნია მწარე სიმართლეს. ოღონდ, როდესაც ეს სიმწარე თავად ჩახედავს მეოცნებე ქართველს თვალებში, ვშიშობ, სინანული უკვე ძალიან გვიანი არ იყოს.

**ზაალ საბანაძე**
ბლოგი http://zaaliani.blogspot.com/

# კოოპტაცია ნაციონალურად

**13 მარტს მმართველი პარტიის, „ნაციონალური მოძრაობის" პოლიტიკურმა საბჭომ გენერალურ მდივნად „მოქალაქეთა კავშირის" ყოფილი გენერალური მდივანი მიხეილ მაჭავარიანი დანიშნა.**

თანაპარტიელები მას სწორედ მოქკავშირულ გამოცდილებას უქებენ: **„მიხეილ მაჭავარიანი პარტიულ საქმიანობაში ძალიან გამოცდილია. მან ბევრი დეტალი, თუ როგორ უნდა იმუშაონ პარტიულმა სტრუქტურებმა, ძალიან კარგად იცის. იმის გათვალისწინებით, რომ ამ პოსტზე დანიშვნა როტაციული წესით ხდება, პირველ რიგში, მაჭავარიანი დაინიშნა",** — აცხადებს გიგი წერეთელი.

ჯონდი ბაღათურია მაჭავარიანის დანიშვნას მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებსა და გაყალბებებში მის „დიდოსტატობას" უკავშირებს. გარდა ამისა, ბაღათურიას აზრით, **მაჭავარიანმა ოპოზიციის ლანძღვა-გინებასა და აგრესიაში უმრავლესობის ყველა წარმომადგენელს აჯობა და ბოლო დროს წყევლაზეც კი გადავიდა, რის გამოც ზრდილი მელიქიშვილი გადააყენეს და მის მაგივრად მაჭავარიანი დანიშნეს.**

მიხეილ მაჭავარიანი რომ პარტიულ მუშაობასა და არჩევნებში გამოცდილია, ამაზე არავინ კამათობს. საკამათო მხოლოდ ის არის, რომ თავად „ნაციონალური მოძრაობის" მოქმედი წესდების თანახმად, გენერალური მდივანი არჩევითი თანამდებობაა და მას ყრილობა ირჩევს გაერთიანების თავმჯდომარის (ამ შემთხვევაში სააკაშვილის) წარდგინებით (ერთიანი „ნაციონალური მოძრაობის" წესდება, 8.6.8). თუმცა როდის ჩატარდა მმართველი პარტიის ბოლო ყრილობა ან საერთოდ, ჩატარდა თუ არა, ამას ვერავინ იხსენებს.

**ისეთი გამოცდილი პარტიული მუშაკი, როგორიც მიხეილ მაჭავარიანია, წესდების დარღვევით არჩევას არ უნდა დათანხმებოდა, თუმცა იგი არ არის ერთადერთი, ვინც არჩევით თანამდებობაზე არჩევნების გარეშე დაინიშნა.** *ამგვარ,* **„ზემოდან არჩევის" პრაქტიკას კოოპტაცია ეწოდება, როცა არჩევით ორგანოში ზემდგომთა გადაწყვეტილებით არარჩეული პირი შეჰყავთ.** სწორედ კოოპტაციის წესით შეიყვანეს 1912 წელს იოსებ სტალინი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბოლშევიკურ ცენტრალურ კომიტეტში. ტროცკის, ბუხარინსა და ზინოვიევს წარმოდგენა არ ჰქონდათ მაშინ, ეს „კოოპტირებული" ცეკას წევრი რა დღეს დააწევდა მათ ოციოდე წელიწადში.



თუმცა ერთ პარტიაში ორი სტალინი ვერ იარსებებს, ხოლო სტალინობაზე პრეტენზია 21 დეკემბერს დაბადებულ მიხეილ სააკაშვილს აქვს. ერთი და მეორე მიშაც „ხელისუფლებაში დიდხანს ყოფნით" იმუქრებიან, ხოლო „მისი შეცვლის" პრეტენზიის მქონე პოლიტიკური ძალა პარტიულ მშენებლობაში გამოცდილი კადრების არსებობით ვერ დაიკვეხნის.

**მაჭავარიანის წამოწევას პარტიულ სტრუქტურებში** (იგი, ფაქტობრივად, მეორე კაცი გახდა მმართველ პარტიაში) **კიდევ ერთი მიზეზი აქვს: იგი, ივანიშვილივით, ჭორვილელია და ბოლო ხანებში ქართულ პრესაში არაერთხელ დაიწერა, რომ მიშა თუ ვანო** (მაჭავარიანი და არა მერაბიშვილი!) **ქართულად აისრულებენ ოცნებას.**

მეოცნებეთა ბანაკისგან განსხვავებით, სააკაშვილი მყისიერად რეაგირებს მცირე საფრთხეზეც კი და შესაბამის სვლებს აკეთებს. მაჭავარიანმაც კარგად იცის ძველი სიბრძნე: **„ატამანს ნუ აუხირდები, ეგორ!"**, თუ არადა, სააკაშვილი უცებ გაიხსენებს, რომ მაჭავარიანი გენერალურ მდივნად არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ დაინიშნა!

**თამარ დავითულიანი**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ქალბატონი შის წარმატების მთავარი საიდუმლო რკინის დისციპლინა იყო. მან საკუთარი წესები და კანონები შემოიღო. ამ კანონების მიხედვით, ვინც ღარიბ მეთევზეებს გაძარცვავდა ან ტყვედ აყვანილ ქალებს გააუპატიურებდა, სიკვდილით ისჯებოდა. გემის თვითნებური დატოვებისათვის მეკობრეს ყურს აჭრიდნენ.**





# ყველაზე ლამაზი ქუჩა

**მსოფლიოში ყველაზე ლამაზი ქუჩა ბრაზილიაშია. ეს არის გონსალუ დე კარვალიო, რომელიც ქალაქ პორტუ-ალეგრიში მდებარეობს.**

მას მაღალი შენობები ან მოდური მაღაზიები არ ამშვენებს, გარშემო მხოლოდ 500-მეტრიანი ტყეა. ქუჩას მთელ სიგრძეზე ტიპუანის 100-მდე ხე მიჰყვება. ქუჩა ქალაქის სამ კვარტალს მოიცავს.

ეს ქუჩა ადგილობივი მოსახლეობის საყვარელი ადგილია, თუმცა ცოტა ხნის წინ გონსალუ დე კარვალიო მსოფლიოს ულამაზეს ქუჩადაც აღიარეს.

ტიპუანები აქ დაახლოებით 70 წლის წინ დარგეს. მოგვიანებით, მთავრობამ აქ მშენებლობის გაჩაღება დააპირა, თუმცა მოსახლეობამ საპროტესტო გამოსვლებით ქუჩა დაიცვა და გონსალუ დე კარვალიო ხელუხლებელი დარჩა.

ბრაზილიის ეს არაორდინალური ქუჩა ქვეყნის ეკოლოგიურ და კულტურულ ძეგლადაც ითვლება.

# ყველაზე ჭკვიანი შიმპანზე

**შიმპანზე აიუმი, რომელიც იაპონიაში, კიოტოს უნივერსიტეტში ცხოვრობს, ნამდვილი გენიოსია. ცხოველს ერთ წამზე ნაკლებ დროში შეუძლია ეკრანზე ციფრის მდებარეობის დამახსოვრება და შემდეგ მისი აღმოჩენა.**

აიუმი ერთ-ერთია იმ თოთხმეტ შიმპანზეთაგან, რომლებიც კიოტოს უნივერსიტეტში გაიზარდნენ, სადაც, უკვე 30 წელია, პროფესორი მაცუზავა მაღალი ტექნოლოგიების გამოყენებით შიმპანზეების ინტელექტუალურ მახასიათებლებს იკვლევს. „აიუმი ძალიან ჯიუტია და არ მიჯერებს, მაგრამ სხვებისგან განსხვავებით ძალიან მონდომებულია", — განაცხადა პროფესორმა. ახლა აიუმი 11 წლისაა. მისი ნიჭი უნივერსიტეტის მეცნიერებმა 5 წლიდან შეამჩნიეს. ის ძალიან სწრაფად ვითარდებოდა. ახლა მას ციფრების დამახსოვრება 60 მილიწამში შეუძლია.

სკეპტიკოსებმა, შესაძლოა, თქვან, რომ შიმპანზე შემთხვევით ახერხებს ციფრების ამოცნობას. ის, უბრალოდ, ხელს ადებს ეკრანს, მაგრამ ასეთი დამთხვევის ალბათობა 362 000-იდან ერთია.



# ყველაზე წარმატებული მეკობრე ქალი



**იგი ისტორიის მანძილზე ყველაზე წარმატებულ მეკობრე ქალად არის აღიარებული. შეიძლება წარმოუდგენლადაც კი გეჩვენოთ, მაგრამ ჩჟენ ში 2000 გემისაგან შემდგარ ფლოტს აკონტროლებდა, ხოლო 70 000-მდე მეზღვაური მის ბრძანებას უსიტყვოდ ემორჩილებოდა. „მადამ ცინი" – ხშირად მას ასეც მიმართავდნენ.**

ჩჟენ ში მეძავობით ირჩენდა თავს მანამ, სანამ იმ დროის ყველაზე სახელგანთქმულ ჩინელ მეკობრე ჩჟენს შეხვდებოდა. 1801 წელს ცნობილმა მეძავმა და ცნობილმა მეკობრემ იქორწინეს და გაემგზავრნენ ვიეტნამში, სადაც იმ პერიოდისათვის სამოქალაქო ომი მძვინვარებდა. ქორწინების შემდეგ ქალმა მიიღო ახალი სახელი — ჩჟენ საო (ჩჟენის ცოლი). ჩჟენს საკუთარი შვილი არ ჰყავდა, ამიტომაც მეგობრეებმა მეზღვაურებს მოსტაცეს 15 წლის ბიჭუნა ჩჟან ბაო ცზაი, რომელიც ქალმა იშვილა. საუბედუროდ, ის ჯერ მამობილის საყვარელი გახდა, მისი სიკვდილის შემდეგ კი მადამ ჩჟენის.

1807 წელს მადამ ჩჟენის ქმარი ქარიშხალმა შეიწირა. ჩჟენ შიმ (ჩჟენის ქვრივმა) თავისი ქმრის მთელი სიმდიდრე მიიღო მემკვიდრეობით და მალე თავის გერს გაჰყვა ცოლად. ერთად, საკმაოდ ძლიერი არმია შექმნეს. ისინი არა მარტო ჩინეთის ზღვებში მოცურავე სავაჭრო გემებს ესხმოდნენ თავს, არამედ მდინარეებშიც შედიოდნენ და სანაპიროების მოსახლეობასაც აწიოკებდნენ.

ქალბატონი შის წარმატების მთავარი საიდუმლო რკინის დისციპლინა იყო. მან საკუთარი წესები და კანონები შემოიღო. ამ კანონების მიხედვით, ვინც ღარიბ მეთევზეებს გაძარცვავდა ან ტყვედ აყვანილ ქალებს გააუპატიურებდა, სიკვდილით ისჯებოდა. გემის თვითნებური დატოვებისათვის მეკობრეს ყურს აჭრიდნენ.

ბუნებრივია, ქალბატონის ახალი წესები ყველას არ ეხატებოდა გულზე, ამიტომაც პერიოდულად გემის კაპიტნები მის წინააღმდეგ ჯანყდებოდნენ. მოგვიანებით, იმის შიშით, რომ მასზე შური არ ეძიათ, ჩჟენ ში ხელისუფლებას ჩაბარდა, თუმცა ჩჟენი მხოლოდ მაშინ წავიდა ხელისუფლებასთან გარიგებაზე, როდესაც მისი ფლოტი დასუსტდა.

მას შემდეგ, რაც მეკობრეობას თავი დაანება, იგი გაუნჟოუში დასახლდა, ბორდელი და აზარტული თამაშებისათვის დაწესებულება გახსნა და ამ ბიზნესით იყო დაკავებული სიკვდილამდე. ქალბატონი ჩჟენი 60 წლის ასაკში გარდაიცვალა.





# ზებრა შავი ყოფილა

**მეცნიერებმა დაადგინეს, რატომ არის ზებრა შავ-თეთრი. აღმოჩნდა, რომ შავ-თეთრი შეფერილობა ნაკლებ კრაზანას იზიდავს. იმისათვის, რომ ეს ჰიპოთეზა დაემტკიცებინათ, მეცნიერებმა კვლევა სამ ცხენზე ჩაატარეს.**

პირველი შავად შეღებეს, მეორე — თეთრად, ხოლო მესამე ზებრის ფერებში გადაღებეს. ყველა მათგანს ტყავზე სპეციალური წებოვანი სითხე გადაუსვეს. გარკვეული დროის შემდეგ კი მათზე მიწებებული კრაზანების რაოდენობა დაითვალეს. საბოლოო ჯამში, ყველაზე ცოტა მწერი სწორედ იმ ცხენს დაესია, რომელიც შავ-თეთრ ზოლებად იყო შეღებილი.

კიდევ ერთმა კვლევამ დაადგინა, რომ ზებრის ძირითადი ფერი შავია და მათ თეთრი ზოლები აქვთ და არა პირიქით. თეთრი ზოლები მას ჩასახვიდან ცოტა ხანში უჩნდება. თუმცა გამონაკლისებიც არსებობს. მაგალითად, 2004 წელს კენიაში ვეტერინარებმა ზებრის აბსოლუტურად თეთრი ნაშიერი აღმოაჩინეს.

# სულით ავადმყოფთა მუზეუმები

**ჟურნალმა „ფორბსმა" გამოავლინა მსოფლიოს 10 მუზეუმი, რომლებშიც მხოლოდ ფსიქიურად დაავადებულთა ნამუშევრებია დაცული. მათგან ყველაზე დიდი ქალაქ ლუიზიანაში მდებარეობს და 30 000 ნამუშევარს ითვლის. აქ არის დაცული შვეიცარიელი მხატვრის — ადოლფ ვიოლფლის ნამუშევრები, რომლებიც არტ-ბრუტის პირველ ნიმუშებად მიიჩნიეს. ვიოლფლიმ ცხოვრების უმეტესი ნაწილი შიზოფრენიის დიაგნოზით ფსიქიატრიულ კლინიკაში გაატარა, იქ დაიწყო ხატვა და დღეს მისი ნამუშევრების ფასი ასი ათასობით დოლარს აღწევს.**

დღეს ფსიქიურად დაავადებულთა ნამუშევრები ინახება ისრაელში, რუსეთში, დანიაში, აშშ-ში, ფინეთში, ინგლისსა და გერმანიაში. სულით ავადმყოფთა ნამუშევრების პირველი კოლექცია ფრანგმა მხატვარმა, ჟან დიუბუფეიმ 40-იან წლებში შეკრიბა. 1975 წელს კი უკვე პირველი მუზეუმიც გაიხსნა. დიუბუფეი ფსიქიატრთა ნაშრომებით იყო შთაგონებული და ამ ხელოვნებას ტერმინიც კი მოუძებნა — არტ-ბრუიტი. ეს ახალი მიმართულება საზოგადოებრივი ნორმებისგან და კულტურული შაბლონებისგან სრულიად თავისუფალი იყო. მოგვიანებით არტ-ბრუიტის ნიმუშებად აღიარეს არამარტო სულით ავადმყოფების, არამედ პატიმრების, ინვალიდებისა და საზოგადოებისგან გარიყულთა შემოქმედებაც.





ᲘᲓᲔᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲛᲠᲒᲕᲐᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲬᲔᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲝᲠᲛᲝ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲓᲘᲐᲛᲔᲢᲠᲘ 20 ᲓᲐ ᲡᲘᲦᲠᲛᲔ 30 ᲛᲔᲢᲠᲘᲐ, ᲒᲕᲐᲢᲔᲛᲐᲚᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ ᲡᲣᲚ ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲥᲛᲜᲐ. ᲘᲛ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲐᲛᲟᲐᲛᲐᲓ ᲣᲖᲐᲠᲛᲐᲖᲐᲠᲘ ᲝᲠᲛᲝᲐ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲤᲡᲙᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲕᲐ ᲕᲔᲠᲢᲛᲤᲠᲔᲜᲘᲓᲐᲜᲐᲪ ᲙᲘ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲝᲓᲔᲡᲚᲐᲪ ᲘᲓᲒᲐ ᲡᲐᲥᲡᲝᲕᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲨᲔᲜᲝᲑᲐ. ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲘᲣᲬᲧᲔᲑᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲞᲠᲔᲡᲐᲨᲘ ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲪᲜᲝᲑᲐ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲝᲠᲛᲝᲛ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ „ᲩᲐᲧᲚᲐᲞᲐ“.



ᲥᲠᲝᲜᲝᲒᲠᲐᲤᲘ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲘᲡ ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲘ ᲕᲐᲟᲘ — ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ

**გერმანიის ფიურერის, ადოლფ ჰიტლერის უკანონო ვაჟი საფრანგეთში აღმოაჩინეს. ფრანგი ჟურნალისტების ინფორმაციით, ჰიტლერისა და ახალგაზრდა ფრანგი გოგონას, შარლოტა ლობჟუას უკანონო ვაჟი პირველი მსოფლიო ომის დროს დაიბადა. ამ ომში მომავალი ფიურერი თავის დროზე მოხალისედ წავიდა.**













საფრანგეთის მოქალაქე ჟან-მარი ლორე ჯერ კიდევ 1981 წელს აცხადებდა, რომ ის ჰიტლერის მემკვიდრე იყო — მან გამოაქვეყნა ავტობიოგრაფია სახელწოდებით „მამაშენი ჰიტლერია“. ოთხი წლის შემდეგ ავტორი 67 წლის ასაკში გარდაიცვალა, თუმცა საკუთარი წარმომავლობა ვერ დაამტკიცა.

**ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲞᲠᲔᲡᲐᲨᲘ ᲟᲐᲜ-ᲛᲐᲠᲘ ᲚᲝᲠᲔᲡ ᲐᲓᲕᲝᲙᲐᲢᲘᲡ, ᲤᲠᲐᲜᲡᲣᲐ ᲒᲘᲑᲝᲡ ᲬᲧᲐᲚᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲓᲐ. ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲘᲣᲠᲘᲡᲢᲛᲐ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲙᲚᲘᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲣᲢᲧᲣᲐᲠᲝᲑᲐᲡ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲤᲝᲢᲝᲔᲑᲘ ᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲡ.** ადვოკატის ინფორმაციით, 1917 წელს სამხედრო ნაწილი, რომელშიც ეფრეიტორი ჰიტლერი მსახურობდა, სებონკურის კომუნასთან ახლოს, პიკარდიაში იდგა. დროდადრო ჯარისკაცი დასასვენებლად, გასართობად და ძალების აღსადგენად სამხედრო ნაწილის ზურგში გადადიოდა.

**პატარა ქალაქ ფურნე-ანვეპში ჰიტლერმა 16 წლის შარლოტა ლობჟუა გაიცნო. გოგონა მეგობრებთან ერთად ბალახს კრეჭდა, როდესაც ქუჩის მეორე მხარეს გერმანელი ჯარისკაცი შენიშნა, რომელიც რაღაცას ხატავდა.** მეგობრებმა შარლოტა გაგზავნეს, რათა გაეგო, რას ხატავდა იგი. შარლოტას თქმით, ჯარისკაცი ყურადღებიანი და მეგობრული ჩანდა, მან გოგონას მიმართ მოულოდნელი სითბო გამოავლინა. ასე დაიწყო რომანი, რომელიც რამდენიმე კვირას გაგრძელდა.

**ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲤᲘᲣᲠᲔᲠᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ, ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲐᲓ ᲕᲔᲠ ᲡᲐᲣᲑᲠᲝᲑᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲨᲐᲠᲚᲝᲢᲐᲛ ᲘᲪᲝᲓᲐ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲮᲐᲜᲛᲝᲙᲚᲔ ᲠᲝᲛᲐᲜᲘ ᲒᲐᲩᲐᲦᲓᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲪ ᲟᲐᲜ-ᲛᲐᲠᲘ ᲚᲝᲠᲔᲐ. ᲑᲘᲭᲣᲜᲐ 1918 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲠᲢᲨᲘ ᲛᲝᲔᲕᲚᲘᲜᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ. ᲛᲔᲖᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲐᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲡ ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲝ ᲑᲐᲕᲨᲕᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲘᲡ ᲕᲐᲟᲘ ᲘᲧᲝ.**

რამდენიმე წლის შემდეგ დაცინვით დაღლილმა შარლოტამ საკუთარი შვილი მიუგდო ცოლ-ქმარს, რომლებთანაც მისი ერთ-ერთი და მუშაობდა. 1934 წელს წყვილმა ჟან-მარი იშვილა და მას გვარი ლორე მისცა. ნამდვილ მამას ის არასდროს უნახავს, თუმცა დედამისის ბედი აინტერესებდა.

ჰიტლერი შარლოტას ფინანსურად ეხმარებოდა. მედიის ხელში აღმოჩნდა ნაცისტური გერმანიის შეიარაღებულ ძალთა (ვერმახტი) ოფიციალური დოკუმენტები, რომელთა მიხედვით, ნაცისტური ოკუპაციის პერიოდში გერმანიის არმიის ოფიცრები ფრანგ ქალებს ნაღდი ფულით სავსე კონვერტებს უგზავნიდნენ.

50-იან წლებში, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, შარლოტამ ვაჟს მამის ვინაობა გაუმხილა. ჟან-მარისთვის ეს ნამდვილი შოკი იყო. საკუთარ წიგნში „მამაშენი ჰიტლერია“, რომელიც მან 1981 წელს გამოაქვეყნა (თუმცა მაშინ საზოგადოების ყურადღება ვერ მიიპყრო), წერდა, რომ თავს მუშაობით იქანცავდა, რათა საკუთარ წარმომავლობაზე არ ეფიქრა. **„ოცი წლის განმავლობაში შვებულება არ ამიღია, არ ვყოფილვარ კინოში და არ ვერთობოდი, მხოლოდ ვმუშაობდი“,** — წერდა იგი.

საეჭვო წარმოშობის შესახებ ლორეს ფიქრი არ ასვენებდა და 1970-იან წლებში ის ჰიტლერთან მისი კავშირის დამადასტურებელი მტკიცებულებების მოძიებას შეუდგა. 1979 წელს მან იურისტ ფრანსუა გიბოს მიმართა: **„ᲛᲔ ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲘᲡ ᲕᲐᲟᲘ ᲕᲐᲠ. ᲛᲘᲗᲮᲐᲠᲘᲗ ᲠᲐ ᲕᲥᲜᲐ?“.**

საკუთარი წარმომავლობის დადგენის მიზნით, ლორემ მეცნიერებსაც მიმართა, მათ შორის ჰეიდელბერგის უნივერსიტეტის ისტორიკოსსა და გენეტიკოს, ასევე გრაფოლოგიის სპეციალისტებს. ყველა მათგანი ერთ დასკვნამდე მივიდა: ჟან-მარი ლორე ადოლფ ჰიტლერის ვაჟი იყო.

**არსებობს ფიურერის ნახატი, რომელზეც გამოსახული გოგონა ძალიან ჰგავს შარლოტა ლობჟუას.**

# ᲒᲘᲒᲐᲜᲢᲣᲠᲘ ᲝᲠᲛᲝᲔᲑᲘ — ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲔᲑᲐ



**პატარა გერმანულ ქალაქ შმალკალდენში, რომელიც ტიურინგიის მხარეში მდებარეობს, უეცრად გაჩნდა გიგანტური კრატერი. ადგილობრივი მცხოვრებნი შუაღამისას ავტომობილების სიგნალიზაციების ხმამ გააღვიძა. აღმოჩნდა, რომ ორმოში, რომლის სიგანე 40 მეტრი, ხოლო სიღრმე 25 მეტრია, ავტომობილი ჩავარდა. საბედნიეროდ, შემთხვევას მსხვერპლი არ მოჰყოლია. შემთხვევის ადგილი დაათვალიერეს პოლიციისა და საგანგებო შემთხვევათა სამსახურების თანამშრომლებმა, რომლებმაც შემოღობეს გიგანტური ორმო, ხოლო ახლომახლო მდებარე მოსახლეობა სასწრაფოდ გაარიდეს იქაურობას.**



„მიწა, პირდაპირი გაგებით, ფეხებიდან გამოგვეცალა დაახლოებით ღამის სამ საათზე. ეს დღისით რომ მომხდარიყო, მსხვერპლი გარდაუვალი იქნებოდა. ჩვენ უკვე განვაცხადეთ, რომ ამ ბუნებრივი კატასტროფის გამომწვევ მიზეზთა დადგენამდე მოსახლეობა უნდა გავიდეს ქალაქიდან. ადგილობრივი ხელისუფლება მათ თავშესაფარს დაჰპირდა“, — განაცხადეს პოლიციაში.

გერმანია ერთადერთი ქვეყანა არ არის, სადაც ასეთი უცნაური ბუნებრივი მოვლენები ხდება. გეოლოგიური სამსახურის თანამშრომლები, უკვე რა ხანია, თავს იმტვრევენ გვატემალის დედაქალაქში წარმოქმნილი გიგანტური ორმოების გამო.

**იდეალურად მრგვალი შემოწერილობის მქონე ორმო, რომლის დიამეტრი 20 და სიღრმე 30 მეტრია, გვატემალის ერთ-ერთ რაიონში სულ ახლახან წარმოიქმნა. იმ ადგილზე, სადაც ამჟამად უზარმაზარი ორმოა და რომლის ფსკერის დანახვა ვერტმფრენიდანაც კი შეუძლებელია, ოდესღაც იდგა საქსოვი ქარხნის სამსართულიანი შენობა. ოფიციალური ხელისუფლება მსხვერპლის შესახებ არაფერს იუწყება, მაგრამ ადგილობრივ პრესაში არაერთხელ გამოჩნდა ცნობა დაკარგულთა შესახებ. ორმომ მთელი ქარხანა „ჩაყლაპა“.**

ამჯერად იდუმალებით მოცულ კრატერს პოლიცია იცავს, ხოლო ადგილზე გეოლოგები მუშაობენ. სპეციალისტები ჯერაც ვერ მივიდნენ ერთობლივ დასკვნამდე, თუ რას შეიძლებოდა გამოეწვია ასეთი იდეალური გარშემოწერილობის ორმოს წარმოქმნა. უნდა აღინიშნოს, რომ სამი წლის წინათ ამ ადგილიდან ზუსტად ორ კილომეტრში ანალოგიური „შავი ხვრელი“ წარმოიქმნა.

„მე შემიძლია გითხრათ, თუ რა არ ყოფილა ამგვარი ორმოების გაჩენის მიზეზი, — განაცხადა განსაკუთრებული შემთხვევების ეროვნული სააგენტოს გეოფიზიკოსმა დევიდ მონტეროსსომ, — ეს არ არის გეოლოგიური მოვლენა და არც მიწისძვრებით არის ეს გამოწვეული. ამ საიდუმლოს გასარკვევად იძულებულნი ვართ, ჩავეშვათ ორმოს ფსკერში და გამოვიკვლიოთ იგი“.

ამავე დროს, მეცნიერები გამოთქვამენ აზრს, რომ ორმოს იდეალურად მრგვალი ფორმა გულისხმობს ორმოს ქვეშ არსებულ კარსტულ სიცარიელეს.

# შეიარაღება საქართველოში: პრეზიდენტი «ფეისბუკზე» რეაქტიული საარტილერიო სისტემით ტრაბახობს



**საქართველოს პრეზიდენტი ამაყობს თავისი შეიარაღებული ძალების პირველი ადგილობრივი წარმოების ახალი რეაქტიული საარტილერიო სისტემით. იგი იმდენად ამაყია, რომ ეს სიახლე უმალ გამოაქვეყნა „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე. ქსელში შეიარაღების დემონსტრირება დაუძინებელი მტრის, რუსეთის წინააღმდეგ მიმართული აშკარა განაცხადი იყო.**

მიხეილ სააკაშვილი თანამედროვე ტექნოლოგიების დიდი მოტრფიალეა. რამდენიმე თვეა, რაც საქართველოს პრეზიდენტი „ტვიტერის“ მეშვეობით მოკლე შეტყობინებებს აგზავნის მთელ მსოფლიოში — იგი „ფეისბუკზეც“ ძალზედ აქტიურია.

პოლიტიკოსმა სოციალური ქსელი ახლა იმისათვის გამოიყენა, რომ რუსეთისთვის, რომელთანაც კავკასიურ სახელმწიფოს 2008 წელს ომი ჰქონდა, თავისი ძლიერი მხარეები ეჩვენებინა. **სააკაშვილმა „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა იარაღის ახალი სისტემის ვიდეო ჩანაწერი: რუსული „კატიუშას“ (იგივე „სტალინის ორღანად“ წოდებული) საარტილერიო სისტემის ქართული ვერსია.**

ამ იარაღის განსაკუთრებული ნიშანი ის არის, რომ ის პირველი ქართული ნაწარმია. რუსეთს შეეძლო შეშფოთებით ედევნებინა თვალი სოციალურ ქსელში ამაყად აქტირთული ახალი მიღწევისთვის. მსგავსი მოდელის რუსული შეიარაღების სისტემებით საქართველომ 2008 წლის აგვისტოში ცეცხლი გაუხსნა სეპარატისტული სამხრეთ ოსეთის დედაქალაქ ცხინვალს. ამის შემდეგ რუსეთი სამხრეთ ოსეთის მხარდასაჭერად ჩაერთო კონფლიქტში, დაამარცხა საქართველო და გაანადგურა ქართული ტანკებისა და საარტილერიო სისტემების დიდი ნაწილი.

## ჯერ — საკუთარი მანქანები, ახლა – საკუთარი მექანიკური საარტილერიო სისტემა

სააკაშვილი ცდილობს საზღვარგარეთიდან მძიმე შეიარაღების შევსებას. **2011 წელს მან ირიბად სთხოვა აშშ-ს ჰაერ- და ტანკსაწინააღმდეგო შეიარაღების მიწოდება. მას შემდეგ, რაც ევროკავშირის საგამოძიებო კომისიამ გამოიტანა დასკვნა, რომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს კონფლიქტში პირველი ტყვია საქართველომ გაისროლა, საზღვარგარეთი იარაღის მიწოდებისგან თავს იკავებს, რათა საქართველოს შეიარაღებით არ გააღვივონ სამხრეთ ოსეთის ჯერ კიდევ ჩაუმცხრალი კონფლიქტი.**



თუმცა სააკაშვილმა შეიარაღების სხვა გზა იპოვა, რასაც „ფეისბუკის“ ფოტოებამდე საზღვარგარეთი საერთოდ არ აქცევდა ყურადღებას: პატარა საქართველო, სადაც ინდუსტრიის არც ერთ მნიშვნელოვანი სფერო არ არის განვითარებული, ახლა თვითონ ქმნის საკუთარ იარაღს. თებერვლის ბოლოს 4,5-მილიონიანი ქვეყნის თავდაცვის მინისტრი პრეზენტაციას უკეთებს დაჯავშნულ ქვეითთა საბრძოლო მანქანას — „ლაზიკა“. 2011 წელს ჯარმა სამამულო წარმოების ათობით ჯავშანმანქანა „დიდგორი“ შეიძინა. ავტომანქანები ამერიკული ფორდის — Pick-Up-Trucks-ის ბაზაზე შეიქმნა.

## საქართველო «მიხვდა, რომ საკუთარი თავის გარდა არავის იმედი არ უნდა ჰქონდეს»

### „მეტი აღარავის იმედი არ უნდა გქონდეს“

**საკუთარი განვითარებით საქართველოს სურს უცხოური პარტნიორებისგან მეტად დამოუკიდებელი გახდეს. 2008 წლის შემდეგ „იარაღის შეძენასთან დაკავშირებით პრობლემები არსებობდა“, — განაცხადა სააკაშვილმა ახალი საარტილერიო სისტემის წარდგენისას. საქართველო „მიხვდა, რომ საკუთარი თავის გარდა არავის იმედი არ უნდა ჰქონდეს“.**

ეს მწარე მინიშნება, როგორც ჩანს, ისრაელის მისამართით გაკეთდა. საქართველომ წლების წინ ისრაელელი მწარმოებლის „ელბიტის“ 40 უპილოტო საფრენი აპარატი „Hermes“-ი შეიძინა.

ახლახან ჰაკერების მიერ გამოქვეყნებული ამერიკული სპეცსამსახურების აჩრდილად წოდებული უსაფრთხოების კომპანია Stratfor-ის ელექტრონული მიმოწერა იმის ვარაუდის შესაძლებლობას იძლევა, რომ ისრაელმა 2008 წელს რუსებს უპილოტო საფრენი აპარატების კოდები გადასცა, რისთვისაც მოსკოვისგან მიიღო ინფორმაცია რუსული მოდელის ირანული რაკეტების შესახებ.

პრეზიდენტი „ტვიტერის“ მეშვეობით მუდმივად აქვეყნებდა მწარე გამონათქვამებს თავისი მოსისხლე მტრის, რუსეთის შესახებ. **„მე ვოცნებობ სტაბილურ და ძლიერ რუსეთზე, რომელიც დარწმუნებული იქნება თავის სიძლიერეში“,** — დაწერა სახელმწიფოს მეთაურმა ვლადიმერ პუტინის არჩევნების შემდეგ.

**ბენიამინ ბიდერი,**
**„შპიგელი“**

# სახელოვანი ქართველი პარტიზანი



**ქართველ პარტიზანთა სახელოვან კოჰორტას 95 წლის ასაკში გამოაკლდა თავდადებითა და ვაჟკაცობით ცნობილი მეომარი, ღირსეული მოქალაქე ლადო ძნელაძე.**

დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე იგი გაწვეული იქნა მოქმედ არმიაში და ფრონტის წინა ხაზზე ერთ-ერთი მძიმე ბრძოლის დროს ტყვედ ჩავარდა, მაგრამ მან, როგორც უშიშარმა მეომარმა, რამდენიმე ქართველ თანამებრძოლთან ერთად მოახერხა ტყვეთა ბანაკიდან გაქცევა და თავის რაზმთან ერთად ჩაება აქტიურ პარტიზანულ ბრძოლებში უკრაინის, ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის ოკუპირებულ ტერიტორიებზე. მას მჭიდრო საბრძოლო კავშირი ჰქონდა ორგზის საბჭოთა კავშირის გმირის, სიდორ კოვპაკისა და სსრკ გმირის, დავით ბაქრაძის ცნობილ პარტიზანულ შენაერთებთან.

საქართველოს საბრძოლო ისტორიებს გამორჩეული კონკრეტული ადამიანები ქმნიდნენ, რომელთა რიგებს განეკუთვნება ლადო ძნელაძე და მისი აქტიური პარტიზანული ეპოპეა ღირსეულადაც დაფასდა. იგი დაჯილდოებული იყო „წითელი დროშის“, „წითელი ვარსკვლავის“ საბრძოლო ორდენებით, პარტიზანის პირველი ხარისხის მედლით, პოლონეთის სახელმწიფოს ორდენით, „სიმამაცის ჯვარით“, საქართველოს „ღირსების ორდენით“ და მრავალი საბრძოლო მედლით.

ხსოვნას შემორჩა ომის საშინელი სურათები, მაგრამ ომის მძიმე წლებს ერთი საოცარი სიკეთეც ახლავს — მან დაამეგობრა სხვადასხვა ქვეყნის ადამიანები. ბატონ ლადოს ბევრი ჰქონდა მოსაგონარი, ყველაფერთან ერთად მის ოჯახში დღესაც სათუთად ინახება პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, გენერალ ვოიცეხ იარუზევსკის მადლობის წერილი ძნელბედობის პერიოდში პოლონელი ხალხის მხარში ამოდგომისა და მათი სამშობლოს გერმანელი ფაშისტებისაგან განთავისუფლების საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის.

ბატონი ლადო ყოველთვის იყო მეომარი სულის მატარებელი ადამიანი და, როდესაც დამოუკიდებელ საქართველოს დასჭირდა შველა, ასაკოვანმა მეომარმა კვლავ აისხა იარაღი და თავის შვილთან, დათოსთან ერთად მიიღო მონაწილეობა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისათვის ბრძოლებში. ვალმოხდილი წავიდა ჩვენგან ვიცე-პოლკოვნიკი ლადო ძნელაძე. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ღირსეული პატივი მიაგო მას, მეგობრები და თანამებრძოლები დამწუხრებულნი ეთხოვებიან მის ცხედარს და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

**საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტი;**

**საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირი;**

**ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ქ. თბილისის ვეტერანთა ცენტრალური კავშირი**


# წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი“ | 602602 |
| შპს „ახტელი“ | 700818 |
| შპს „მაგთიკომი“ | 200320 |
| შპს „ჯეოსელი“ | 700305 |
| შპს „ბილაინი“ | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:

ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937;
ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება — წმ. ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი.



ინფორმაციისთვის მიმართეთ ფონდის დირექტორს, დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი,
ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736,
მობ.: (599)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru

საქართველო და მსოფლიო

ესტუმრეთ ჩვენს საიტს

http://www.geworld.ge


მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru